ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

1883

№ II ფებერვალი.

ქუთაისი
თ. პეტრე გ. ჩუღუნიძის სტამბა.
1883

ეროვნული ბიბლიოთეკა

Дозволено Цензурою, Тифлисъ 27 Апрѣля 1883 года.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბარტელ-ძლევა-მოსილი.

მოთხრობა

ჰენრიხ სენკევიჩისა.

ნათარგმნი

ივ. თ. და ან. ლორთქიფანიძის ქალებისაგან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბარტექ-ძლევა-მოსილი.

ჩემს გმირს ერქვა სახელად ბარტექ-სლოვიკი, *) მაგრამ რადგან იმას ჩვეულებად ჰქონდა თვალების გამოჭყეტა, როდესაც ელაპარაკებოდნენ, ამიტომ მეზობლები მას ეძახდნენ ბარტექ-თვალ-ჭყეტიას. ბულბულთან, მართლა რომ, არავითარი მსგავსება არ ჰქონდა მას, მაგრამ სუსტმა გონებითმა ნიჭიერებამ და სწორედ რომ, ეპიკურმა სიწრფელემ შესძინა სახელად: ბარტექ-ბრიყვი. ბევეყანა ბარტექს უფრო ამ სახელით იცნობდა და, მე მგონია, ისტორიაშიაც მხოლოდ ეს სახელი იქმნება შეტანილი, თუნდაც ბარტექს ამას გარდა კიდევ ჰქონდა სხვა მეოთხე ოფიციალური სახელიც. რადგან შემდეგს სიტყვებს: CZLOWIEK (კაცი) და SLOWIK (ბულბული) ნემცების ყურში არავითარი განსხვავება არა აქვსთ,

---

*) სლოვიკი ნიშნავს ბულბულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ნემცებს უყვარსთ, ცივილიზაციის სახელით, ბარბაროსულის სლავიანურის სახელების თავის კულტურულს შემუშავებულს ენაზედ გადათარგმნა, ამიტომ სამხედრო სიებთა შედგენის დროს მოხდა შემდეგი ბაასი:

— რა გქვიან შენ? ჰკითხა აფიცერმა ბარტექს.

— სლოვიკ.

— ჩლოვიკ? ACH JA! GUT! (ხო! კარგი, კარგი!) და აფიცერმა ჩასწერა: MENSCH (კაცი)

ბარტექი იყო გლეხი, იარმოს სოფლიდგან. ამ სახელ-წოდებითი სოფლები, როგორც ვიცით, ძალიან ბევრია დიდს პოზნანის სამთავროში და ადრინდელის რეჩი პოსპოლიტის სხვა ადგილებშიაც. ბარდა ნადელად მიზომილის ადგილისა და ორის ძროხისა, ჩვენს ბარტექს ჰყავდა ერთი თეთრი ფაშატი ცხენი და ცოლი, მაგდა. ამ გვარ გარემოებათა წყალობით, მას შეეძლო, როგორც იქმნებოდა, ცხოვრება მშვიდობიანად, მყუდროდ და მართლაც, მხოლოდ მაშინ აღშფოთდა ბარტექი ძლიერ, როდესაც ღმერთმა ომი მოავლინა. ბანცხადება მიღებული იყო; ყველანი უსათუოდ უნდა გამოცხადებულიყვნენ შესაკრებელს ადგილზედ. ბარტექს ახლა უნდა მიეგდო ქოხი, ნადელი და დაეტოვებინა ცოველის ფერი დედა-კაცის მზრუნველობის ქვეშ. სოფელს იარმოში ხალხი საკმაოდ ღარიბი იყო. ზამთრობით ბარტექი დადიოდა ქარხანაში სამუშაოდ და ამ გვარად, როგორც იყო, გაუძლოდა იგი თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლარიბს ოჯახს. ახლა კი რა უნდა ექმნა? ღმერთმა იცის, ფრანცუზებთან როდის გათავდება ომი! ბანცხადება მოვიდა თუ არა, მაგდა მაშინვე ლანძღვა-გინებას მოჰყვა: „აი, ღმერთმა კი ამოსწყვიტოს ის წყეულებიო! ისინიმც კი დაბრმავებულანო!... მართალია, შენ, ჩემო ბარტექ, ცოტა ბრიყვი კი ხარ, მაგრამ მაინც მეცოდები. ფრანცუზები შენ სულაც არ დაგინდობენ: თავს მოგჭრიან, მარა კეთილს დაგაყრიან!... ბარტექი გრძნობდა, რომ დედა-კაცი მართალს ეუბნებოდა; თვითონაც ისე ეშინოდა ფრანცუზების, როგორც ცეცხლისა; ამასთანავე ნაღველიც მოერია. რა დაუშავებიათ მისთვის ფრანცუზებს? რისთვის უნდა წავიდეს იგი უცხო ქვეყანაშიდ, სადაც მას ერთი თავისიანი კაციც არ ეგულვება. მართალია, როდესაც იარმოში ხარ, ვერაფერს განსხვავებულს მდგომარეობაში გრძნობ შენს თავს, მაგრამ სხვაგან წასვლას რომ გიბრძანებენ, აი მაშინ იგრძნობ, რომ რაც უნდა იყოს, მაინც სახლში ყოფნა სჯობნებია. მაგრამ რას იზამ? სჩანს ბედ-ილბალი ასეთი გქონია, უნდა წახვიდე. ბარტექი გადაეხვია თავის მეუღლეს, გადაკოცნა ათის წლის ვაჟიშვილი, ფრანკი, ერთი გააფურთხა გვერდზედ, პირსჯვარი გარდაიწერა და გავიდა ქოხიდგან, მაგდაც გაჰყვა თან. მათი გამოთხოვება ვერაფერი ტკბილი და ალერსიანი იყო. მაგდა და პატარა ბავშვი გულამოჯდარნი ქვითინებდნენ, ბარტექი კი სულ ამას იმეორებდა: „ჰო, კარგია ახლა, დაწყნარდით!“ ასე ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარად გამოვიდნენ იგინი დიდს სასოფლო შარაზედ. აი მხოლოდ აქ შეამჩნიეს, რომ მთელს იარმოში აგრეთვე ამბავი იყო. მთელი სოფელი ფეხზედ დგას, საითკენაც არ გაიხედავ, ყოველგან გამოწვეულნი არიან. მიდიან იგინი რკინის გზის სტანციაზედ, და დედა-კაცები, ბოვშები, მოხუცებულები და ძალლები აცილებენ მათ. ბამოწვეულები გულ-მძიმედ არიან; მხოლოდ ზოგიერთი ბიჭები (ყმაწვილი კაცები) თუ სწევენ ჩიბუხს; რამდენიმე მთვრალიც ურევიათ. ერთი კოლონისტი შიშისაგან იმღერის: "WACHT AM RHEIN") *) მთელი ეს აჭრელებული ხალხი, რომელშიაც ხან აქ, ხან იქ გაიელვებს ხოლმე ხიშტი, მიემართება სოფლის გასავლისაკენ დიდის ხმაურობით, ყვირილით და ჩოჩქოლით. დედა-კაცებს ჩაუვლიათ ხელი თავიანთი სალდათებისათვის და სტირიან; აგერ ერთი მოხუცი დედა-კაცი გაჯავრებულად იქნევს მუშტს ჰაერში; ეგერ მეორე წამოიძახებს: ,, ღმერთმა კი დაგსაჯოსთო თქვენ ჩვენის უბედურებისათვის!" ისმის ყველგან: ფრანიოკ! კასკა! იუზიოკ! ღმერთმა მშვიდობითა და უვნებლად გამყოფოსთ. ძალლები ჰყეფენ. ეკლესიებზედ რეკენ ზარებს. თვითონ წინამძღვარი ჰკითხულობს გამოსალმების წიგნს: ახლა რომ მიდიან, იმათგანი, ხომ ბევრი ველარ დაბრუნდება შინ. ომს ყველა მიჰყავს, მაგრამ ბევრს ალარ გვიბრუნებს უკან. ბუთნები დაჟანგდებიან ყანებში, მიტომ რომ იარმომ საფრან-

*) ეს ნიმღეების სახალხო სიმღერა არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეთს ომი გამოუცხადა. იარმომ ველარ მოითმინა, ნაპოლეონ მესამეს რომ მთელის ქვეყნის ბატონობა განეზრახა და გულ-მხურვალე მონაწილეობა მიიღო ესპანეთის ტახტის კანდიდატურის საქმეში. ზარების რეკა აცილებს ხალხს, რომელიც კიდევაც გამოვიდა სოფლიდგან. აი ლვთის-მშობლის ძეგლიც. ყველანი შიშითა და კრძალვით იხდიან ქუდებს. ზზაზედ დიდი ჭეველი დგება, რადგან კარგი და მშრალი ტარასია. ზზის ორივე ნაპირას ხორბლით დამძიმებულს პურის თავლებს შრიალი გააქვსთ. ლაქვარდს ცაზედ, ერთს ადგილას ფრთხიალებენ ტოროლაები და რაც ძალი და ლონე აქვსთ გალობენ.....

აი სტანციაც. ხალხი თან-და-თან მრავლდება. მოდიან გამოწვეულნი დიდ-ქრიკდიდგან და პატარა-ქრიკდიდგან, ნედოლიდგან და სოფ. ნესჩასტნოიდგან. ერთი უშველებელი ხმაურობა, ჩოჩქოლი და არეულება არის. სტანციაზედ კედლები მთლად დაფარულნი არიან გაკრულის მანიფესტებით. ზამოცხადებულია ომი: «ლვთის და მამულის სახელითა». ლანდვერი მიდის, რომ დაიცვას თავის სახლ-კარი, ყანები და ცოლ-შვილი. ფრანცუზები გაჯავრებულნი არიან განსაკუთრებით იარმოს, დიდის და პატარა ქრიკდის, ნედოლის და ნესჩასტნოის წინააღმდეგ. მანიფესტების მკითხველებს კი მაინც ასე ჰგონიათ და. ხალხი თან-და-თან მატულობს სტანციაზედ. თუთუნის კომლი ავსებს ოთახს მთლად და ჰფარავს მანიფესტებს. ისეთი ძლიერი ხმაურობაა, რომ გაგონება არაფრის შეიძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება: ყველანი დ დიან, უძახიან ერთმანერთს, ჰყვირიან. პლატფორმაზედ ენერგიულად, მკაფიოდ და მოკლედ მოიმის ხანდის-ხან ნემცების კამანდობა.

მოისმა ზარის რაწკუნი. შემდეგ ხან-გრძლივი სტვენა. შორიდგან მოიმის სასტიკი კივილი ორთქლით მატარებელისა. ხმაურობა თან-და-თან ირჩევა. ბგონიათ, თითქო ომი მოაწლოვდაო. რეკენ მეორედ. ყველანი აღშფოთდებიან. რომელიღაც სალდათი ჰყვირის: „ეგა!“ ეტყობა, რომ თავის ცოლს უძახის; მაგრამ ამ დროს სხვა დედა-კაცები წამოიძახებენ: «მოდიან!» ვიღაცას მყვირალა ხმა უმატებს: „ურანცუზები მოდიან!“ და ერთს წუთში, არა თუ ქალები, სედანის მომავალი გმირებიც კი აიტანა შიშის ზარმა. ხალხი აღელდა. ამასობაში მატარებელიც ჩერდება პლატფორმასთან. ყველა ფანჯრებში იხედებიან წითელ-წითელ არშიებიანი სამხედრო ქუდები და მუნდირები. სალდათებს თვალს ვერ გადააწვდენ, იმდენია. პლატფორმაზედ აწყვია შავ-შავი მოგრძო ზარბაზნები და ელავენ შუბები. ცხადია, რომ სალდათებს ნაბრძანები აქვთ იმღერონ; მატარებელი თრთის სალდათების მამაცურის ხმისაგან და ამაყობს თავის თავის იმედით და შეძლებით.

პლატფორმაზედ რეკრუტები ეწყობიან; ზოგნი კიდეე ემშვიდობებიან თავისიანებს. ბარტექმა გაიქნია ხელები, ქარის წისქვილის ფრთებსავით და გამოჭყიტა თვალები.

— აბა, მაგდა, მშვიდობით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰ, საცოდავო ჩემო საყვარელო!

— მე შენ აწი ველარ მნახავ!

— აწი მე შენ ველარ გნახავ!

— რა უნდა ქნას კაცმა —

— ღვთის-მშობელი იყოს შენი მფარველი, ჩემო ბარტექ!

— მაგდა, იყავ მშვიდობით, ყური უგდე ოჯახს.

დედა-კაცი ტირილითა და ქვითინით მოეხვია ბარტექს ყელზედ.

— ღმერთი იქმნეს შენი შემწე, ბარტექ!

დგება უკანასკნელი წუთი, ყოველისფერს აყრუებს დედა-კაცების წუილ-ტირილი და ქვითინი. „მშვიდობით, მშვიდობით!“ ბაიძახიან აქა-იქ, მაგრამ აი სალდათები კიდევაც მოაშორეს სხვა ხალხს, ისინი შეგროვდნენ ერთს შავ ჯგუფად, რომელმაც შეადგინა კვადრატი, ოთხ-კუთხედი და დაიწყო მოძრაობა მაშინასავით.

ჩაჯექით, ჩაჯექით! დაიყვირა უფროსმა. ჯგუფები იყოფიან შუაზედ და მიემართებიან ვაგონებისაკენ და ჰქრებიან შიგ. სტვინავს ორთქლით მატარებელი და უშვებს შავს კომლს. აი დაიწყო მან ვეშაპავით ქშინვა და გამოუშვა ორთქლი გვერდებიდგან. დედა-კაცების ყვირილი და ტირილი იქაურობას აყრუებს, ზოგი მათგანი ფეშტამლით იფარავს თვალებს, ზოგი ხელს სწვდის ვაგონებისაკენ.

— მშვიდობით, ბარტექ! უყვირის ქვევიდგან მაგდა.—და ნუ ეტენები იქ, სადაც შენი ადგილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არის; ღვთის-მშობელმა დედამ დაგიფაროს შენ უბედურებისაგან...მშვიდობით, მშვიდობით! ოხ, ღმერთო ჩემო!

— ყური უგდე ოჯახს! უპასუხებს ბარტექი.

ლოკომოტივი აინძრა, ვაგონები დაეტაკნენ ერთმანერთს და მატარებელმა გასწია.

— ბახსოვდეს, ბარტექ, რომ შენ გყავს ცოლ-შვილი, მიჰყვირის მაგდა და თან მისდევს ვაგონებს. იყავ მშვიდობით! სახელითა მამისათა, და ძისათა და სულისა წმინდისათა! მშვიდობით! მატარებელი მიდის თან-და-თან უფრო ჩქარა და თან მიჰყავს მეომარნი იარმოელნი, კრივდელნი, ნედოლიელნი და ნესჩასტნოელნი.

II.

ტირილითა და ქვითინით დაბრუნდა მაგდა სხვა ქალებთან ერთად იარმოში და ამ დროს პირდა-პირ მეორე მხარეს მიჰქროდა მატარებელი, რომელსაც მიჰყავდა ბარტექი. იარმო ძლივს თუ გაირჩეოდა, მხოლოდ ცაცხვი-ღა მოსჩანდა და ბრწყინავდა ეკკლესიის ჯვარი, რომელიც იყო განათებული ჩამავალის მზის სხივებით. მაგრამ მალე ის ცაცხვიც შორდება თვალს და ოქროს ჯვარი კი ემსგავსება ბრწყინვალე წერტილს. სანამ ეს წერტილი კიდევ მოსჩანს, ბარტექი უცქერს მას; მაგრამ ეს წერტილიც რომ დაიმალა, ბარტექი შეიპყრო საშინელმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწუხარებამ. იგი თითქო დაუძლურდა კიდეც და გრძნობს, რომ დაილუპა. იკი შესქერის უნტერ-აფიცერს, კარგად გრძნობს, რომ ღმერთის შემდეგ ის არის მისი ბატონი და რაც უნდა, იმას უ'ამს. იმას რა დაემართება, ეს იცის უნტერ-აფიცერმა; თვითონ ბარტექმა კი არაფერი არ იცის და არცა რა ესმის რა. უნტერ-აფიცერი ზის სკამზედ, ფეხებში უკავია თოფი და სწევს ჩიბუხს, კომლი სქლად ფარავს მისს უხუმარსა და უკმაყოფილო სახეს, მარტო ბარტექი კი არ შესცქერის ამ სახეს; შესცქერიან მას ყველა სალდათები. იარმოში, გინა ქრივდაში ყოველი ბარტექი და ვოიტექი თავ-თავის ბატონია, ყველა თავის თავზედ უნდა ფიქრობდეს და აქ კი მარტო უნტერ-აფიცერი ფიქრობს ყველასათვის. უნტერ-აფიცერი უბრძანებს მათ მარჯვნივ მიხედვას, ისინიც მიიხედვენ მარჯვნივ; უბრძანებს მარცხნივ გახედვას, მარცხნივ მიიხედვენ. ყველა მას ეკითხულება თვალებით: «რა დაგვემართება ჩვენო?» მაგრამ თვითონ უნტერ-აფიცერმაც იმოდენი იცის, რამოდენიც სალდათებმა იციან და ძალიან მოხარული იქმნებოდა, რომ მთავრობას აეხსნა მისთვის ეს მტანჯველი კითხვა; გლეხებს მაინც ძალიან ეშინიანთ ჰკითხონ რამე უნტერ-აფიცერს, მიტომ რომ ახლა ომიანობაა და, მაშასადამე, სისასტიკეც. რა არის აღკრძალული და რა არა, არავინ იცის და განსაკუთრებით არა იციან რა ამაზედ გლეხებმა; მათ აშინებს სიტყვა: «KRIEGSGERICHT,»

ეროვნული ბიბლიოთეკა

(სამხედრო სამსაჯულო) რომელიც მათ სრულიად არ ეშვნათ.

ამასთან ისინი იმასაც გრძნობენ, რომ ეს უნტერ-აფიცერი მათთვის ახლა უფრო საჭიროა, ვინემ პოზნანში მანევრების დროს, მიტომ რომ ახლა იგი ყველას მაგიერ ჰფიქრობს და უმისოდ ფეხსაც ვერავინ გადაადგამს. უნტერ-აფიცერს მობეზრდა თოფის დაკავება და გარდასცა ბარტელ. ბარტელი თოფს ჩამოართმევს და ხმა-გაკმედილი და სულ-განაბული ქაჩავს თვალებს,

ოხ, საქმე ცუდად არის! უნტერ-აფიცერიც თითქმის თავის თავს არ ეკუთვნის. სტანციებზედ მოისმის ხოლმე სიმღერა და ყვირილი; მაშინ უნტერ-აფიცერიც ბრძანებლობს და თან ილანძღება, რომ მთავრობას ასიამოვნოს; მაგრამ მატარებელი დაინძრევა თუ არა, მაშინვე მყუდროებაც ჩამოვარდება ხოლმე.

ამასობაში მატარებელი კვნესის, ფშვინავს და მიჰქრის შორს. ყოველს სტანციაზედ უმატებენ ახალ-ახალ ვაგონებს და ლოკომოტივებს. ყოველგან მოსჩანან მხოლოდ კასკები, ზარბაზნები, ცხენები, შუბები ქვეითის ჯარისა და ულანების ნიშანი. დადგა წყნარი და მოწმენდილი საღამო. დასავლეთის მხარეს ცა გაწითლდა; მაღია, ცის კამარაზედ წყნარად მიმოიძვრიან მაუბუქი ღრუბლები, რომელთაც ვარდის ფერი არშია შემოვლებიათ. ოქროთქლით მატარებელი აღარ იღებს ახალ-ახალ სალდათებს სტან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციებზედ. მაგრამ მიფრინავს კი მაინც იქითკენ, სადაც ცა წითლად შეჭედილა, თითქო სისხლის ზღვაში შეცურვა უნდოდეს. ბალებულს ფანჯარაში, სადაც ბარტექი ზის სხვა პოლშელს სალდათებთან, მოსჩანან სოფლები, ეკლესიის კოშკები, კაკვის მსგავსად მოკაკული ყანჩები, რომელთაც ერთი ფეხი ბუდეში უდგიათ, განცალკევებული ქოხები, ალუბლის ბალები და ველი ეს უცებ შორდება თვალს. სალდათები მართავენ ერთმანერთში ჩურჩულს, რადგან უნტერ-აფიცერმა ამოიღვა თავ-ქვეშ ტომარი და დაიქინა, თისის ჩიბუხით პირში. ვოიტექ ბვიზდაჩა, ბარტექის სოფლის კაცი, რომელიც იქვე გვერდით ზის, წაჰკრავს მას იდაყვს.

— ბარტექ, ყური დამიგდე!

ბარტექი მოიბრუნებს მისკენ პირს თვალებ გამოჭყეტილი.

— რავა სასაკლაოზედ წაყვანილი ხბოსავით იყურები, წაჩურჩულებს მას ვოიტექი. ჰო, რაც მართალია, მართალია! საწყალო, შენ მართლა დასაკლავად მიჰყევხართ და უსათუოდ...

— ოჰ, ოჰ! ავნესის ბარტექი.

— ბეშინია?

— როგორ არ უნდა მეშინოდეს...

ცის კიდე დასავლეთისაკენ უფრო და უფრო ილებება წითლად. ვოიტექი აშვერს თითს გაწითლებულის ცისაკენ.

— აი, ხომ ხედავ იქ იმ სიწითლეს? იცი, შენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულელო, ის რა არის? ეს სისხლია, აქ პოლშაა, მაგალითად ვსთქვათ, ჩვენი ქვეყანა-გესმის? და აი იქ, შორს, სადაც ცის-კიდე გაწითლებულა, იქ არის საფრანგეთი.....

— მალე მივალთ?

—რა გვეჩქარება? ამბობენ, რომ შორს არისო; მაგრამ ნუ გეშინია: ფრანცუზები თვითონ გამოგვეგებებიან.

— ვოიტექ!

— რაო, რა გინდა?

— როგორი ხალხნი არიან ეს ფრანცუზები?

აქ კი გამოელია ვოიტექს სიბრძნე, იმან მხოლოდ ის იცოდა, რომ ფრანცუზები არიან ფრანცუზები. ბაუგონია მოხუცებულებისაგან, რომ ფრანცუზები ომში ყველა ხალხს სჯობნიან, იცოდა, რომ ფრანცუზები სულ სხვა ხალხნი არიან, მაგრამ ეს როგორ უნდა აეხსნა ბარტექისათვის. ამიტომ იმან თავ-და-პირველად გაიმეორა ბარტექის კითხვა:

— რა ხალხნი არინო?

— ჰო, დიალ!

ვოიტექი იცნობდა სამს სალხს: შუაში «პოლშელებს,» ერთის მხრით «მოსკალებს» (რუსებს) და მეორეს მხრით «ნემცებს.» მაგრამ ნემცებიც ხომ სხვა და სხვა გვარისანი არიან. ამიტომ უთხრა:

— რა ხალხი არიან ფრანცუზები? როგორ გითხრა: უნდა ვიფიქროთ, რომ ისინიც ნემცები არიან, მხოლოდ უფრო უარესნი.

აქ ბარტექმა წამოიძახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰო, საძაგლები!

აქამდის ბარტექს ფრანცუზების ეშინოდა. ახლა კი ამ პრუსიის ლანდვერმა იგრძნო რაღაც პატრიოტული გაბოროტება მათდამი. მაგრამ იმან მთლად კიდევ ვერ გაიგო, რაც ვოიტექმა უთხრა და ამიტომ ხელახლა ჰკითხა:

— მაშ ნემცები უნდა ეჩხუბონ ისევ ნემცებს?

ახლა კი იკადრა ვოიტექმა შედარების ხმარება და უპასუხა:

— ბანა შენი არაპკა კი არა ჰკბენს ხოლმე ჩემს მალჩიკ? *)

აქ ბარტექმა დაალო ხახა და რამდენიმე ხანს ისე უყურებდა მდუმარედ თავის მოძღვარს.

— დიალ, ესეც მართალია.

— ავსტრიელებიც ხომ ნემცები არიან, გაუგრძო ვოიტექმა; და განა ჩვენებს კი არ ჰქონიათ ომი მათთან? მოხუცმა მათემ ჩვენ ერთხელ გვიამბო, რომ, როდესაც ომში ვიყავით, შტეინმეცი გვიყვიროდა: «აბა, ძმებო, ხოცეთ ნემცებიო!» მაგრამ ფრანცუზებთან საქმის დაჭერა კი უფრო ძნელი იქმნება!....

— ნუ თუ!

— ფრანცუზს ყოველთვის გაუმარჯვნია. თუ კი იმან ერთხელვე ხელში ჩაგიგდო, ფიქრი ნუ გაქვს, ცოცხალი ველარ წაუხვალ! თვითოეული მათგანი ორ-

*) არაპკა და მალჩიკ ძაღლების სახელებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ-ჯამჯერ უფრო ლონიერია ჩვენებურს გლეხებზე. ზოგი მათგანი მავია ეშმაკივით და წვერები ურიასავით აქვს ჩამოკიკინებული; ამიტომ კაცს რომ შეხვდე, ქვეყანას უნდა გამოესალმო...

— მაშ რატომ უნდა მივდიოდეთ ჩვენ მათ წინააღმდეგ? წამოიყვირა ბარტექმა საბოწარკვეთილებით.

ამ ფილოსოფიურ კითხვაზედ ვოიტექმა უთხრა:

— მეც არ მინდოდა წასვლა! მაგრამ ჩვენ რომ არ წავიდეთ, თვითონ ისინი მოვლენ ჩვენთან. ვერაფერს ვერა იქ! წაიკითხე, რაც დაბეჭდილი არის? ძალიან განძვინებულნი არიან ჩვენ-გლეხებზედ. ამბობენ, რომ მათ უნდოდათ ჩვენთვის ადგილები წაერთმიათ, რომ კონდრაბანდად (ქურდულად) გამოეტანათ ხოლმე ვოტკა ცარსტვოდგან (სამეფოდგან), მაგრამ მთავრობამ არ მისცა მათ ამის ნება და აი ამიტომ გამოუცხადეს მათ ომი.... გესმის?

— რატომ არ უნდა მესმოდეს? მიუგო წყნარად ბარტექმა.

ვოიტექმა განაგრძო:

— ქალებზედ ისინი ისე გამალებულნი არიან, როგორც ძალლი ქონზედ.

— მაშ, ისინი, მაგალითად ვსთქვათ, ჩემს მაგდასაც ალარ მოუსვენებენ?

— დიალ, ისინი ბებერსაც არ იწუნებენ.

— ოჰ! წამოიძახა ბარტექმა ისეთის ხმით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ თითქო უნდოდა ეთქვა: თუ აგრეა, მაინც მეც მათ ვაყურებინებ სეირსო...

ამ სიტყვებმა გამოიყვანეს იგი მოთმინებიდგან. დეე, ვოტკა გამოიტანონ ფრანცუზებმა ქურდულად, მაგრამ მაგდას კი ხელს ნუ ახლებენ. ახლა ბარტექი ამ ომს უყურებდა თავის პირადის ინტერესების მიხედვით და თითქო გამხნევდა კიდეც იმ აზრით, რომ ამდენი ჯარი და ზარბაზნები ესარჩლებიან მის მაგდას, რომელსაც ემუქრება ფრანცუზების უნამუსობა და გარყვნილება. უნებლიედ მოკუმშა ხელები და ფრანცუზების წინაშე შიშს შეუერთდა მათდამი მძულვარების გრძნობა. ბარტექი ახლა სრულიად დარწმუნდა, რომ იგი უნდა წავიდეს ომში. ამასობაში, სალამოის ბინდ-ბუნდი კაჰქრა და დალამდა. ვაგონებმა დაიწყეს აქეთ-იქით რწევა უსწორ მასწორო რელსებზედ და იმის დაგვარად ხან მარჯნივ და ხან მარცხნივ გადად-გადმოდიოდნენ სამხედრო ქუდები და ხიშტები.

ბავიდა საათი ერთი, ორი. ლოკომოტივი ისროდა ბულქვა-ბულქვად ცეცხლის ნაპერწკლებს რომლებიც ბნელაში გამოსჩანდნენ ერთი-ერთმანერთში დახლართულ ცეცხლის ხაზებად და დაკლაკნულ გველებად. ბარტექს დიდ ხანს არ დასძინებია. მის თავში მოუსვენრად ირეოდნენ ფიქრები მაგდაზედ, ომზედ, იარმოზედ, ფრანცუზებზედ და ნემცებზედ ისე, როგორც ჰაერში ნაპერწკლები. ბოლოს დაეძინა, როგორც იქმნა, მაგრამ რაღაც აღშფოთებულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძილით და მაშინვე დაესიზრმა, რომ ვითომც ბრაპკა ჰკბენდა მალჩიკს და მუჭ-მუჭა აბდღვნიდა ბანალს. ბარტექმა წამოატანა ჯოხს ხელი, რომ გაეზავებინა ძალლები, მაგრამ ამ დროს უეცრად დაინახა, რომ მაგდასთან იჯდა ვილაც ეშმაკსავით შავი ფრანცუზი; მაგდაც კმაყოფილია და ილიჯება სიამოვნებით; ფრანცუზები დასცინიან ბარტექს და თითით აჯავრებენ....

ორთქლით მატარებელი ხმაურობს და ბარტექს ჰგონია, რომ ეს ფრანცუზები იძახიან: ,,მაგდა, მაგდა, მაგდა, მაგდა!'' ბარტექი ჰყვირის ტირილით: ოხ, თქვენ წყეულებო! ბაუშვით დედა-კაცი! მაგრამ ისინი არ უგდებენ ყურს და განაგრძობენ: მაგდა, მაგდა, მაგდა! ბრაპკა და მალჩიკი ჰყეფენ. მთელი იარმო ჰყვირის: არ დაანებოთ დედა-კაცი! და ბარტექი კი თითქო ხელ-შეკრულია, მაგრამ არა, დატრიალდა, გასწყვიტა ბაწარი, რომლითაც ვითომ შეკრული იყო იგი, წამოატანა თმაში ხელი ფრანცუზს და ერთს წამს.....

ამ დროს უეცრად იგრძნო ბარტექმა რალაც საშინელი ტკივილი, თითქო მისთვის ძალუმად დაეკრას ვისმეს კეტი. ბამოელვიძა და წამოხტა. უველას გამოელვიძება და განცვიფრებულნი ეკითხებიან ერთმანერთს: რა მოხდაო? საბრალო ბარტექმა ძილში თურმე უნტერ-აფიცერს წაავლო ხელი წვერებში. ახლა იდგა იგი გაჭიმული საყესავით და ორი თითი ეკავა საფეთქელთან; უნტერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფიცერი აქნევს ხელებს და გაგიჟებულივით ჰყვირის; ხმა ჩაეხლიჩა კიდეც ნამეტანის სიანჩხლისაგან; საწყალი ბარტექი კი სდგას ისევ გაშეშებული და ორი თითი საფეთქელთან უკავია. სხვა სალდათები ტუჩებს იკვნეტენ, ვინიცობაა არ გაგვეცინოსო; ყველანი შიშის ქარს აუტანია, მიტომ რომ უნტერ აფიცერი ილანძღება: EIN POLNISCHER OCHSE! VERFLUCHTES VIÉH AUS PODOLIEN! (პოლ'მელო ხარო! შენ დაწყეველილო პადოლიელო პირუტყვო!) ბოლოს გათავდება ეს ლანძღვა-გინებაც და მყუდროება ჩამოვარდება. ბარტექი ჯდება ისევ თავის ადგილზედ და გრძნობს მხოლოდ, რომ ლოყა თან-და-თან უსივდება. ლოკომოტივი კი, თითქო გამოსაჯავრებელად, იმეორებს უწინდულად:

,, მაგდა, მაგდა, მაგდა!''

ბარტექი მთლად ნალველმა შეიპყრო.

III.

თენდება. მკრთალი დღის სინათლე მისდგომია უძილობისაგან დალალულს პირის სახეებს. სკამებზედ მიყრილ-მოყრილან სალდათები და სძინავსთ; თავი ზოგს დაუკირწავს და ზოგს უკან გადაუგდია. დილის ცისკარი ვარდის ფრად მოეფინა მთელს არემარეს. ჰაერში სუფევს გამამხნევებელი სიგრილე. სალდათებს გამოელვიძებათ და ათვალიერებენ უცნობს ადგილებს. ოჰ! სადაა ახლა იარმო, დიდი და პატარა ქრივდა და სოფელი ნესჩასტნოი? დაიწყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხო ქვეყანა. ირგვლივ მაღლობები დაფარულია ნორჩის მუხის ტყეებით. ბარში სახლები დახურულნი არიან კრამიტით და თეთრს კედლებზედ აქვსთ გავლებული შავ-შავი ზოლები. ყველა სახლები შემოსილნი არიან ვაზებით. იქა-აქ მოსჩანან ეკკლესიები წამწვეტილი კოშკებით ან და ქარხნის მაღალი მილები. მზოლოდ არსად მოსჩანან გაშლილი ადგილები, სათიბები და ველები. მაგრამ მაგიერად რამდენი ხალხია! აი აგერ გამოჩნდება ხან სოფელი, ხან ქალაქი, მაგრამ მატარებელი მაინც არსად ჩერდება და უვლის გვერდს პატარა სტანციებს. რაღაც უნდა მომხდარიყოს, რომ ყოველს სტანციაზედ ამდენი ხალხი ხვდება მატარებელს. მზე დინჯად ამოდის. სალდათები ლოცვას იწყებენ.

ბოლოს მატარებელიც ჩერდება მთავარს სტანციაზედ. იმ წამსვე შემოეხვევა მას ხალხი ჯვუფად. ბრძოლის ველიდგან ამბავი მიულიათ: «ზამარჯვება! ზამარჯვება!» რამდენიმე საათის წინეთ მიულიათ გამარჯვების ტელეგრამმა. ყველა დამარცხებას მოელოდა, და ამიტომ არის გამარჯვება რომ განუსაზღვრელად უხარიათ. მცხოვრებლები თითქმის პერანგის ამარა გამოცვინდნენ სახლებიდგან და გაიშურენ სტანციისაკენ. ზოგიერთებს თავიანთს სახლებზედ ბაირალები გამოუფენიათ; არის ერთი ცხვირსახოცების ქნევა. ვაგონებთან მიაქვსთ სასმელები, თუთუნი, სიგარი და სხვა. აუწერელი სიხარულია, სახე ყველას უბრწყინავს, ყოვლის მხრიდგან მოისმის

ხმა: WACHT AM RHEIN. ზოგი სტირის, სხვები ეხვევიან ერთმანერთს. „ჩვენმა ფრიდრიხმა დაამარცხა მტერი, წაართვა ზარბაზნები და ბაირაღები!„ ამ კეთილშობილურს გულის-თქმაში ხალხი აწოდებს სალდათებს, რაც კი რამ თან გააჩნია. სალდათები თავის მხრით გამხნევდნენ და დაიწყეს სიმღერა. ვაგონები ტოკავენ მათის სიმღერით და ხალხი გაკვირვებული უგდებს ყურს ამ სიმღერას უცხო ენაზედ. „DIE POLEN, DIE POLEN! (პოლშელები, პოლშელები!) !“ იმეორებს ხალხი, თითქო განსაშტერებლად და უფრო-დაუფრო ეხვევა გარშემო ვაგონებს და, ვინ იცის, რამდენს რას ლაპარაკობს პოლშელების ჯარის უშიშარს და შეუპოვარს მამაცობაზედ.

ბარტექს გაუსივდა ლოყა, რომელიც მის ყვითელ წვერებთან, გამოქაჩულ თვალებთან და მამაცურ შეხედულებასთან, აძლევდა მას საშიშარს გამოხატულებას. იმას უცქეროდნენ, როგორც საოცარს მხეცს. როგორი მფარველი ჰყავთ ნემცებს! აი ვინ გასცემს პასუხს ფრანცუზებს? ბარტექი კმაყოფილად იღიმება: ისიც მოხარულია, რომ ფრანცუზები დაამარცხეს. აწი ველარ მოვლენ ისინი იარმოში, ველარ დაუწყებენ არშიყობას მისს მაგდას და ველარც ადგილებს მოსტაცებენ მათ. სჭამს მადიანად მუხუდოს გუფთას და თან რამოდენიმე კრუშკა ლუდს ზედი-ზედ ისე ყლაპავს, თითქო მუცლის მაგიერად უფსკრული აქვსო. ვინ თუთუნს აწოდებს, ვინ ფულს, და იმასაც ყოველიფერი მიაქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კეთილი ხალხი ყოფილა ეს ნემცები! ეუბნება ვოიტექს და თან უმატებს: ხომ ხედავ, როგორ დაამარცხეს მათ ფრანცუზები.

მაგრამ ვოიტექი სკეპტიკია. ასე ადვილად იმას ვერ დაიყოლიებ.

ფრანცუზები თავ და პირველად ყოველთვის უტევენ ხოლმე, რომ მტერს თვალები აუხვიონ, თორემ შემდეგ, როცა კი ხელს გამოიღებენ, სულ ლიწინ-ლიწინს დააწყებინებენ მტრის გვერდებს.

ვოიტე მა როდი იცის, რომ მთელი ევროპა ამ აზრის არის, და არც ის იცის, რასაკვირველია, რომ მთელი ევროპა ვოიტექთან ერთად სცდება სასტიკად.

დაინძრევ ადგილიდგან. ყოველგან, რამდენზე-დაც კი თვალი მისწვდება, სახლებზედ გამოფენილია ბაირაღები. ზოგიერთს სტანციაზედ მატარებელს კარგი ხანი აგვიანდება, რადგან მატარებლები ერთი-ერთმანერთზედ მოდიან. ყოველის მხრიდგან მოდიან ჯარის კაცები, რომ თავიანთს გამარჯვებულს მოძ-მეებს მხარი მისცენ. მატარებელნი მორთულნი არიან ყვავილებით და ხის მწვანე შტოებით. ულა-ნების ხიშტებს ამშვენებენ თაიგულები. ულანების უმეტესი ნაწილიც პოლშელები არიან. ხშირად სალდათები გამოელაპარაკებიან ხოლმე ერთმანერთს ეაგონებიდგან.

— როგორ მშვიდობით ბრძანდებით, ძმებო? სად მიემგზავრებით? ხან-და-ხან მოიმის ხოლმე ნაც-

ნობი სიმღერა, რომელსაც აძლევენ ბანს ბარტექი
და მისი ამხანაგები დიდის აღტაცებით.

იმ კაეშანის ადგილს, რომელსაც შეეპყრა სალ-
დათები იარმოდგან გამოსვლის დროს, ახლა იკავებს
მხიარულება და სითამამე. მაგრამ მშვენიერს სულის
მდგომარეობას უფუჭებს მათ პირველადვე მოსული
მატარებელი, დაჭრილებით სავსე. ამ მატარებელს
დიდხანს მოუხდა სტანციაზედ გაჩერება, რადგან წი-
ნეთ ისინი უნდა გაესტუმრებიათ, რომელნიც ბრძო-
ლის ველზედ მიეშურებოდნენ. ბარტექი თავის ამხანა-
გებიანა წავიდა ავათმყოფების და დაჭრილების სა-
ნახავად. ზოგი მათგანი იწვა დახურულს ვაგონში და
ზოგი კი, უადგილობის გამო, ახდილს ვაგონში;
უკანასკნელების გასინჯვა ადვილად შეიძლებოდა.
,,აქ მოდი ვოიტექ! უყვირის შეშინებული ბარტექი.
,,შეხედე, რამოდენი ხალხი გაუფუჭებიათ ფრანცუ-
ზებს!'' შეაძრწუნებელს სანახავს წარმოადგენენ
დაჭრილები, გაყვითლებული და დაქანცული ნაქვ-
თები; ზოგი მათგანი მთლად გაშავებულა თოფის წამლის
კომლისაგან და გასვრილა სისხლით. მხიარულს და-
ძახებაზედ დაჭრილები მხოლოდ კვნესით უპასუხებენ.
რამოდენიმე მათგანი სწყევლის ფრანცუზებსა და
ნემცებს შორის ომს. მათის გამშრალის პირისაგან
ხშირად მოისმის: წყალი, წყალი! თვალები ებნევათ.
აქა-იქ დაჭრილებთ შორის მოსჩანს გაცივებული სახე
მამაკვდავისა, ხან მშვიდობიანის, ამოლურჯებულის
თვალებით, ხან კი დამახინჯებული ფელენჯის ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი'ა გან, საშიშარის შეხედულობით და დაკრეჭილის კბილებით. ბარტექი პირველად ხედავს ომის საუ-ბედურო. შედეგს. დომხალივით აერია მას ყოველის-ფერი თავში; ის მთვრალსავით იყურება გაშტე-რებული და პირ-ღალებული. ის ველარ გრძნობს, რომ ჟანდარმები კაი-კაი მუშტუკუნს უძღვნიან მას და სცემენ ზურგში. იგი დაეძებს ვოიტექს, აი იპოვა კიდეც.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! რა უბედურებაა, რა განსაცდელია!?

— შენც ეგ დაგემართება!

— ნუ თუ ამ გვარად სწყვეტენ ერთმანერთს ადამიანები? ბლეხმა რომ გლეხს სცემოს, ხომ მა-შინვე საპყრობილეში აკვრევინებენ თავს ჟანდარმები და დასტანჯავენ.

— ახლა კი იმას უფრო დიდი სახელი აქვს, ვინც უფრო ბევრს ხალხს გააფუჭებს. შენ სულელო, მგონია, ფიქრობდი, რომ ქალალდით დატენილი თოფით დაუწყებდი სროლას ნიშანს, როგორც ვარ-ჯიშობის დროს შვრებოდი, და არა კაცებს.

თუმცა ჩვენი ბარტექი ხშირად ილებდა ხოლმე მონაწილეობას მანიფესტებსა და პარადებში, ისროდა თოფს და იცოდა კიდევაც, რომ ჩხუბში კაცები სწყვეტენ ერთმანერთს, მაგრამ ახლა, როდესაც და-ჭრილები ნახა, ისეთ-ნაირად შეუწუხდა ვული, რომ ძლივს შემაგრდა ფეხზედ. მან ახლა უმფრო პატივ-ცემული დამოკიდებულება დაიკავა თავის გულში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანცუზებისადმი და ეს პატივის ცემა შეუმცირდა მხოლოდ მაშინ, როდესაც კელნში მივიდნენ. აქ იმან პირველად ნახა ტყვეები, რომელთაც შამოხვეოდნენ სალდათები და უბრალო ხალხიც და უყურებდნენ ცნობის მოყვარეობით, მაგრამ ჯერ კიდევ არ გრძნობდნენ მათდამი ზიზღს. ბარტექმა გაარღვია როგორც იყო ჯარი იდაყვების წყალობით, შეიხედა ვაგონში და შეკრთა: ფრანცუზების ქვეითი ჯარი, დაფლეთილს ფარაჯებში გახვეული, გასვრილი და დაქანცული, ეყარა ვაგონებში; დაბალი, უბრალო ჯარის კაცები თევზებსავით ეწყვნენ ერთმანერთზედ. ბევრი მათგანი მოწყალებისათვის აშვერდა ხელს. ბარტექმა, ვოიტექის სიტყვების მიხედვით, ახლა სულ სხვა აზრი შეადგინა ფრანცუზებზედ. იგი ისევ გამხნევდა და მიიხედ-მოიხედა, სადმე ახლოს ხომ ვოიტექი არ არისო. ვოიტექი იქვე იდგა მის წინ.

— რას მატყუილებდი? ჰკითხა ბარტექმა. წყალში ამოწუმპულს ქათმებს ჰგვანან. ერთს რომ წავავლო ხელი, ოთხი დაენარცხება მიწაზედ.

— თითქო დაჭლექებულანო! მიუგო ვოიტექმა, თვითონაც ძალიან გაკვირვებულმა.

— ვერაფერი შესანიშნავი ხალხი ყოფილა! შენიშნა ბარტექმა და მოსცილდა ვაგონს.

შემდეგს ვაგონებში ისხდნენ ზუავები. ისინი უფრო საინტერესონი შეიქმნენ ბარტექისათვის. რადგანაც ისინი დახურულს ვაგონებში იყვნენ, არ შეიძლებოდა ნამდვილის შეტყობა, თუ მართლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითოეული მათგანი ორჯერ, ან სამჯერ უმალლესი იყო ჩვეულებრივს ადამიანზედ; მაგრამ ფანჯრებში გამოსჩანდა მაინც გრძელი წვერები და ამაყი უხუმარი სახეები გამოცდილის ძველის სალდათებისა. ბარტექი ისევ დალონდა.

— ესენი უფრო საშიშნი არიან! წასჩურჩულა ვოიტექს, თითქო ეშინოდა, რომ არავის გაეგონა.

— შენ ხომ კიდევ ისინი არ გინახავს, რომელნიც არ დაუტყვევებიათ, უპასუხა ვოიტექმა.

— სწორედ რომ საშიშნი იქმნებიან!

— მართალს მაშინ მეტყვი, როცა ნახავ!

ამას შემდეგ მოშორდნენ ზუავებს, მაგრამ შემდეგს ვაგონს რომ მიუახლოვდნენ, ბარტექმა ერთი უეცრად დაიწია უკან, თითქო დეზი ჰკრესო და დაიყვირა:

— ჰეი, ყარაულო! ვოიტექ, მიშველე!

ბალებულს ფანჯარაში მოსჩანდა ბნელი, თითქმის შავი სახე ტურკოსისა, რომელიც გაგიჟებულსავით აბრიალებდა თვალებს. ის სწორედ დაჭდილი უნდა ყოფილიყო, ისეთ ნაირად ჰქონდა პირის-სახე დამახინჯებული ტანჯვით.

— ჰო, რა იყო? ჰკითხა ვოიტექმა.

— ეს ეშმაკია და არა სალდათი. ღმერთო, მეოხ მეყავ მე ცოდვილსა!

— ხედავ, როგორი კბილები აქვს!

— ოხ, რომ იმას... მე არ შემიძლია თვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავუსწორო. ბარტექი გაჩუმდა, მაგრამ შემდეგ ისევ იკითხა:

— ვოიტექ!

— რა გინდა?

— აბრაფერს უშველის, რომ პირს ჯვარი გადავსახოთ?

— რაში ეკაჭიროება მათ ჩვენი სარწმუნოება! ბრძანეს ვაგონებში შეცვლა. ოთქლით მატარებელიც აინძრა. როდესაც შებინდდა, ბარტექს მუდამ თვალ-წინ უდგა ტურკოსის შავი საბე და ხედავდა მისს საშიშარს გამოთეთრებულს თვალებს. ის გრძნობა, რომელიც იმ ღამეს ბარტექს აღელვებდა, ძალიან ცოტა იმედს იძლეოდა გამარჯვებისას.

IV.

ლირს-შეანიშნავმა ომმა ბრაველოტთან, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ბარტექიც, დაარწმუნა ის, რომ ჩხუბში ხეირი არავის დაეყრება, მაგრამ, აბა, რა უნდა ექმნა! თავ და პირველად იმ პოლკს, რომელშიაც ბარტექი ირიცხებოდა, ნაბრძანები ჰქონდა ფეხ მოუცვლელად დგომა და ლოდინი მთის ძირში, რომელიც დაფარული იყო ვენახებით. შორიდგან მოისმოდა გრიალ-გრიალი ზარბაზნებისა; ახლოს ისმოდა ცხენოსანი ჯარის ბრაგუნი, რომლისაგან მიწა ირყეოდა; ჰაერში ელავდენ თან ბაირაღები და თან რხმლები. მთაზედ ლაქვარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის ცის სივრცეში ზუილ-ზუილით მისცურავდნენ ყუმ-ბარები თეთრის ღრუბლების მზგავსად. შემდეგ ჰაერი აივსო კომლით. თავ და პირველად იფიქრებდი, ომის ქარშიშხალი გვცილდებაო; მაგრამ ეს დიდ-ხანს არ გაგრძელებულა. რამოდენიმე ხნის შემდეგ მოხდა გასაოცარი მოძრაობა. გამოჩნდნენ ახალ-ახალი ჯარები და მათ უკან მოჰქონდათ ზარბაზნები; ცხენებს ხსნიდნენ სწრაფად, თვალის დახამხამებაში. მთელი ველი ჯარებით დაიფარა; ყოველის მხრიდგან ისმის კამანდობა და ადიუტანტები გარბი-გამორბიან. სალ-დათები უჩურჩულებენ ერთმანერთს ყურში: «ჩვენ კი დაგვადგება სიმწრის დღეო!» ან აღშფოთებით ეკითხებიან ერთმანერთს: «ერთი დაიწყებოდეს მა-ინც!» რასაკვირველია, რომ დაიწყება. აი ახლოვ-დება კიდეც რაღაც უცნაური, რაღაც მოჩვენება, შეიძლება სიკვდილი.... კომლში, რომელსაც მთლად დაუფარავს მთა, გიჟსავით იბურგნება რაღაც. თან-და-თან ახლო ისმის ყრუდ იარაღების გრიალი და თოფის სროლა. შორიდგან მოისმის რაღაც განურ-კეველი ტკაცა-ტკუცი,—ეს ყუმბარებისაგან არის. ამ დროს უეცრად, ისე მძლავრი ხმა ვამოსცეს ახლად მომართულმა ზარბაზნებმა, რომ მიწა და ჰაერი ერთ-ბაშად შეინძრა. ბარტექის პოლკის წინ რაღაცამ საშიშრად დაისივლა. ბაიხედა და რას შეხედა: მოჰ-ქრის გამოქანებული რაღაც განათებულ ღრუბელსა-ვით და ამ ღრუბელში რაღაც სისინებს, იცინის, ილ-რიჯება, ხვიხვინებს და ღმუის. ბლეხები ჰყვირიან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყუმბარა, ყუმბარაო! ამასობაში ის რალაცაა გრიგალი ქარივით მოდის, უახლოვდება ჯარს, ეცემა მიწაზედ და სქდება! მოისმის საშინელი ხმა, თითქო მთელი ქვეყანა დაიქცაო. სალდათების რაზმი, რომელიც ზარბაზნების ახლოს იდგა, აირევ-დაირევა, ისმის ყვირილი და შემდეგ ბრძანება: «დადექით!» ბარტექი სდგას პირველს რაზმში, თოფი მხარზედ უდევს, საყესავით ამართულია, ყბა მაგრად ახვეული აქვს და მხოლოდ ამიტომ არ უცახცახობს კბილები. არც განძრევისა და არც თოფის სროლის ნება არ აქვსთ. უნდა იდგე და ელოდებოდე! ამასობაში მოჰქრის ყუმბარა-ყუმბარაზედ. ქარიჰფანტავს კომლს, რომელიც მთას ფარავს. ფრანცუზებმა ჩამორეკეს კიდეც მთიდგან პრუსიის ბატარეია და გამართეს თავისი და მისცეს ზარბაზნების ცეცხლი ველს. წამ-და-უწუმ ხშირის ვენახიდგან ამოდის გრძლად თეთრი ზოლი კომლისა. ქვეითი ჯარი ზარბაზნების მფარველობის ქვეშ, თან-და-თან იწევა ძირს, რომ გამართოს თოფის სროლა. ახლა ფრანცუზები ძალიან კარგად მოჩანან. დაედვა თუ არა ვენახებს ხაშ-ხაში ფერი? არა! ეს ქვეითი ჯარის წითელი ქუდებია. შევიდნენ კიდეც ისინი ვენახებში. ერთი სულიც აღარ სჩანს; მხოლოდ ადგილ-ადგილ ფრიალობს ჰაერში სამფეროვანი ბაირალი. დაიწყეს თოფის სროლა ხშირი, არეული, დაჭინებული, გაფიცხებული და ეს თოფის სროლა იხეთქავს ხოლმე სულ ახალ-ახალ ადგილებზედ. ამ თოფის სროლაში ღმუიან ყუმბარები, ირევიან ერთმანერთში. მთაზედ დრო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო მოისმის ყვირილი, რომელსაც ქვევიდგან ბავშ-
აძლევს ნემცების «HURRAH!» (ურა!) ძირს ველზედ გა-
ნუწყვეტლად გრიალობენ ხარბაზნები. პოლკი სდგას
უძრავად. აი ამასაც სწვდა თოფის ცეცხლი. ტყვიები
ბზუიან შორს ბუზებსავით, ან და გაგიქროლებს
ახლოს ყურთან საშინელის სტვენით. ტყვიები თან-
და თან მრავლდებიან: აგერ გაგიქროლებს ტყვია
თავთან, ფეხებთან, თვალებთან, მხრებთან ათასობით,
მილლიონობით. ბარტექის ზურგს უკან ვილამაც
უეცრად დაიკვნესა: «ოხ, ღმერთო ჩემო»! მოისმის
განმეორებით: «წრე შეჰკარით!» ძიდევ დაიკვნესებს
ვილაც: «ოჰ, ღმერთო ჩემო!» ისევ იგივე ბრძანება:
«წრე შეჰკარით!» ბოლოს შეიქმნება ერთი განუწყვე-
ტელი კვნესა, კომანდობა ხშირდება, რაზმები იჯგუ-
ფებიან. დახოცილებს მოათრევენ ფეხებით. სწორედ
რომ მეორედ მოსვლაა!...

— ბეშინია? ეკითხება ვოიტექი.

— როგორ არ უნდა მეშინოდეს? უპასუხებს
ჩვენი გმირი კბილების კრაჭუნით.

ბარტექი და ვოიტექი გაჩერებულან თავ-თავის
ადგილას და ფიქრადაც არ მოსდისთ, რომ გაპარვით
თავის დალრწევა შესაძლებელია. ნაბრძანები აქვსთ
და უნდა იდგნენ. მაგრამ ბარტექი სტყუის, მას ისე
არ ეშინია, როგორც სხვებს შეეშინდებოდათ მის
ადგილას რომ ყოფილიყვნენ. დისციპლინა მთლად
იპყრობს იმის აზრს და ეს უკანასკნელი ისე
სასაშიშრად არ უხატავს მას მდგომარეობას, როგორს

საშიშროებასაც ეგ მდგომარეობა მართლა წარმოადგენს. ბარტექი ჰფიქრობს მაინც, რომ ცოცხალი ვერ გადურჩება ამ ომიანობას და ამ აზრს უმჟღავნებს ვოიტექსაც.

— ძვეანა არ დაიქცევა, თუ ერთი სულელი მოაკლდება! უპასუხებს წყრომით ვოიტექი.

ამ სიტყვებმა სრულიად დაამშვიდა ბარტექი. შეიძლება, რომ მართლაც მთელი დაკითხვა მდგომარეობდა მხოლოდ ამაში, დაიქცევა თუ არა მართლა ქვეანა. ამ მხრით რომ დამშვიდდა, შემდეგ ალაჭურვა მოთმინებით, მაგრამ გრძნობდა კი მაინც, რომ საოცრად ცხელოდა მას. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. ამასობაში თოფის სროლაც თან-და-თან ძლიერდება და რაზმები ერთი-მეორეზედ ჰქრებიან. მამაკვდავების ხროტინი ერევა ტყვიის ზუილს და იარაღების გრგვინვას. მკვდრები და დაჭრილები ალარავის ალარ გამოაქვს ბრძოლის ველიდგან. სამფეროვანი ბაირაღი მოძრაობს, ეტყობა, რომ ვენახებში დამალული ქვეითი ჯარი თან-და-თან ახლოვდება; რაზმები სასოწარკვეთილებაში ვარდებიან.

მაგრამ ამ სასოწარკვეთილების მიოქმა-მოთქმაში მოისმის გაბოროტებული და მოუთმენელი დრტვინვაც, იმ დროს რომ ადგილიდგან დაძვრის ნება მიეცათ, სალდათები სწორედ ველურ მხეცებსავით გაიქცეოდნენ წინ, მაგრამ ლოდინი კი აუტანელია. ვილაც სალდათი მოიგლეჯს თავზედ ქუდს, დაარტყამს მიწაზედ, რაც ძალი და ღონე აქვს, და იტყვის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძალლი ერთხელ მაინც ხომ უნდა ჩაკვდეს!

ამ სიტყვებმა ისე დაამშვიდა ბარტექი, რომ სრულიად გამხნევდა. მართლა, თუ კი ძალლი მხოლოდ ერთხელ უნდა ჩაკვდეს, მაშ, კაცმა რომ სთქვას, აქ მაგდენი თავის სახეთქიც არა არის რა. ეს გლეხური ფილოსოფია სწორედ რომ ყოველ ფილოსოფიაზედ უკეთესია, მიტომ რომ კაცს ამხნევებს. ბარტექმა წინედაც კი იცოდა, რომ ძალლი მხოლოდ ერთხელ მოკვდება, მაგრამ მაინც ძალიან იამა ახლა ამის გაგონება და ამაზედ გულის დაჯერება, მიტომ უფრო რომ ბრძოლამ მიიღო ნამდვილის ელეტა-ხოცვის ხასიათი. აი პოლკს ჯერ ერთი თოფიც არ გაუგდია და ნახევარი კი ალარ არის. სალდათების გროვა სხვა-და-სხვა პოლკებიდგან მირბის ბრძოლის ველიდგან, მაგრამ იარმოელი, დიდი და პატარა კრივდელი, ნედოლელი და ნელჩასტნოელი გლეხები პრუსიის მკაცრი და უწყალო დისციპლინისაგან დამონავებულნი სდგანან გაშეშებულნი. მაგრამ მათი რაზმიც ირყევა. მხოლოდ ერთი წუთი კიდევ და დისციპლინის ჯაჭვი მტვრად იქცევა. მიწა ფეხქვეშ რბილდება სისხლისაგან, რომლის ცხარე სუნი ერევა თოფის წამლის სუნს. ზოგიერთს რაზმში დაცილებულს სალდათებს არ შეუძლიათ შეერთდენ, მიტომ რომ მიწა მოფენილია დახოცილებით. აი აგერ სალდათების წინ, თავიანთს ადგილზედ რომ შეურყევლად სდგანან, სცურავენ მომაკვდავნი სისხლის ტბაში, კვნესიან, ფელენჯ-მორეულივით ძიგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიგებენ და თუ სულს არ ლევენ იქვე, სიცოცხლის ნიშანი ხომ მაინც დაკარგული აქვსთ. სული ეხუთება ადამიანს. რაზმებში მოისმის დრტვინვის ხმა:

— ჩვენ აქ სწორედ სასაკლაოზედ მოგვიყვანეს.

— ვერავინ ვერ წავა აქედან ცოცხალი.

— ჩუმად, ... მოისმის აფიცრის ხმა.

— შენ რა გიშავს, ჩემს ზურგს უკან რომ ამოფარებულხარ!

უცებ ვილამაც წამოიძახა:

— შენის მფარველობის ქვეშ...

ბარტექი მაშინვე წამოიძახებს უნებურად:

— შენ მოგმართავთ, ღვთის-მშობელო!...

ამასთანაგე პოლშელების ხორო ამ სიკვდილის ველზედ მიმართავს ვედრებით ჩესტოხონის ღვთის-მშობელს: ,,ნუ უგულებელს ჰყოფ ვედრებასა ჩვენსა!'' და მათ ფეხქვეშ ისმის ოხვრა: «ოჰ, ღვთის-მშობელო დედაო!»

ღვთის-მშობელმა თითქო მართლა შეიწყნარა მათი ვედრება, მიტომ რომ თითქმის იმავე წამში მოირბინა ადიუტანტმა და შესძახა სალდათებს: «შუბები, აბა იერიშით!» სალდათებმა მ ისვე დაუშვეს შუბები ძირს, დაეწყვნენ გრძლად და გაექანენ მთისაკენ მტერის მოსაძებნელად, რომელნიც ვენა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებში იმალებოდა. მაგრამ მთამდის კიდევ იქმნება ორას ნაბიჯამდის და ეს მანძილი სალღათეებმა უნდა გაირბინონ მომაკვდინებელს ცეცხლში... არ დაიღუპებიან განა ახლა ისინი მთლად ყველანი? ნუ თუ არ უშველიან თავს და არ გაიქცევიან? შეიძლება დაიღუპონ და გაქცევით კი არ გაიქცევიან, მიტომ რომ პრუსიელებმა კარგად იციან, თუ რა უმღერონ პოლშელებს იერიშის დროს. ზარბაზნების გრგვინვაში, სროლაში, კომლში, არეულებაში და კვნესაში ხმა მაღლა მოისმის ბუკის ხმა:

. . . . . .

— ურა! გრიალებენ გლეხები და თან იმღერიან:

. . . . . .

პოლშელებს თავიანთი თავი აღარ ახსოვსთ; გარშემო ცეცხლის ალი არტყიათ, მაგრამ ისინი გრიგალი ქარივით მიჰქრიან მაინც მტრისაკენ. ბევრი ეცემა, ჰკვდება, მაგრამ ვინც ცოცხალი რჩება, არ ჩერდება მაინც, მიდის და მიდის მტრისაკენ. აჰა, კიდევაც მიაწიეს ვენახების ბოლოში და შედიან შიგ. იამის მხოლოდ სიმღერის ხმა და ხანდის-ხან აქაიქ გაიელავს შუბი. ზევით მთაზედ გაცხარებული სროლაა. ქვევით ბუკის ხმა არ სწყდება. ფრანცუზების გაცხარებული და გამალებული სროლა ხშირდება თან-და-თან, მაგრამ უეცრად შესწყდება. იქ,

ძირს მოხუცი შტეინმეცი სწევს ფარფორის ჩიბუხს და ღიმილით ამბობს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პოლშელებს ოღონდ კი ეს ხმა გააგონეთ და! უოჩალ, ბიჭებო! მთას მოექცევიან კიდეც წვერზედ და!....

ამის შემდეგ ერთი სამფეროვანი ბაირაღი, რომელიც ამაყად ფრიალებდა ჰაერში, შევარდება ზევით, ჩამოეშვება ძირს და ბოლოს ჰქრება სადღაც....

— არ უყვარსთ ხუმრობა! შენიშნავს შტეინმეცი.

ბუკი უკრავს წინანდელს ხმას. პოზნანის მეორე ჯარი მიიჩქარის პირველი ჯარის მისაშველებლად. ხშირს ვენახში შუბების გაცხარებული მუშაობაა....

ახლა კი, მუზავ, ადიდე ჩემის გმირის მამაცობა, რომ მიაღწიოს ამ მამაცობამ მის შთამომავლობამდე. ბარტექს ახლა შიში, მოუთმენელობა და სასოწარკვეთილება გადაექცა რაღაც გიჟურს გრძნობად. იმას დაავიწყდა, რომ «ძალლი ერთხელ ხომ მაინც უნდა ჩალძეს,» დაავიწყდა თავის თავი და ყოველის ფერი ქვეყანაზედ. წამოატანა ძალუმად ხელი თოფს და გაექანა სხვებთან ერთად წინ. სანამ მთის ძირამდე მიეიდოდა, გზაზედ რამდენჯერმე დაეცა, ცხვირ-პირი დაიმტვრია, გაისვარა ტალახში და სისხლში, რომელიც ცხვირიდგან წახეთქოდა, მაგრამ მაინც მირბოდა წინ, დიდის ქშენით პირდაღებული. ვენახთან რომ მიაწია, უფრო გამოქაჩა თვალები ფრანცუზების მოსაძებნელად და ამ დროს, უცებ, წაადგა სამ კაცს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელნიც იდგნენ ბაირაღებთან. ესენი იყვნენ ტუ-
კისტები. მაგრამ ბარტექს ახლა კი აღარ შეშინებია.
აბა! ის ახლა თვით ეშმაკსაც კი წააგლებდა ხელს
ლაში. ისინიც თავისის მხრით კიჟინით დაეტაკნენ
ბარტექს. ორი შუბი ეს-ეს არის დაეტაკება მისს
გულს, მაგრამ ჩვენმა ბარტექმა სწრაფად მოაბრუნა
თავისი თოფი და კონდახი უთავაზა ერთჯერ-ორ-
ჯერ....

პასუხად მოისმა სულის აღმაშფოთებელი ღრია-
ლი და ორი შავი გვამი საცოდავად იკლაკნებოდა
მიწაზედ. ამ დროს მესამე ტურკოსს მოეშველა ათი-
ოდე ამხანაგი. ბარტექი გაგიჟებულივით ეცა მათ. ბა-
მოვარდა ერთად რამდენიმე თოფი, მაგრამ იმავე
წამში თოფის წამლის კომლში გამოისმა ბარტექის
ჩახლეჩილი ხმა:

— უკაცრავად ბრძანდებით!

და ბარტექის თოფმა კიდევ გაავლო ჰაერში
თავ-ზარ-დამცემი ნახევარი წრე და ამის პასუხად
მოისმა ისევ კვნესა. შეშინებულმა ტურკოსებმა და-
ხვიეს უკან ამ გაგიჟებული გმირის დანახვაზედ და ამ
დროს ბარტექს მოესმა რაღაც არაბული სიტყვა;
ბარტექს მოეჩვენა, რომ ვითომც ისინი იძახოდნენ:
მაგდა, მაგდა!

— აჰა, მაგდა მოგინდათ თქვენ, განა! და-
ღრიალა ბარტექმა და ელვასავით გაჩნდა მტრებში.

მისდა ბედად, ამ დროს მოირბინეს სხვა ბარ-
ტექებმა და ბოიტექებმა მოსაშველებლად და გაიმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა შეუპოვარი ბრძოლა; ყველანი გაჩუმებულნი იყვნენ, მხოლოდ დრო-და-დრო მოისმოდა კვნესა და ხშირ-ხშირი ოხვრა.

ბარტექი ოფობდა ათი კაცის ტოლად. მთლად გაშავებული კომლისაგან, გასვრილი სისხლით, ბარტექი უფრო მხეცს ჰგავდა, ვინემ კაცს; ის თოფის ყოველს მოქნევაზედ პირქვე ამხობდა კაცებს, თოფებს უმსხვრევდა და უტეხდა თავს. მისი ხელები მოძრაობდნენ გასაოცარის სისწრაფით, მაშინასავით და აოხრებდნენ ყოველისფერს. მიალწია თუ არა მედროშესთან, ბარტექმა მაშინვე სტაცა იმას ხელები ყელში, მედროშეს თვალები კინალამ წამოსცვივდნენ, სახე აევსო სისხლით, ამოიხროტინა და გააგდო ხელიდგან დროშა.

— ურა! დაიყვირა ბარტექმა, ამართა დროშა და ერთი ძალუმად გააქნ-გამოაქნია ჰაერში.

აი ამ დროშის მოძრაობა დაინახა შტეინმეცმა ქვეშიდგან. მაგრამ იმან შეხედა დროშას მხოლოდ ერთს წამს, მიტომ რომ ბარტექმა თითქმის იმავე წამს სთხლიშა დროშის ტარი ერთს სალდათს და ოქრომკედით მოქარგული კეპი თავზედ გადაეფხრიწა.

ამასობაში ყველა მისი ამხანაგები წინ გაიქცნენ; დარჩა მარტო ბარტექი; იმან მოაგლიჯა ბაირალი ტარს, შეჰხვია და უკუიდო უბეში. თვითონ ტარს მოავლო ორივე ხელები და გამოეკიდა უკან თავის ამხანაგებს.

ტურკოსები, რომელნიც მხეცებსავით ბღაოდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მირბოდნენ ზევით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარბაზნებისაკენ და მათ უკან მისდევდნენ ფოიტექები და ბარტექები ხიშტისა და თოფის კონდახის ცემით. ზარბაზნებთან მყოფნი ზუავები შეხვდნენ მათ თოფის სროლით.

— ურა! დაიყვირა ბარტექმა.

სალდათები მივარდნენ ზარბაზნებთან. აქ დაიწყო ახალი შეტაკება. იბრძოდნენ მხოლოდ ხიშტებით.

ამასობაში მეორე პოზნანის პოლკი მოეშველა პოლშელებს. დროშის ტარი ბარტექის ხელში გარდაიქცა რალაც ჯოჯოხეთის იარაღად. ყოველთვის, როცა კი ბარტექი ამ ტარს მოიქნევდა, მჭიდროდ შეერთებულ ფრანცუზების რაზმში, ერთ-ერთი უნდა გამოთხოვებოდა ქვეყანას. ზუავებსა და ტურკოსებს შიშის ზარი დეჯათ. ისინი მოშორდნენ იმ ადგილს, სადაც ბარტექი იბრძოდა. ცოტა ხნის შემდეგ ბარტექი კიდეც იჯდა ზარბაზანზედ ისე გაბედულად, თითქო იარმოში თავისს თეთრს ცხენზედ ჯდომილიყოს. სანამ ამხანაგები მოვიდოდენ, ბარტექმა მეორე მედროშის მოკვლაც მოასწრო და ახლა ის იჯდა სხვა ზარბაზანზედ.

— ურა, ბარტექ! დაიგრიალეს სალდათებმა.

ბამარჯვება იყო სრული. პრუსიელებმა დაიპყრეს ზარბაზნების მსროლელნი, ხოლო გაქცეული ფრანცუზების ქვეითი ჯარი შეეხალა მეორე პრუსიელების პოლკს და მიეცა ტყვედ. ჩვენმა ბარტექმა თავისის მხრით წაართვა მტრებს სამი დროშა. უნდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგეხედათ მისთვის მაშინ, როდესაც ის დაქანცული, სისხლში გაოხიბნილი და ოფლად გახეთქილი ხვნეშით დაეშვა ძირს მთიდგან სხვებთან ერთად; ხელში ეკავა ბრძოლის ველზედ ნაშოვნი ალაფი. რას მიჰქვიან ფრანცუზი? ამბობდა თითქო მისი პირისახე. მის გვერდით მოდიოდა მთლად დაკაწრული და ხორც-დაგლეჯილი ვოიტექი, რომელსაც ბარტექმა მიჰმართა შემდეგის სიტყვებით:

— რას სტყუოდი შენ? არა ვითარი ძალა და ლონე ამ საძაგლებს არ ჰქონიათ. ცოტა კი დაგვკანჭეს, მაგრამ მეტი ხომ არაფერი? მე კი, საკმაო იყო, ტყვილა თითი დამეწო რომ მიწაზედ დანარცხებოდნენ.

—ვინ იცოდა, თუ შენ ასეთი გადარეული იყავი? უპასუხა ვოიტექმა, რომელიც ხედავდა თავის ამხანაგის სიმამაცეს და რომელსაც ახლა სულ სხვა ნაირად უყურებდა. ვინ არ იცის ბარტექის შრომა და ღვაწლი? ყველამ იცის: მთელმა ჯარმა, აფიცრების უმეტესმა ნაწილმა და ისტორიამაც. ყველანი გაკვირვებით უყურებდნენ ამ მოსრულს კაცს, ცოტა შეჭალარებულს წვერ-ულვაშიანს, რომელსაც თვალები გამოექიმა. ACH, SIE FERFLUCHTER POLAKE! (აი, შენ დაწყეველილო პოლშელო!) უთხრა მას თვითონ მაიორმა და მოსწია ყური; ბარტექმა ამის პასუხად გაუღიმა მას კეთილის ღიმილით. როდესაც პოლკი ხელახლავ დაეწყო მთის ძირში, მაიორმა წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუდგინა ბარტელი პოლკოვნიკ, ხოლო პოლკოვნიკმა თვით შტეინმეცს.

სარდალმა დაათვალიერა დროშები და ბრძანა მათი წაღება; შემდეგ დაკვირვებით დაუწყო ცქერა ბარტელ. ჩვენი ბარტელი სდგას გაჭიმული საყვესავით და თოფი გვერდზედ უკავია. გამოცდილი მხედარი ათვალიერებს მას და თან სიამოვნებით აქნევს თავს. ბარკვეულად ისმის სიტყვა: „UNTEROFFIZIER" (უნტერ-აფიცერი.)

— ZU DUMM EXCELLENZ! (მეტად სულელია, თქვენო აღმატებულებავ!) მიუგო მაიორმა.

— ვნახოთ! ეუბნება მისი აღმატებულება და მიუახლოვდება ბარტელ.

თვითონაც არ იცის ბარტელმა, თუ რა მოსდის მას. მართლაც არ ვაგონილა, პრუსიის ჯარში რომ ლენერალს უბრალო სალდათთან ლაპარაკი გაემართოს. მის აღმატებულებას არ გაუჭირდება ბარტელთან გამოლაპარაკება, რადგან თვითონ კარგად ესმის პოლშური ენა. ეს ეც კია, რომ ამ სალდათმა წაართვა მტერს სამი ბაირაღი და ორი ზარბაზანი.

— შენ სადაური ხარ? ჰკითხავს ლენერალი.

ბარმოელი, მიუგებს ბარტელი.

— შენი სახელი?

— ბარტელ სლოვიკი.

— MENSCH, (კაცი) განმარტებს მაიორი.

— MENS (კაცი) იმეორებს ბარტელი.

— იცი, რატომ ეომები ფრანცუზებ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ არა, ვიცი, თქვენო ალმატებულებავ.

— აბა მითხარი!

ბარტექმა დაიწყო ბუტბუტი.... მიტომ რომ.... მიტომ რომ.. ამ დროს მისდა ბედად, უცებ გაახსენდება ვოიტექის სიტყვები და, რომ ალარ გადაავიწყდეს, წამოიძახებს:

— მიტომ რომ ისინი არიან იგივე ნემცები, მხოლოდ უსაძაგლესნი.

მის ალმატებულებას ამ სიტყვებზედ ტუჩები აუკანკალდება, თითქო გადახარხარება უნდაო. ამის შემდეგ მი ი ალმატებულება მიუბრუნდება მაიორს და ეტყვის:

— თქვენ მართალი ბრძანეთ.

თავის თავზედ კმაყოფილი ჩვენი ბარტექი გაჯგ მული დგას.

— ვინ მოიგო დღეს ომი? ჰკითხავს კიდევ ლენერალი.

— მე, თქვენო ალმატებულებავ, მიუგებს შეურყეველად ბარტექი.

— დიალ, დიალ, რასაკვირველია რომ შენ და ი შენ ჯილდოც. და მოხუცი მეომარი იხსნის თავის გულიდგან რკინის ჯვარს, დაიხრება დაბლა და თავის ხელით დააბნევს გულზედ ბარტექს. მისი ალმატებულება რომ კარგს გუნებაზეა, ეს ეტყობათ მის პოლკოვნიკებს, მაიორებს, კაპიტნებს და უნტერ-ოფიცრებს. როდესაც მისი ალმატებულება წაბრძანდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლკოვნიკმა თავის მხრით აჩუქა ბარტექს ათი ტალერი, მაიორმა ხუთი და ასე, ამ გვარად დაასაჩუქრა ბარტექი ყველამ. ყველა ეუბნება მას ღიმილით, რომ მან მოიგო ჩხუბი. ბედნიერია ბარტექი; სიხარულით მიწაზედ ფეხი აღარ უდგას.

ბასაოცარი ამბავია, რომ მხოლოდ ერთად ერთი ვოიტექი არ არის კმაყოფილი ჩვენის გმირისა.

სალამოს, როდესაც ორივე ცეცხლის პირს იახლნენ და ბარტექს პირი კუპატივით გამოტენილი ჰქონდა მუხუდოთი, ვოიტექმა წყნარად შენიშნა:

— ოჰ, ბარტექ, ბარტექ, სწორედ რომ სულელი ხარ!

— აბა, რასთვის, ჰკითხავს ჩვენი გმირი და თან ყლაპავს მუხუდოს.

— მაშ, როგორ უთხარი შენ ღენერალს, რომ ფრანცუზები იგივე ნემცები არიანო?

— ეს ხომ შენ თვითონ მითხარი!

— კი, მაგრამ ღენერალი და აფიცრები ხომ ნემცები არიან.

— რაო მერე?

ვოიტექი შედგა.

— ყური დამიგდე: თუმცა ისინი კი ნემცები არიან, მაგრამ მაინც არ ვარგა მათთან ასე ლაპარაკი-არ არის კარგი.....

— მე ხომ ფრანცუზებზედ ვსთქვი და არა მათზედ.

ვოიტექი უეცრად გაჩუმდა. ცხადია, რომ მას უნდოდა აეხსნა ბარტექისათვის, რომ ნემცებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ მათი ლანძღვა-გინება არ ვარგა, მაგრამ ველარ მოახერხა თავის აზრის გამოთქმა და თავი დაანება.

V.

შემდეგ ამისა მალე პრუსიის სახელმწიფო ფოშტამ მოიტანა იარმოში შემდეგის შინაარსის წერილი:

ქურთხეულ არს უფალი ჩვენი იესო ქრისტე და ყოვლად წმინდა მშობელი მისი! შეძვირფასესო მაგდა! რა ამბებია თქვენში? შენ კარგად ხარ მანდ ბუმბულში გახვეული და აქ კი ომში საშინელებაა. ვიყავით ჩვენ დიდი მეცის ციხესთან, შეიქმნა ბრძოლა და ფრანცუზებს ისე ვხოცდი, რომ მთელი ჯარი გაკვირვებული იყო. ლენერალიც ძალიან მადლობელი დარჩა. მითხრა, ჩხუბი შენ მოიგეო და მომცა ჯვარი. ახლა აფიცრები და უნტერ-აფიცრები ძალიან პატივს მცემენ და ცხვირ-პირში აღარ მირტყმენ. შემდეგ ჩვენ წავედით აქედგან სხვაგან, კიდევ გაიმართა ბრძოლა,-დამავიწყდა-რა ერქვა იმ ქალაქსა-და იქაც ბევრი ფრანცუზი ამოვსწყვიტე, წავართვი მტერს მეოთხე დროშა და ერთი კირასირის პოლკოვნიკიც ტყვედ წამოვიყვანე. ერთმა უნტერ-აფიცერმა მირჩია, ჩვენ პოლკს რომ დაითხოვენ, მე დავწერო «რეკლამაცია» და დავრჩე, მიტომ რომ ომში მხოლოდ საწოლი არ გვაქვს, თოფემ საჭმელი იმოდენია, რამდენიც კი გვინდა და ღვინოც ბევრი გვაქვს, მიტომ რომ აქეთ მდიდარი ხალხი ყოფილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ერთ სოფელს ვწვავდით, მაშინ არც ქალებს და არც ბავშვებს არავინ ინდობდა და არც მე ვინდობდი. ეკლესიაც მთლად გადავწვით, მიტომ რომ ისინი კათოლიკები არიან, და კაცებიც ბევრი შეიხრაკა. ახლა ჩვენ თვით ხელმწიფის წინაალმდეგ მივდივართ და ამითი კიდევაც გათავდება ომი. შენ ყური უგდე კარგად ოჯახს, აგრეთვე ფრანიოკსაც, თორემ როცა დაბრუნდები, გვერდებს დაგიზელ. შენ ჯერ კიდევ არ იცი, მე ვინა ვარ! მშვიდობით!

ვორფოლომეი სლოვიკი.,,

ბარტექს, ეჯყობა, გაუცვნია ომის გემო და უყურებს მას როგორც ხელობას. ის ახლა ძალიან ენდობოდა თავის თავს და ჩუბში ისე მიდიოდა, როგორც იარმოში მიწის სახნავად. ქოველის ბრძოლის შემდეგ ბარტექის გულზედ ჩნდებოდნენ ახალ-ახალი მედლები და ორდენები; მართალია, უნტერ-აფიცროობა არ მისცეს, მაგრამ ეს კი იყო, რომ იმან დაიმსახურა უკეთესის სალდათის სახელი. ის, როგორც წინეთ, ახლაც ძალიან ემორჩილებოდა დისციპლინას და ისეთს ბრმა სიმამაცეს იჩენდა, რომ არავითარს საშიშროებაში არ აძლევდა თავის თავს ანგარიშს. ეს სიმხნე ახლა ალარ იყო გამოწვეული გაბრაზებით, როგორც პირველს ბრძოლაში, არამედ დამოკიდებული იყო სალდათურს მიჩვევაზედ და თავის თავის რწმუნებაზედ. ამასთანავე შეუპოვარი მისი ფიზიკური ძალა და ღონე აიტანდა ყოველ-გვარს გასაჭირს, რომელიც აუცილებელია მეომარის ცხოვრებაში. იმის გარშემო ველანი მოუძლურდნენ და თვითონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი ადრინდულად მხნედ იყო; მხოლოდ უფრო გაუნდილდა, გატლანქვდა და, რაც დრო მიდიოდა, თან-და-თან უფრო კარგი სალდათი ხდებოდა. ის ახლა, არა თუ ქლეტდა ფრანცუზებს, ეზიზღებოდა კიდეც ისინი. სხვა გრძნობებიც გამოეცვალა მას; იგი შეიქმნა სალდათი-პატრიოტი და აღმერთებდა თავის უფროსებს. შემდეგს ბარათში ის სწერდა მაგდას: «ბოტექი დაგლიჯეს ლუკმა-ლუკმად, მაგრამ ომს ამიტომაც ჰქვია ომი, გესმის! ის სულელი იყო, მიტომ რომ ამბობდა, ფრანცუზები იგივე ნემცები არიანო, და მართლა კი-ისინი ფრანცუზები არიან, ხოლო ნემცები ჩვენია.»

ამ ორი წერილის პასუხად მაგდამ გაუგზავნა თავის ქმარს შემდეგი ბარათი:

« შეძვირფასესო ბარტექ! მე და შენ ეკლესიაში ვართ ჯვარ-დაწერილნი და ღმერთი დაგსჯის შენ შენის ცოდვებისათვის. შენ თვითონ ულმერთო და სულელი ხარ, ...

. . . . . .

. . . . . .

შენ გინდა ომი, შენ მაწანწალა, მიტომ რომ გინდა ზარმაცობა, სიმოვრალე, ხალხის შეურაცყოფის მიყენება, მარხვის ჭამა და ეკლესიების გადაწვა. ჯოჯოხეთშიაც კი დახრაკულხარ შენ ამისთვის! შენ კი კიდევ თავი მოგწონს იმით, რომ არ იბრალებ არც მოხუცებს და არც ბავშვებს. ბახსოვდეს, შე ხბოს-თავო, თუ რას უბრძანებს პოლშელებს სალმრთო წერილი და ან რა არის დაწერილი ოქროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასოებით ქვეყნის შექმნიდგან ვიდრე მეორედ მოსვლამდე! თავი შეიმაგრე ცოდვებისაგან, შენ წყეულო, თორემ კბილებს დაგამტვრევ. ბიგზავნი ხუთ ტალერს, თუმცა მე ახლა კარგი დღე არ მადგია და ოჯახობაც ცუდად მიდის. ათასს კაკოცებ, ჩემო ძვირფასო ბარტექ.

მაგდა.»

იმ ზნეობითმა დარიგებამ, რომელიც ამ წერილში იყო, არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა ბარტექზედ, რომელმაც წაკითხვისა თანავე წაიბუტბუტა: ,,დედა-კაცს სამსახური არ ეშმის და ერევა კი მაინც საქმეში.'' ბარტექი ამის შემდეგაც ადრინდულად ებრძოდა ფრანცუზებს; და ისე მარჯვედ იყო ყოველს ბრძოლაში, რომ მიიქცია ყურადღება შტეინმეცზედ უფრო წარჩინებულის პირებისა. ბოლოს, როცა განახევრებული ჯარები გაგზავნეს თავიანთს სამშობლოში, ბარტექმა შეიტანა, უნტერ-ოფიცრის რჩევით, «რეკლამაცია» და დარჩა ისევ საფრანგეთში. ასე, ამ გვარად იმან ამორგო თავი პარიჟში.

მისი წერილები მაგდასთან ახლა სულ სავსე იყო ფრანცუზებისადმი სიძულვილით. ,,ყოველს ბრძოლაში ფრანცუზები კურდღელსავით მიიპარებიანო,'' სწერდა იგი მაგდას და სწერდა მართალს. მაგრამ პარიჟთან ბრძოლა კი ბოროტად მოეწონა ბარტექს. ხან-და-ხან მთელი დღე შეუხვდებოდა ხოლმე თხრილში წოლა, იარაღების გრიალის სმენა და წვიმაში დასველება. ამასთანავე სწერდა, რომ ადრინდელს თავის პოლკის ამხანაგებს ველარ ხედავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იმ პოლკში, სადაც ბარტექი შერიცხული იყო. ახლა თითქმის სულ განსაკუთრებით ნემცები იყვნენ. ცოტ-ცოტათი ახლა კი ლაპარაკობდა ბარტექი ფრანცუზულად, მაგრამ არც ისე კარგად, და სულაც ამისთვის უფრო ეძახდნენ მას «POLNISCHER OCHSEN,» (პოლშელს ხარს) და მხოლოდ ორდენები და მედლები იფარვიდნენ იმას კიდევ ამაზედ უფრო საგრძნობელის დევნულებისაგან. რამოდენიმე შეტაკების შემდეგ ფრანცუზებთან, აქაც მოიგო მან ამხანაგების პატივისცემა და შეუთვისდა კიდეც მათ. ბოლოს და ბოლოს ბარტექს მთლად თავისიანად სთვლიდნენ, რადგან იმის წყალობით ჰქონდა სახელი მთელს პოლკს. ბარტექი ძალიან სათაკილოდ ჩასთვლიდა, სხვას რომ ვინმეს ეთქვა მისთვის ნემეცი ხარო, მაგრამ ფრანცუზი რომ მოაგონებდებოდა, მაშინ თვითონაც კი უწოდებდა ხოლმე თავის თავს „EIH DEUTSCHER„ (ნემეცს.) ბარტექს ეგონა რომ ეს სულ სხვა იყო და ამასთანავე იმას არ უნდოდა, რომ სხვაზედ უარესი ოფიცერიყო. ბარტექს ერთხელ შეხვდა იმისთანა საქმე, რომელმაც ძალიან დააფიქრა, თუ კი შესაძლებელი იყო, რომ ფიქრს მიეწია იმისს გმირულს გონებამდის. ერთხელ იმის პოლკის რამოდენიმე ნაწილი გაგზავნეს მსროლელის ჯარის წინაალმდეგ. ჩაესაფრენ და მართლაც მტრის ჯარი დაატყვევეს. მაგრამ ახლა კი ველარ დაინახა ბარტექმა ადრინდულად წითელ-წითელ ქუდიანი სალდათები, რომელნიც პირველის სროლისათანავე იპარებოდნენ; მიტომ რომ ეს მტრის

ჯარი იყო შემდგარი ვილაც უცხო სალდათებისაგან. პოველის მხრით შეკრული მტრის ჯარი ისე მამაცურად იბრძოდა, რომ ზოგიერთი იმათგანი კიდეც დაუსხლტა ხელიდგან ნემცებს; მომეტებული ნაწილი ამოიხოცა, რადგანაც ტყვედ დანებება არ უნდოდათ თავის, რადგან კარგად იცოდნენ, თუ რა მდგომარეობა მოელოდა იმათ ნემცების ხელში. იმ როტამ, რომლის რაზმშიდაც ბარტექი ითვლებოდა, დაიჭირა მხოლოდ ორი ტყვე. საღამოს ტყვეები დაამწყვდიეს ტყის მცველის ქოხში და კარებზედ დაადგნეს რამდენიმე ყარაული. მეორე დღეს უნდა დაეხვრიტათ ისინი. ბარტექს კი უნდა ეყარაულნა ტყვეებისათვის თვით ქოხში. ერთი ამ ტყვეთაგანი ყმაწვილი ალარ იყო, წვერ-ულვაში გაჭალარებული ჰქონდა, პირის-სახეზედ გულ-გრილობა ეტყობოდა. მეორე კი ოცის წლისა თუ იქმნებოდა; იმის პირის-სახე ოდნად იყო დაფარული წვერ-ულვაშით და უფრო ქალიშვილს ჰგავდა, ვინემ მხედარს.

— ეჰე, ესეც უკანასკნელი წამი დგება! სთქვა უკანასკნელმა; თოფი გავარდება და მეც მომელება ბოლო!

ბარტექი ისეთ ნაირად შეკრთა, რომ თოფი გაუვარდა ხელიდგან: ყმაწვილი კაცი ლაპარაკობდა პოლშურად...

— ჩემთვის სულ ერთია, უპასუხა უნებურად მეორემ: ღმერთმანი, სულ ერთია! დავიღალე ცხოვრებისაგან და დროც არის მოსვენებისა. ბარტექს სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო და უფრო დაუწყო გულმა ტოკვა.

— ბამიგონე! შთხრა კიდევ მოხუცმა:-ხსნა არსაიდგან არ შეიძლება. თუ გეშინია, იფიქრე სხვა რაზედმე, ან და ეცადე, რომ დაიძინო როგორმე. დასწყევლოს ღმერთმა სიცოცხლე! ღმერთს გეფიცები, სულ ერთია!

— დედა მეცოდება! ხმა გაკმენდილად უპასუხა ყმაწვილმა კაცმა. მას უნდოდა, რომ თავის აღშფოთება როგორმე გაექარწყლებია, ან და მოეტყუილებინა მაინც თავის თავი და ამიტომ მოჰყვა სტვენას, მაგრამ უცებ ისევ წამოიძახა:

— დასწყევლოს ეშმაკმა! კიდეც არ გამომშვიდობებივარ.

— მაშ, გამოიქეცი სახლიდგან?

— დიალ, მე ვფიქრობდი, რომ ნემცებს დაამარცხებდნენ და ჩვენებს შვება მიეცემოდათ.

— მეც აგრე ვფიქრობდი, მაგრამ ახლა...

მოხუცმა ერთი გააქნია ხელები და თავის აზრი ისე ხმა დაბლა გაათავა, რომ მისის უკანასკვნელის სიტყვების გაგონება აღარ შეიძლებოდა. ღამე ძალიან ცივდა. წვრილი წვიმა უშხაპუნებდა ფანჯრებს წამდა-უწუმ. ახლო ტყეს სამგლოვიარო ფერი ედვა. ოთახში ყოველის კუთხიდგან ჰქროდა ქარი და ბუხარში ღმუოდა ძალლივით.

ფანჯარას ზევით მაღლა იყო ჩამოკიდებული ლამპა, რომ ქარს არ გაექრო და ძალიან მკრთალად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანათებდა ოთახს. მაგრამ ფანჯარასთან მდგომი ბარ-ტექი ხომ სულ ბნელაში იყო. ეს კიდევ უკეთესი, მიტომ რომ ტყვეები ვერ დაინახავდნენ იმის პირისახეს. ბასაოცარი გრძნობები აღელვებდნენ ამ გლეხს. თავ და პირველად ბარტექი მბოლოდ გაკვირდა; თვალებს ქაჩავდა და სცდილობდა ტყვეების სიტ-ვები კარგად გაეგო. ისინი მოსულან ნემცების დასა-მარცხებლად, რომ ამით პოზნანში მცხოვრებ პოლ-შელებისთვის მდგომარეობა შეემსუბუქებინათ, და თვითონ ბარტექიც სწორედ ამისთვის ებრძოდა ფრანცუზებს.

ამ ტყვეებს ხვალ დახვრეტენ. მერე იმას რაო? ნუ თუ იგი არ გამოელაპარაკოს ამ ტყვეებს? არ უთხრას, რომ მეც პოლშელი ვარ და მეცოდვებითო? ამდროს უეცრად რალამაც სული შეუხუთა. მათი შვე-ლა არ შეიძლებოდა. მაშინ ხომ იმას დახვრეტენ. ოხ, ღმერთო ჩემო, რა დაემართება მათ? ბარტექი ძლივს იმაგრებს თავს ადგილზედ; უჩვეულო სტუმარი, სიბ-რალული ეწვია სალდათის გულს. შინაგანი ხმა ამ-ხილებდა: ,, ბარტექ, უშველე შენს მემამულეებს, ხომ შენიანები არიან!'' და გულიც მიიწევა სახლი-საკენ. იარმოში, ისე მიიზიდება, რომ მეტი არ შეი-ძლება, ითხოვს მას ამ საფრანგეთისაგან, ომისა და ბრძოლისაგან. ახლა კიდევ უფრო გარკვეულად ეს-მის: ,,ბარტექ, უშველე ამ კაცებს!'' ოხ, დასწყევლოს ღმერმა ეს ომი! ტყე თან-და-თან ბნელდება და შუის სამშობლოს ნაძვებსავით და ამ შუილში მოისმის ხმა:

— ბარტექ, მოეხმარე შენს მემამულეებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ჰქმნას ახლა ბარტექმა? ბიჭებს მათთან ერთად ტყეში, თუარა? იმისს სულს, პრუსიის დისციპლინით დამონებულს, აშფოთებს ამ გვარი აზრი.... მომიტევე უფალო! ის, სალდათი, უნდა გაიქცეს? არა, არასოდეს! ამასობაში ტყე უფრო-და-უფრო შრიალებს და ქარიც ღმუის შესაბრალისად:

უფროსმა ტყვემ ხელახლავ წამოიძახა:

— ეს ქარის ღმუილი ჩვენს შემოდგომას მაგონებს.

— თავი დამანებე ერთი, მიუგო მეორემ მრისხანედ.

მაგრამ თვითონაც რამოდენჯერმე ზედი-ზედ ერთად გაიმეორა:

— ჩვენში, ჩვენში, ჩვენში!

ღრმა ამოოხვრა უერთდება ქარის ღმუილს და ტყვეები ისევ გაჩუმდებიან.

ბარტექი ცახცახებს გაცივებულსავით. ყოველისფერზედ ცუდი ის არის, როდესაც კაცს არ შეუძლია მისცეს ანგარიში თავის თავს, თუ რა მოსდის მას. ბარტექს არაფერი არ დაუშავებია, მაგრამ სული ისე ეტანჯება, თითქო რამე მოეპაროს და ეშინია, რომ არ დამიჭიროონ. იმას არაფერი საშიშრება არ ექადის და მაშ რილასი ეშინია. ფეხები ბარტექს აღარ ემორჩილებიან; თოფი დაუმძიმდა და მოსდის ტირილი. ვის სტირის? მაგდას, თუ იარმოს? თვითონაც არ იცის; მაგრამ გრძნობს კი, რომ გამოუთქმელად ებრალება ყმაწვილი ტყვე და რომ მას არ შეუძლია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გრძნობას მოუხერხოს რამე. დრო-დროზედ ბარტექს ეჩვენება, რომ ვითომ სძინავს. ქარი თან-დათან მატულობს და ამ შუილში ბარტექა ესმის რალაც გასაოცარი ყვირილი და ხმაურობა.

ამ დროს უეცრად თავზედ თითოეული თმა აებუძგება. ბარტექს ეჩვენება, რომ იქ, სადაც ტყის სილრმეში, ვილაც კვნესის და იმეორებს: „ჩვენში, ჩვენში, ჩვენში!„ ბარტექი ცახცახმა აიტანა და კონდახი მიწაზედ დაარტყა, რომ გამოლვიძებოდა; ის თითქო გამოუხიზლდება კიდეც... ტყვეები წვანან კუთხეში, ლამპარი ძლივს ბჟუტავს, ქარი ჰქრის, ერთი სიტყვით, ყოველის ფერი თავის რიგზეა. ახლა უფრო კარგად მოჩანს ყმაწვილის ტყვის პირის-სახე. ნამდვილად ბავშვის, ანუ ქალიშვილის სახეა! მაგრამ თვალები დაუხუჭავს, თავი თივაზედ მიუკვენია, თითქო კიდეც მომკვდარაო. რაც რომ ბარტექს თავის თავი ახსოვს, არასოდეს ამოდენი არ უმჯავრია. იგი ცხადად გრძნობდა, რომ სული ეგუბებოდა და ცრემლები მოსდიოდა. ამ დროს უფროსი ტყვე დიდის ვაი ვაგლახით გადმობრუნდა და წარმოსთქვა:

— ლამე ნებისა, ზოლოდია!

დადგა საფლავებრივი სიჩუმე. გავიდა ერთი საათი; ბარტექს სწორედ არ ემართება რალაც კეთილი. ქარი ისე სტვენს, რომ იარმოელის ორლანოს ხმას მოაგონებს. ტყვეები წვანან წყნარად; უმცროსი ამ დროს ნელ-ნელა წამოიწევა და დაიძახებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქარულ!

— რაო?

— ბძინავს?

არა...

— ბამიგონე! მე მეშინია... შენ ილაპარაკე, რაც გინდა, მე კი ვილოცავ...-

— ჰო, კარგი, ილოცე!

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი....

ამ დროს უეცრად გააწყვეტინებს ტირილი სიტყვას. მაგრამ ტირილშიაც განაგრძობს:

— იყავნ.... ნება შენი...

— ოხ, ღმეთო, იესო! ღრიალებს რალაც ბარტექის გულში. ოხ, ღმერთო!

არა, ის ვერ აიტანს იმოდენს ტანჯვას! ძიდევ ერთი წუთი და ის დაიყვირებს: ,,ბატონო, ეს მე ვარ-ბლეხი!,, მერმე კი ფანჯარაში.. ტყეში... მერმე რაც მოხდება, მოხდეს.

ამ დროს დერეფანში მოისმის ნელი ფეხის ხმა. ეს პატრული და უნტერ-აფიცერი არის; ყარაულები უნდა გამოცვალონ. მეორე დღეს ბარტექი დილიდგან საღამომდის სულ მთვრალი იყო, მესამე დღეაც მთვრალი ეგდო.

მაგრამ ამის შემდეგ დაიწყო ახალი შეტაკება, ომი... და ჩემს გმირს დაუდგა სულიერი მყუდრება.... ეს კია, რომ იმ ღამის შემდეგ ბარტექს მეტად შეუყვარდა ღვინის სმა. სხვებრ, ბრძოლაში ის თითქმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრინდელზედ უფრო მხნედ იყო და გამარჯვების ბედი არასოდეს არ ღალატობდა.

VI.

ბავიდა კიდევ რამოდენიმე თვე. მოახლოვდა ზაფხული. იარმოში ალუ-ბალი ჰყვაოდა და მინდვრები იფარებოდნენ სქლად პურის მწვანე ჯეჯილით. ერთხელ მაგდა იჯდა თავის ქოხის დერეფანში და სთლიდა სადილისთვის კარტოფილს. აბალ მოსავლამდის კიდევ კარგი ხანი რჩებოდა და ამიტომ იარმოში ხალხი ძალიან გაჭირვებულად სცხოვრებდა. ეს კარგად ეტყობოდა მაგდას გამხდარსა და შეწუხებულს პირის-სახესაც. სწორედ მწუხარების მოსაქარვებლად, ეს დედა-კაცი თვალებ მინაბული წერილის ხმით ლილინებდა იმას, თუ მისი იასეკი როგორ იბრძვის ომში და სწერს მას ბარათებს და ესეც როგორ პასუხს პასუხზედ უგზავნის მას, მიტომ რომ მისი ცოლია. ჩიტებს დაჟინებით გააქვთ ჟივ-ჟივი, თითქო უნდათ მაგდას გადააჭარბონ სიმღერაში, მაგრამ მაგდა სიმღერას მაინც განაგრძობს და თან შესცქერის ხან ძალს, რომელიც თბება იქიე მზეში, ხან შარა გზას და ხან ბილიკს, რომელიც ბოსტნიდგან და ყანებიდგან გამოდის შარა გზისაკენ. შეიძლება უფრო ბილიკს მისცქეროდა, რადგან ეს იყო სტანციისაკენ მიმავალი გზა. ღვთის მადლით, იმ დღეს მაგდა ტჟუილ-უბრალოდ არ იყურებოდა ბილიკისაკენ. შორს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჩრდილსავით ვილაცა გამოჩნდა: დედა-კაცმა აიჭა-რა თვალებზედ ხელი, მაგრამ მაინც ვერ გამოიცნო ვინ მოდიოდა, რადგან მზის ბრწყინვალე სხივებმა აუჭრიალა მას თვალები. ბრაპკას გამოელვიძა, წამოსწია თავი, ერთი კარგად გააზმორა, გამოცქვიტა ყურები და დაიწყო აქეთ-იქით ყურება. ამავე დროს მაგდას მოესმა განურჩეველი სიმღერის ხმა. ბრაპკა უეცრად წამოხტა და რაც ძალი და ლონე ჰქონდა გაიქცა, რომ შეხვედროდა მას, ვინც თან-და-თან უახლოვდებოდა მაგდას. აქ მაგდა ცოტათი არ იყოს გაფითრდა.

— ბარტექი არის ვითომ?

ია წამოდგა ისე სიჩქარით, რომ კარტოფილიანი გობი გადააბრუნა. იჭვი ალარ იყო ახლა. ბრაპკა ეთამაშება და ახლტება მომავალს კაცს გულზედ. დედა-კაცი გაიქცა შესახვედრად და დაიკვირა სიხარულისაგან:

— ბარტექ! ბარტექ!

მაგდა, ეს მე ვარ, მე! მიუკო მან და მოუმატა ნაბიჯს. ბარტექმა გააღო ჭიშკარი, წამოჰკრა ხელი ურდულს, კინალამ დაეცა და ცოლ-ქმარი ერთმანეთს მოეხვივნენ:

— მე კი მეგონა, რომ შენ ალარ დაბრუნდებოდი. ვფიქრობდი: სწორედ მოჰკლეს მეთქი... ოჰ, შემახედე ერთი შენს თავს! შემახედე ერთი შენთვის! ოჰ, ღმერთო, როგორ გამხდარხარ! ჩემო ჩურჩუტო! დამიბრუნდა, დამიბრუნდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანდისხან შეუშვებდა ხელს კისერზედ და შეს-ცქეროდა თვალებში, და მერმე ხელახლავ მოეხვეოდა.

— დაბრუნდი! დიდება შენდა უფალო! ჩემო გვრიტო! რას გაჩერებულხარ? შეეიდეთ სახლში! ფრანიოკი შკოლაში სწავლობს. ნემეცი აწვალებს ბავშვებს, მაგრამ ყმაწვილი ძალიან ჯან-მრთელია, მხოლოდ ისეთივე თვალ-ჭყეტია არის, როგორც შენ. ოჰ, დროც იყო შენის მობრუნებისა. ალარ ვიცოდი, რა მექმნა. უბედურებაა, სწორედ უბედურება! ძოხი ინგრევა, ბოსელში სწვიმს. შენ რასა იქ? ოჰ, ბარტექ, ბარტექ! ჯიდევ გხედავს ჩემი თვალები! რამდენი შრომა გადამწყდა კოლინდრის მოთიბვაზედ. მეზობლები, ღმერთმა უშველოსთ, მომეხმარნენ. სხვა შენ ხომ კარგად ხარ? აი სასიამოვნო ამბავი! ღმერთმა დაგიფარა შენ. შეეიდეთ ქოხში. ღმერთო! ბარტექიცაა და ვითომ არც არის, რა დაგემართა? წმინდაო დედავ-ღვთისავო!

მაგდამ მხოლოდ ახლა შეამჩნია ბარტექს სახეზედ ჭრილობა, რომელიც მარცხენა საფეთქელიდგან და ლოყიდგან მთლად ნიკაპამდის ჩაჰყოლოდა.

— არაფერია... კირასირი შემხვდა, მაგრამ მეც მაგიერი გავატანე. ლაზარეთშიაც ვიყავი.

— ოჰ, ღმერთო, ღმერთო!

— ეჰ! უბრალო რამეა.

— უჰ, რა გამხდარი ხარ!

— RUHIG! (ჩუმათ). მიუგო ბარტექმა.

ბარტექი მართლა რომ გამხდარი იყო, ტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკამოს-დაფლეთილი და გაშავებული.—სწორედ რომ ჩვენი გამარჯვებული, ძლევა მოსილი გმირი? ამასთანავე ბარბაცობდა კიდეც.

— შენ მთვრალი ხომ არა ხარ?

— რას მიჰქარავ... სუსტად ვარ მხოლოდ.

ბარტექი, მართლაც, ჯერ კიდევ არ იყო მთლად მორჩენილი, მაგრამ თავშიდაც კი უჩუჩუნებდა, მიტომ რომ ავათ-მყოფობის შემდეგ ერთი სტაქანი ოტკაც კი ათრობდა და მანკი სტანციაზედ ოთხი მაინც გადაჰკრა. ამიტომ ბარტექი იმ დღეს დამლა დაცემულს ჰგავდა და შეხედულება ჰქონდა ნამდვილის გამარჯვებულის გმირისა. აგეთი შეხედულება მას წინეთ არასოდეს არ ჰქონია.

— RUHIG! (ჩუმათ) გაიმეორა მან. KRIEG (ომი) გათავდა. ახლა მე ბატონი ვარ, გესმის? აქ შემომხედე! უთხრა და თან მიუთითა თავის ჯვრებზედ და მედლებზედ. მიცნობდე ამას შემდეგ! რაა?

LINKS, RECHTS, HEU, STROH? HALT! (მარცხნით, მარჯვნით! თივა, ჩალა! გაჩერდი.) უკანასკვნელი სიტყვა ისე ხმა მაღლა წარმოსთქვა, რომ მაგდა უნებურად გადახლტა რამოდენიმე ნაბიჯზედ წინ.

— ნუ თუ შეიშალე ჭკუიდგან!

— როგორ სცხოვრებ, მაგდა, იცი ფრანცუზული, სულელო?...

— მუსიუ, მუსიუ! მე მუსიუ ვარ! გესმის?

— აცო, რა დაგმართნია?

— შენ რაო? WAS? DONNERWETTER! (რაო? მეხი კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგეცა) ბესმის!

მაგდას პირის-სახე ეტყობოდა, რომ ჭექა-ქუხილი მალე დაიწყებოდა.

— რა ენაზედ ყბედობ? დაგავიწყდა პოლშური, თუ რა არის? გამცრუებულო ნემეცო! მართალს ვამბობ ჰო. რა გიყვეს იმ კაცებმა!

— მაჭამე რამე!

— ძარგი წამოდი ქოხში!

ეოველი ბრძანება ბარტექზედ რაღაც განსხვავებულად მოქმედებდა. ბარტექმა რომ სიტყვა „წამოდი!" გაიგონა, წელში გაიმართა, ხელები ძირს დაუშვა, გამოიჭიმა, შემოტრიალდა ერთი და წავიდა ქოხისაკენ. მხოლოდ კარის დირეზედ მოვიდა გონზედ და გაკვირვებული დაუწყო ცქერა მაგდას.

— ეს რა არის, მაგდა? რა დაგმართნია?

— ბასწი! მარშ!

ბარტექი დაემორჩილა, მაგრამ კარებზედ წაიბორძიკა და დაეცა. იმას მთლად მოერია სიმთვრალე, დაიწყო სიმღერა და თან ფრონიოკს ეძებდა თვალებით; მან კიდეც წარმოსთქვა: „MORGEN, KERL!" (დილა-მშვიდობისა ყაზახო?) თუმცა ფრანიოკი არ იყო ქოხში. შემდეგ მან გადიხარხარა, გადაადგა ერთი დიდი ნაბიჯი, ორი პატარა და დაიყვირა: ურა! და გაიშხვართა ტახტზედ. სალამოს რომ გამოელვიძა, სრულიად გამოფხიზლებული იყო და გამხნევებული; მიესალმა ფრანიოკს, რამოდენიმე პფენინგი *) ვა-

*) პფენინგი—ჟერმანეთული ფული ოდრის მეოთხედ კოპეიკს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოართვა მაგდას და გაემგზავრა სამიკიტნოსკენ. მისი გამარჯვების დიდების ამბავი მოფენილი იყო იმ სოფელში იმის მისვლამდე. ამიტომ, როგორც კი შეიტყვეს ბარტექი სამიკიტნოში არისო, მაშინვე თითქმის ყველა საჩქაროდ მივიდა, რომ ენახათ გმირი ბარტექი. ზის ჩვენი ბარტექი სტოლთან,-იმას ახლა ვერავინ ვერ იცნობს. წინედ ბარტექი ისეთი წყნარი და მშვიდობიანი იყო, ახლა კი ყოველ წუთში სტოლს ურტყამს მუჯს, ყვინჩილობს და ქოთავს მამალი ინდაურივით.

— ხომ იცით, ძმებო, თუ როგორ ვქლეტდი მე მაშინ ფრანცუზებს? რა სთქვა შტეინმეცმა?

— რატომ არ გვეცოდინება?

—ბევრს ლაპარაკობდნენ ფრანცუზებზედ გვაშინებდნენ და თურმე ისეთი უილბლო ხალხი ყოფილა-Was? ისინი ყურდღელივით ბალახს სჭამენ და ყურდღელსავითაც იმალებიან. ლუდს არ სმენ დალვინოს კი ქაჩვენ.

— ჰო, ჰო, ვიცით, ვიცით!

—როდესაც ჩვენ ვსწვავდით სოფელს, ისინი გვიყვიროდნენ: საბმელი, საბმელი! ეს ნიშნავდა, რომ თუ კი ჩვენ შევიბრალებდით, ისინი ღვინოს გვასმევდნენ. მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი ვქენით.

— შეიძლება მერე გაიგოს კაცმა, რასაც ისინი ლაპარაკობენ? ჰკითხა რომელიღაც ყმაწვილმა.

— შენ ვერ გაიგებ, მიტომ რომ სულელი ხარ, თორემ მე როგორ ვერ გავიგებდი. დონე დიპენ (პური მომაწოდე) გესმის? ჰარიჟი გინახავსთ? ეი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ იტყვი ბრძოლა სად იყო! მაგრამ ჩვენ კი ყოველთვის ვამარცხებდით. ფრანცუზებს ნამდვილი კამანდა არა აქვსთ. ამბობენ, რომ იმათ ათიცრებიც და ლენერლებიც უვარგისნი ჰყავსთო. ჩვენ კი კარგები გვყვანან.

მათე ჭკუიანი მოხუცი იყო, გაიქნია თავი და წარმოსთქვა:

— დიალ, ნემცებმა საშინელი ომი მოიგეს და ჩვენც იმათ ვეხმარებოდით. ბევქმნება ჩვენ რამე სარგებლობა აქედგან, თუ არა-ერთმა ღმერთმა იცის.

— ბარტექმა გამოუქაჩა თვალები მათეს.

— რას მიჰქარავ?

— ნემცებს ჩვენ ისედაც ვძულდით და ახლა ხომ სულ აგვიბზუებენ ცხვირს, თითქო ცა ქუდათ ჰქონდესთ და მიწა ქალამნად და კიდევ უფრო დაგვიწყებენ დევნას.

— ძალიან ტყუილს ამბობ! წამოიყვირა ბარტექმა.

მათეს სიტყვას ის იჯერებდნენ ბარმენში, რომ მისი ჭკუით სცხოვრებდა მთელი სოფელი და არავის შეეძლო მისი წინააღმდეგობა; ახლა ბარტექი გამარჯვებული იყო და ავტორიტეტიც ის შეიქმნა.

მაგრამ მაინც ყველამ შეხედა იმას გაკვირვებით და უსიამოვნოდ.

— როგორ, მათეს გინდა შენ გამოედავო?

— ჩემთვის რაა მათე? ბანა მაგისთანა კაცებთან მილაპარაკნია მე, გესმის? არ მილაპარაკნია მე

შტეინმეცთან თუ?-WAS? სტყუის მათე! აწი ჩვენ უფრო უკეთესს ყოფაში ვიქმნებით.

— ოჰ, შენ ბრიყვო! სთქვა მათემ.

ბარტექმა ისე ლონიერად დაარტყა სტოლს მუშტი, რომ ყველა სტაქნები გარაწკუნდნენ.

—STILLE, KERL! HEU, STROH!... (ჩუმათ, ყაზახო! თივა, ჩალა!)...

— ჩუმად იყავ, ნუ ჰყვირი! ჰკითხე ან ბატონს და ან მოძღვარს.

— მღვდელი როდის იყო ომში? არც ბატონი ყოფილა და მე კი ვიყავი. არ დაუჯერეთ ამას, ძმებო! აწი უკეთესს მდგომარეობაში ვიქმნებით. ვინ მოიგო ომი? ჩვენ მოვიგეთ, მე მოვიგე. რასაც კი ვითხოვ, იმას მომცემენ, რომ მინდოდეს საფრანგეთში მებატონედ გახდომა, გავხდები. მართებლობამ იცის, თუ ვინ დაამარცხა ფრანცუზები. ჩვენი პოლკი იყო ყველაზედ უფრო წარჩინებული, ასეა ნაჩვენები გამოცემულს ბრძანებაშიაც. ახლა პოლშელები დიდი ვინმეები არიან, გესმისთ?

მათემ გააქნია ხელი, ადგა და წავიდა. ბარტექმა გაიმარჯვა აქაც, პოლიტიკაში. სამიკიტნოში დარჩენილმა ყმაწვილებმა იცვნეს ბარტექი აუტორიტეტად. ბარტექმა განაგრძო:

—რასაც კი მოვისურვებ, ყველაფერს მომცემენ. მე რომ არ ვკოფილვიყავ-რითი გათავდებოდა ჩხუბი? მოხუცი სულელია, გესმისთ? მართებლობა ბრძანებს ფრანცუზების ამოჟლეტას, მეც არავის დავინდობ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის შეუძლია, რომ პატივი არ მცეს? ნემეცი? მაშ ეს რაა? და მიუშვირა მათ თითი ჯვრებსა და მედლებზედ. რატომ ვხოცავდი მე ფრანცუზებს? ნემცებისთვის, არა? მე ახლა ყოველს ნემეცზედ უკეთესი ვარ, მისთვის რომ არავის არა აქვს ამოდენი ორდენები, რამდენიც მე მაქვს. მოიტათ ლუდი! მე შტეინმეცთანაც კი მილაპარაკნია და ჰოდბელსკისთანაც. ლუდი მომართვით-მეთქი!

გაიმართა სმა. ბარტექმა სიმღერა დაიწყო:

TRINKT, TRINKT, TRINKT!
WENN IN MEINER TASCHE
NOCH EIN THALER KLINGT! (დალიე დალიე, დალიე! მისთვის რომ ჯიბეში ფული მიჭყავს!). ამ დროს უცებ ამოიღო ჯიბიდან ერთი მუჭი პფენინგი.

— წაიღეთ! მე ახლა ბატონი ვარ. არ გინდათ? ოჰ, მარტო ამისთანა ფულები კი არ მქონია მე საფრანგეთში, მაგრამ დავხარჯე! ბანა ცოტა სოფლები გადავსწვით, ცოტა კაცები დავხოცეთ.... ვის არ ვსცემდით... კუდაბზიკებს....

მაგრამ აქ მოულოდნელად ბარტექმა მოხვეტა ისევ ფულები სტოლიდგან და შეწუხებულის ხმით წამოიძახა:

— ღმერთო, შემიწყალე მე ცოდვილი!

შემდეგ ორივე ხელები მიიფარა პირზედ და გაჩუმდა.

— რა დაგემართა? ჰკითხა ერთმა მთვრალმა უმაწვილთაგანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე არა ვარ დანაშაული, გაუგებლად ბუტ-ბუტებდა ბარტექი. თვითონ გვეჩხირებოდნენ. მებრალებოდნენ მე ისინი, მისთვის რომ ჩვენები იყვნენ, მაგრამ... ოხ, ღმერთო, ღმერთო! ერთი სწორედ რომ ანგელოზი იყო. მეორე დღეს გაფითრებული ი ო, როგორც ტილო. მერმე ისინი ცოცხლად დამარხეს... ვოტკა!...

ჩამოვარდა სიჩუმე. ბლეხები გაკვირვებულნი უყურებდნენ ერთმანერთს.

— რას ლაპარაკობს? იკითხა ვილამაც.

— ასე, თავის თავს ელაპარაკება.

— იმ დაწყევლილმა ჩხუბმა გამალოთა, წამოიილულლულა ბარტექმა. ბადაჭრა ერთი სტაქანი ვოდკა, გადაჭრა მეორე. ერთს წუთს გაჩუმდა, მერმე გააფურთხა და ერთბაშად ისევ გამხიარულდა.

— თქვენ გილაპარაკნიათ შტეინმეცთან? არ გილაპარაკნიათ! უარა! დალიეთ! ვინ გადიხდის? მე გადვიხდი!

— დიალ, შენ გადიხდი, შენ ლოთო, შენა, მოიხმა ხმა მაგდასი. მაგრამ კარკი, მეც მაგიერს გიზამ. დამაცა მე შენ!

ბარტექი მიაცქერდა მაგდას გამოშტერებულად, თითქო შუშის თვალები ჰქონდესო.

— შტეინმეცთან გილაპარაკნია? შენ საიდგან გაჩნდი აქ?

მაგდამ იმას აღარა უპასუხა რა. მიუბრუნდა სხვებს და დაიწყო ხმა მაღლა ლაპარაკი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰ, კაცებო, კაცებო, ხედავთ ჩემს სირცხვილს, ჩემს დამწვარს ბედს! დაბრუნდა შინ, მე გავიხარე მაგის მოსვლით, როგორც კარგის კაცის მოსვლით, და ეს კი მთვრალი იყო, ღმერთიც დავიწყებია და პოლიშურიც. დაწვა მაშინვე დასაძინებლად, გამოფხიზლდა, ახლა კიდევ ლოთობს და სჭამს ჩემს მამასისხლად ნაშრომს ფულებს. სად გაქვს შენ ფული? მე მოვიპოვე ის ტანჯვა-წვალებით, ვაი-ვაგლახით, სისხლის ოფლით. ოჰ, კაცებო, კაცებო, ეს არც ფრანგია და არც კაცი,.... ლაქლაქობს ნემეცურად. ეგ ღვთის წინააღმდეგია, არაწმინდა სულია!

აქ მაგდამ დაიწყო ცხარე ცრემლით ტირილი და მერმე აიმაღლა ხმა:

— ბრიყვი წინათაც კი იყო, მაგრამ კეთილიც იყო და ახლა რა უქმნიათ მაგისთვის! მოველოდი დილას, მოველოდი საღამოს და აი რას მოვეწარი! ჩემთვის არც ნუგეშია, არც მხიარულება... ულოვლის შემძლებელო ღმერთო, ღმერთო სულგრძელო!... ბარემც გასულელებულხარ სულ და . . . . .

უკანასკნელი სიტყვა იმან წარმოსთქვა კბილდაჭერით, საწყლად ისე რომ შეგეცოდებოდათ სწორედ. ბარტექმა უპასუხა:

— ბაჩუმდი, თორემ თუ ხელი მოგკიდე!

— ჰო, აბა დამიჭირე, წამწყვიტე თავი, მომკალი! ულვიროდა გარისხებულის ხმით დედა-კაცი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშვერდა კისერს; თვითონ კი მიუბრუნდა სხვებს და უთხრა:

— თქვენ კი უყურეთ!

მაგრამ გლეხები წავიდნენ ყველანი ერთი მეორეზედ.

მალე სამიკიტნო სულ დაცარიელდა; დარჩა მხოლოდ ბარტექი და მისი ცოლი კისერ წაშვერილი.

— რას წამოგიწვდია მაგ კისერი ბატივით? დაუჯიჯლინა ბარტექმა. წავიდეთ სახლში.

— მომკიდე ხელი რალა, უშველრებდა დედა-კაცი.

— ხელსაც არ გახლებ, ჰო, რა გინდა, მიუგო ბარტექმა და ჩაიყო ჯიბეში ხელი.

მიკიტანს უნდოდა რომ ეს აყალ-მაყალი მალე გაეთავებინათ და გააქრო სანთელი. ოთახი დაბნელდა. ერთის წამის შემდეგ ამ ბნელაში მოისმა მაგდას წკიპინა ხმა:

— აჰა, მომკიდე ხელი რალა!

— არა მეთქი, არა. მბიარულებით გაიმეორა ბარტექმა. მთვარის სინათლეში მოჩნდა ორი ნაქვთი რომელნიც მიდიოდნენ სამიკიტნოდგან სოფელში. ერთი მათგანი წკიპინით ლაპარაკობდა: ეგ იყო მაგდა. იმას თავ-ჩალუნული მიჰყვებოდა ბრაველოტისა და სედანის გმირი.

VII.

ოლმა ისე დაასუსტა ბარტექი, რომ რამდენიმე ხანს მუშაობა ალარ შეეძლო. ეს დიდი უბედურება

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო მისის ოჯახისათვის, რომელიც ძალიან საჭიროებდა მამა-კაცის შემწეობას. მაგდა თავს არ იზოგავდა და დატრიალობდა ოჯახში, როგორც კი შეეძლო. მუშაობდა დილიდგან საღამოვდის; მეზობლებიც ხელს უწყობდნენ, მაგრამ ოჯახი მაინც თანდა-თან ილუპებოდა. დასჭარდათ ვალის აღება და ბოლს კიდეც ერთის ჩამოსახლებულის ნემეციისაგან. ამ ნემეცს, იუსტს, ერთ დროს ეყიდა იარმოში რამოდენიმე უვარგისი ადგილი და ახლა ჰქონდა მას საუკეთესო ოჯახობა მთელს იმ სოფელში; მოითბო ხელი, ფულიც კარგა ძალი შეაგროვა და ასესხებდა ურიულის სარგებლით. სესხად აძლევდა განსაკუთრებით ადგილობრივს მებატონეს, იარქინსკის, რომლის სახელიც ჩაწერილი იყო «ოქროს წიგნში» და რომელიც მხოლოდ ამისთვის იყო ვალდებული მდიდრულად ეცხოვრა, რომ თავის ოჯახისათვის დიდების სახელი არ მოეკლო. იუსტი უმართავდა ფულით ხელს გლეხებსაც. აგერ გადის ნახევარი წელიწადი, რაც მაგდას შერთებს მისი რამოდენიმე თუმანი, რომელიც ზოგი ოჯახში მოიხმარა და ზოგი კი ბარტექს გაუგზავნა ომიანობის დროს. ეს მაინცა და მაინც დიდი არაფერია; ღმერთი კარგს მოსავალს მისცემსთ და შეიძლება გადიხადონ, თუ კი იმუშავეს, როგორც რიგია, მაგრამ მათდა საუბედურად, ბარტექს მუშაობა არ შეეძლო, მაგდას ხელ, არ სჯეროდა და ხშირად დადიოდა მღვდელთან იქის სარჩევად, თუ რა ნაირად მოერჯულებინა თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ ქმარი, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ბარ-ტექს მარილა არ შეეძლო მუშაობა. ცოტა მუშაობის შემდეგ ყოველთვის წელი დაუწყებდა ტკივილს და სულის ამოთქმა გაუჭირდებოდა. ამისათვის მთელი დღე იჯდა თავის ქოხის დერეფანში ცუდად და სწევდა ფარფორის ჩიბუხს, რომელზედაც გამოხატული იყო ბისმარკი კირასირის ტანსაცმლით და თავზედ კასკით. ბარტექი გაჰყურებდა ღვთის გაჩენილს ქვეყანას ისეთ ნაირად, თითქო მოსვენება ეჭირვებოდა. ამ დროს იგი ჰფიქრობდა ცოტას ომზედაც, ცოტას თავის გამარჯვებაზედაც, მაგდაზედაც, ერთის სიტყვით, ყოველის ფერზედ და, მართალი რომ ვსთქვათ კი, არაფერზედ.

ერთხელ, როდესაც იგი იჯდა ასე თავისთვის ტყუილ-უბრალოდ, უეცრად მოესმა შორიდგან ფრანიოკის ტირილი. ფრანიოკი შკოლიდგან მოდიოდა და, როგორც კი შეეძლო, ისე ღრიალებდა და მდუღარე ცრემლებს ჰყრიდა. ბარტექმა გამოიღო პირიდგან ჩიბუხი.

— აბა, ფრანიოკ, რა დაგმართნია?

— ჰო, რა დაგმართნია? ტირილით გაიმეორა ფრანიოკმა.

— რა გატირებს?

— დიალ, რა გატირებს, როდესაც ცხვირ-პირში გცემენ...

— ვინ გცემა ცხვირ-პირში?

— სხვა ვინ მცემდა, თუ არ უფალი ბიოგე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფალი ბიოგე ასრულებდა შკოლის მასწავლებლის თანამდებობას Iარმოში.

— მერე, რა ნება აქვს მას, რომ ცხვირ-პირში გაკემოს?

— რასაკვირველია, რომ ნება ჰქონია, თუ კი მცემა.

მაგდამ, რომელიც ბოსტანში კარტოფილს სთხრიდა, გადმოაბიჯა ღობეზედ და ბარით ხელში მიუახლოვდა ფრანიოკს.

— რა დააშავე სამაგისო? ჰკითხა მან.

— მე რას დავაშავებდი! ბატონმა ბიოკემ გამლანძღა. . . . ღორი ხარო, მითხრა და მცემა ცხვირ-პირში და სთქვა, რომ ჩვენ ნემცებმა ახლა ფრანცუზები დავამარცხეთო და რაც გვინდა, იმას გიზამთო, მიტომ რომ ახლა უფრო შეძლებაც გვაქვს ამისიო. მე თვითონ მისთვის არაფერი არ დამიშავებია. მან მკითხა მხოლოდ: მთელს დედამიწაზედ ვინ უფრო დიდი კაციაო, მე ვუთხარი,— წმინდა მამა მეთქი, და იმან დამიწყო ცხვირ-პირში ცემა. მე დავიწყე ყვირილი, და იმან გამლანძღა. დამიძახა . . . ღორი ხარო და სთქვა, ჩვენ ფრანცუზები დავამარცხეთო...

ფრანიოკმა ვერას გზით ვერ გამოაწყო ეგ ამბავი; სულ იმეორებდა: «მე იმას ვუთხარი და იმან მე მითხრა,» სანამ ბოლოს მაგდამ არ დააფარა იმას პირზედ ხელები, ქმარს კი მიუბრუნდა და მიაყვირა:

— ხომ კარგად გესმის, არა! აბა, წადი ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვიმე ფრანცუზებს, და ნემეკი კი შვილს გიცემს, ... და გილანძღავს. ბასწი რალა ომში!

. . . . . .

აქ მაგდამ თვითონ დაიწყო მწარე ცრემლით ტირილი; ბარტექმა კი გამოქაჩა თვალები. დაალოხხა და ისე გამოშტერებული იდგა, რომ ერთი სიტყვის თქმაც ველარ მოახერხა. იმას სრულიად ალარა ეშმოდა რა. ეს რა ამბავია? სადაა მისი გამარჯვება? რამდენიმე წუთი კიდევ იჯდა ჩუმად, მაგრამ შემდეგ თვალებმა გაუელვა, სისხლი აუვარდა თავში, წამოხტა უცებ და გაბრაზებულმა წაიდუდუნა:

— მე ვიცი და იმან!

ეს სთქვა და წავიდა. შკოლა იქვე იყო ეკკლესიასთან. უფ. ბიოგე ბალკონზედ იდგა და გარშემო გოჭები შემოხვეოდნენ, რომელთაც ფინჩხას უყრიდა. ბიოგე იყო მოსული კაცი, ასე ორმოცდა-ათის წლის, მუხასავით ჩამჯდარი. თუმც სიმუქნისაგან ცხვირ-პირი ალარ უჩნდა, მაგრამ იმისი ამოკუსული თვალები ამტკიცებდნენ ხასიათის სიმტკიცეს და ენერგიას.

ბარტექი ახლოს მივიდა მასთან.

— შენ რატომ სცემე ჩემს ბავშს? Was? (ვა?) ჰკითხა მან.

უფ. ბიოგემ რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიწია, გაზომა თვალით ბარტექი და ფლეგმატიურად წარმოსთქვა:

— იქით, შენ საძაგელო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რისთვის სცემე ბავშვს? ბანუმეორა ბარტექმ.

— შენცა გცემ, შენ გლახაკო! ჩვენ გიჩვენებთ თქვენ, თუ ვინ არის ახლა აქ ბატონი. გამეცალე იქით... წადი სასამართლოში და მიჩივლე! გამეცალე-იქით-მეთქი...

ბარტექმა წაავლო მასწავლებელს ხელი-ხელიში და დაიყვირა ხრინწიანის ხმით:

— იცი თუ არა, მე ვინა ვარ? იკი თუ არა, ვინ ეომა ფრანცუზებს? იცი, ვინ ელაპარაკებოდა შტეინმეცს? რატომ სცემ ბავშს, შენ საძაგელო?

თვალები წამოვარდნაზედ ჰქონდა უფ. ბიოგეს. უფალ ბიოგეს ღონე მოსდევდა და ამიტომ გადასწყვიტა ერთი მუშტის დაკვრით განთავისუფლებულიყო ბარტექისაგან.

იმავე წუთში ჩვენმა ბრაველოტისა და სედანის გმირმა მიილო ძალზედ საგრძნობელი სილა. ბარტექმა ველარ შეიკავა თავი. ბიოგეს თავი ერთი გადავიდ-გადმოვიდა ორივე მხრით, როგორც მაიატნიკი, მაგრამ დაუჯერებელის სისწრაფით. გამოიღვიძა ბარტექმა, ტურკოსებისა და ზუავების საოცარმა მძლეველმა. ოცის წლის ყმაწვილმა ოსკარმა, ბიოგეს შვილმა, ამაოდ მოუმატა ნაბიჯს მამა მისის მისაშველებლად. შეიქმნა შეტაკება; შვილი მიწაზედ გაიშხვართა და მამამ იგრძნო, რომ ის საღლაც მიჰფრინავდა. მისდა საუბედუროდ, იქვე ქოხთან იდგა ბოჩკა, რომელშიდაც ბიოგეს ცოლი ასხამდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარეცხს ლორებისათვის; აი მოისმა შხაპუნი და ბი-ოგეს ფეხებმა ბოჩკაზედ გაადინა ბრეგა. ამ დროს ბიოგეს ცოლი გამოვარდა სახლიდგან და გაიბა ყვი-რილი: «არიქა,—გვიშველეთ!» და სწრაფად წააქცია ბოჩკა.

ამ ყვირილზედ გამოცვინდნენ კოლონისტები სახლიდგან თავის მიწის-შვილის მოსახმარებლად. ათამდის კაცი ეცა ბარტექს და დაუწყეს ცემა, ვინ მუშტებით და ვინ ჯოხით. ბაიმართა ერთი უშვე-ლებელი ჩხუბი, ამ შეტაკებაში ძნელი იყო ბარტე-ქის გამორჩევა მათგან. უცებ ამ ჯგუფიდ-გან გამოხტა ბარტექი და გაგიჟებულსავით გაიქცა ლობისაკენ. ნემცები გამოედევნენ უკან, მაგრამ ბარ-ტექმა, თვალის დახამხამების უმალ, მოგლიჯა ლო-ბიდგან უშვეელებელი სარი და გაჩერდა. კოლონის-ტებმა უკან დაიწიეს. ახლა თვითონ ბარტექი გამო-ეკიდა მათ უკან; მის და ილბლად ის ვერავის დაე-წია და, როგორც კი გონზედ მოვიდა, თავის ქოხის-კენ წამოვიდა. ოხ, თუ რომ ახლა ფრანცუზებთან ჰქონდეს მას საქმე! მაშინ იმის გმირულს თავის-დაფარვას უკვდავად გახდიდა ისტორია. საქმე ასე მოხდა: მოჩხუბრები, ოცამდის კაცი, კიდევ არ ეშ-ვებოდნენ ბარტექს. ის უკან-უკან იწეოდა ნელ-ნელა,

. . . . . .

. . . დრო-დროზედ ის შეჩერდებოდა ხოლმე, მაშინ მომდევარნიც შეჩერდებოდნენ. ვეებერთელა კეტი, ცოტა არ იყოს, აფიქრებდა კოლონისტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნემცებმა დაუწყეს ბარტექს ქვების სროლა; ერთი ქვა მოხვდა ბარტექს პირ-და-პირ შუბლში. ჭრილობისაგან სისხლი გადმოდიოდა და ბარტექს გამოხედვას უშლიდა. ის გრძნობდა, რომ სუსტდებოდა, ერთი წაბარბაცდა, გააგდო ხელიდგან კეტი და დაეცა.

— შრა! დაიღრიალეს კოლონისტებმა.

მაგრამ იმათ კიდევ ვერ მოასწრეს მასთან მირბენა, ბარტექი ისე სწრაფად წამოხტა ფეხზედ. ამან ნემცები მეტად შეაშინა. დაჭრილი ლომი, შესაძლებელი იყო, უფრო საშიშარი გამხდარიყო. ამასთანავე პოლშელების სახლებიც ალარ იყო შორს და ვილაც ყმაწვილი კაცებიც გამოჩნდნენ, რომელნიც მორბოდნენ თავის მეზობლის მოსახმარებლად. კოლონისტები დაბრუნდნენ სახლში.

— რა მოხდა? იკითხეს ყმაწვილებმა.

— ნემცებს ცოტად გვერდები დავუზილე, მიუგო ბარტექმა და გრძნობა დაეკარგა.

VIII.

ამ საქმემ მიიღო სულ სხვა ნაირი მრისხანე შედეგი. ნემეცურ გაზეთებში გამოვიდა სტატიები იმის შესახებ, თუ როგორ სდევნიან და ავიწროებენ მშვიდობიან ნემცებს ბარბაროსი და გაუნათლებელი პოლშელები, აღძრულნი მართებლობის წინააღმდეგი აგიტაციით და სარწმუნოებრივის ფანატიზმით. ნემეცურს გაზეთებს სხვა ალარავინ აგონდებოდათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ არა ბიოგე. ეს წყნარი და მშვიდი მასწავლებელი, გამავრცელებელი განათლებისა. სახელმწიფოს უმორეს კუთხეებში, ეს მისსიონერი, დამნერგველი კულტურისა ბარბაროსებთ შორის, პირველი მსხვერპლი გახდა წინააღმდეგის აგიტაციისა. მაგრამ კარგი კიდევ ის არისო, რომ იმას მხარს უმაგრებს ნემეცის ერიო, რომელიც არ მოითმენს, რომ და სხ. და სხ...

ბარტექმა არ იცოდა, რასაკვირველია, თუ როგორი ქარიშხალი უნდა დატრიალებულიყო მის თავზედ. პირ იქით, ის კიდევაც დარწმუნებული იყო, რომ ამ საქმეს სასამართლოში მოიგებდა. მართლაც, განა ბიოგემ არ სცემა მისს შვილს, განა იმან არ დაარტყა ბარტექს პირველად, მერმე რომ კოლონისტები დაესხნენ თავზედ მას?! განა ბარტექს არ უნდა გამოელო ხელი! ამასთანავე იგი დაჭრეს თავში ქვით,—ის, რომლის სახელიც ბრწყინავდა დღიურს ბრძანებაებში, რომელმაც მოიგო ომი ბრაველოტთან, რომელსაც ელაპარაკა შტეინმეცმა და და რომელსაც გული დაფარული ჰქონდა ორდენებითა და ჯვრებით! მას, მართლაც, უკვირდა, რომ ყოველივე ეს ნემცებს დაავიწყდათ და შეურაცხჰყვეს იგი; აგრეთვე მას არ ესმოდა, თუ რატომ ლაპარაკობდა ბიოგე ყოველს მარჯვე შემთხვევაში, რომ რა კი ნემცებმა ფრანცუზები დაამარცხეს, ახლა შეუძლიათ, რაც უნდათ, ის უქმნან პოლშელს გლეხებსო. მაგრამ პირადად თავის-თავზედ კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარწმუნებული იყოს, რომ სასამართლო და მმართებლობა მისს მხარეს დაიჭერდნენ: შეუძლებელია, რომ მმართელობამ არ იცოდესო, თუ რა ღვაწლი დამიდევს წარსულს ომშიო; სხვას რომ დავიწყებოდე, შტეინმეცი ხომ მაინც დამიფარავს და მაინცო. ბანა ამ ომის გამოცისობით არ დავლარიბდიო და არ ჩავვარდი ვალშიო. აარა, შეუძლებელია, ნემცებმა ჩემი ღვაწლი დაივიწყონო!..

ამასობაში ქანდარმებიც მოვიდნენ ბარტექის წასაყვანად. შიქრობდნენ, ბარტექი წინააღმდეგობას გაგვიწევსო; და მოვიდა სულ ხუთი ქანდარმი, დატენილის თოფებით, მაგრამ ისინი სცდებოდნენ: ბარტექს სულაც არ უფიქრნია წინააღმდეგობა. უბრძანეს, მარხილში ჩაჯექიო და ისიც ჩაჯდა.

მაგდა მხოლოდ უყვიროდა და სულ იმეორებდა:

— რიღასთვის ქლეტდი ფრანცუზებს? აი ახლა ნახავ რა ხვირსაც დაგაყრიანო...

— ჩუმად, ბრიყვო! უპასუხა ბარტექმა და მხიარულად უცინოდა გამელელ-გამომველელებს.

— მეკუჩვენებ მათ, თუ ვის გაუბედეს გაუპატიურება, ჰყვიროდა ის მარხილიდგან, როდესაც მიდიოდა სასამართლოში და ამაყად იხედებოდა თავის ორდენებზედ, როგორც ნამდვილი ძლევა-მოსილი.

სასამართლომ მართლაც შეიწყნარა ბარტექი: ზოგიერთი შემამსუბუქებელი გარემოებანი იცვნეს. ბარტექი დასაჯეს მხოლოდ სამი თვის ციხეში ბას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით. ამას გარდა უნდა გადაეხადა 150 მარკა ბიოგეს და სხვა კოლონისტების სასარგებლოდ, რომელთაც «შეურაცხება მიადგათ ბარტექის მოქმედებით» «დამნაშავემ, სწერდა მაინც «POZENER ZEITUNG» (გაზეთის სახელია) თავისს ანგარიშში ამ საქმის შესახებ, არა თუ სინანული არ გამოიჩინა გარდაწყვეტილების გამოცხადების დროს, არამედ ისეთი ლაძღვა-გინება დაიწყო და ისე უზრდელად ადგენდა იგი თავის ვითომ სამსახურს სახელმწიფოს წინაშე, რომ საკვირველია, ღმერთმანი, რატომ პროკურორმა მაშინვე არ აღძრა ახალი საქმე იმისგან სასამართლოისა და გერმანიელთ შეურაცხყოფის შესახებ.»

ბარტექს ახლა ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდა მოეგონებია საპყრობილეში თავის გამარჯვება ბრაველოტთან, სედანთან და პარიჟთან.

დიდი უსამართლოება იქმნება ჩვენის მხრით, არ მოვიხსენიოთ, რომ ბიოგეს მოქმედებაც გაჰკიცხეს საჯაროდ. ერთს წვიმიანს დილას, ერთი პოლშელების დეპუტატთაგანი ლანდტაგში ძალიან მჭევრმეტყველურად ამტკიცებდა, რომ პოლშელებს ბევრად უფრო ცუდად ექცევიან ახლა-და-ახლა გერმანიის იმპერიაშიო, რომ პოზნანის პოლშელები იმ თავდადებულებისათვის, რომელიც წარსულს ომში გამოიჩინეს მათ, დაჯილდოების ღირსნი არიანო, რომ რიგიანობა მოითხოვს, უმეტესად ზრუნავდეს სახელმწიფო პოზნანის მცხოვრებლების საზოგადო კაცობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიულის უფლებათა დაცვისათვის, რომ, ბოლოს, ბოლოგე, ცხადია, ბოროტად ხმარობს თავის მდგომარეობას შკოლის მასწავლებლისას, რაკი ყმაწვილებს ასე უწყალოდ ეპრობა და ეძახის მათ ლორებს და ექადის ყველას, რომ ომის შემდეგ ნემცები მკვიდრ მცხოვრებლებს ფეხ-ქვეშ გაიგებენო..

როდესაც დეპუტატი ლაპარაკობდა ამას, წვიმდა და რადგან წვიმიან დღეს კაცს ყოველთვის უფრო ადვილად მოსდის ძილი, ამიტომ კონსერვატორები ზმორებით ამთქნარებდნენ, ამთქნარებდნენ ზარმაცად ნაციონალ-ლიბერალები და სოციალისტებიც, ამთქნარებდნენ ისინიც, რომელთაც სხდომის შუა-გული დაეჭირათ და რომელნიც ჯერ კიდევ არ იყვნენ გატაცებულნი ეგრედ-წოდებულის კულტურულის ომით. პალატა გადავიდა მორიგების კითხვებზედ.

ბარტექი ამ დროს იჯდა საპყრობილეში, ანუ უკეთ ვსთქვათ, იწვა საპყრობილის ლაზარეთში, მიტომ რომ მას გაეხსნაის ჭრილობა, რომელიც მიელო ომში. როდესაც სიცხე და ბოდვა გადუვლიდა, ბარტექი მიეცემოდა ღრმა ფიქრს; იგი ფიქრობდა, როგორც მამალი ინდოური, რომელიც კიდეც მოკვდა ნამეტანის ფიქრისაგან. მაგრამ ბარტექი არ მომკვდარა; ეს კია, რომ იმან ვერაფერი ვერ მოიფიქრა. მაგრამ დრო-და-დრო მაინც გაუელიდა ხოლმე თავში, რომ, შეიძლება, ფრანცუზებს ის სულ ტყუილა-უბრალოდ ქლეტდა ასე უმოწყალოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგდას კი დაადგა გაჭირვების დღე: უნდა გადაეხადა ჯარიმა და ფულიკი არსად მოეძებნებოდა. მართალია, მღვდელს კი უნდოდა ხელი გაეწყო მისთვის, მაგრამ ალბოჩნდა, რომ იმას კასსაში ორმოცი მარკაც არ მოეძებნებოდა. იარმო ძალიან ღარიბი სოფელია; ამასთანავე მოხუცმა მღვდელმა თითონაც არასოდეს არ იცოდა, თუ სად მიდიოდა მისი ფულები. ბატონი იარჟინსკი თავის სასახლეში არ იყო; ამბობდნენ Cარსტვოში წავიდაო ვილაც მდიდარის ქალის შესართავად. ვადის გადადება ხომ საფიქრებელიც არ იყო. რა უნდა ექმნა? ნუ თუ უნდა გაეყიდა ცხენები, ძროხები? ისეც კარგი დღე არ ადგა. რთველი მომავალი იყო, ფულები, მეტი რომ აღარ შეიძლება, ისე ეჭირვებოდა და სახლში კი ერთი რყუ-გახვრეტილი ფარაც არ ეგულებოდა. დედაკაცი იმტვრევდა ხელებს სასოწარკვეთილებისაგან. რამოდენჯერმე შეიტანა მან სასამართლოში თხოვნა, რომელშიაც ჩამოსთვლიდა იგი თავისის ქმრის, ბარტექის, სამსახურს, მაგრამ იმას პასუხიც არ აღირსეს. დანიშნული ვადა მოახლოვდა და მასთან მთელი მისი ქონების გაყიდის დღეც. მხურვალე გულით ლოცვილობდა და იგონებდა იმ დროს, როცა ისინი ცხოვრებდნენ თავის უფლად და ბარტექი ზათრობით ქარხანაში მუშაობდა. მაგდა წავიდა ნათლი--მამასთან ფულის სასესხებლად, მაგრამ არც იმას ჰქონდა. ოლმა ყველას აგრძნობინა თავი. იუსტთან ვერ გაბედა წასვლა, რადგან მისი უკვე ემართა და

ჯერ სარგებელიც არ გადაეხადა, მაგრამ იუსტი თვითონ მოადგა კარზედ მაგდას სულ მოუოლდნელად.

ერთხელ მაგდა იჯდა თავის ჭოხის წინ კარზედ და არასფერს არ აკეთებდა, მიტომ რომ მწუხარებით მოუძლურებული იყო; შესცქეროდა ჰაერში მოთამაშე ბუზებს და ჰფიქრობდა: რა ბედნიერებაა არიან ეს ბუზებიო! თამამ მოგენ თავისთვის და არავითარი ვალი არ აწუხებსთო. ხანდისხან მძიმედ ამოიოხრებდა ხოლმე, ან და მისი გამხმარი ტუჩებიდგან მოწყდებოდა სიტყვა: ოხ, ღმერთო, ღმერთო! ამ დროს ჭიშკართან გამოჩნდა იუსტის გრძელი ცხვირი და ფარფორის ჩიბუხი. დედა-კაცს გააცივა. იუსტმა წარმოსთქვა:.

— MOGEN (დილა მშვიდობისა)

— როგორ მშვიდობით ბრძანდებით, უფალო იუსტ?

— ჩემი ფულები?

— ოხ, ძვირფასო უფ. იუსტ; ცოტა ხანს კიდევ მომითმინეთ. მე ჯებედურმა არ ვიცი რა ვუყო ჩემს თავს. ძმარი წამართვეს; მის მაგიერად მე უნდა გადავიხადო ჯარიმა, უმჯობესია სიკვდილი, ვინემ აგრე ცოდვილი, როგორც ჩვენ ვცოდვილობთ. მაღროვეთ კიდევ ცოტა ხანს, ძვირფასო უფ. იუსტ! მაგდა მოჰყვა ტირილს და მოწიწებით აკოცა იუსტის ჩასუქებულს წითელ ხელს.

— აი მობრძანდები: ჩემი ბატონი, ვისესხებ მის გან და მოგცემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კი, მაგრამ ჯარიმას საიდან-ღა იხდი?

— არ ვიცი, ძროხა ეგებ გავყიდო.

— მაშ, თუ აგრეა, მე გასესხებ კიდევ ფულს.

— ბაკურთხოსთ თქვენ ღმერთმა, ჩემო კეთილო! თქვენ თუმცა ლიუტერანი კი ხართ, მაგრამ კარგი კაცი ბრძანდებით, მართალს მოგახსენებ. სხვა ნემცებიც რომ თქვენნაგვანდნენ, მაშინ კი გაგვეძლებოდა როგორმე.

— მაგრამ უსარგებლოდ კი ვერ გასესხებ.

— ვიცი, ვიცი.

— მომცემთ ერთს თამასუქს, სადაც გამოყვანილი იქმნება მთელი ვალი.

— ბერთხეული იყოს თქვენი სახელი.

— როცა ქალაქში ვიქმნები, ნოტარიუსთან შევიდეთ.

ისინი იყვნენ ქალაქში და თამასუქს მოაწერეს ხელი ნოტარიუსთან. მაგრამ თავ-და-პირველად მაგდა შევიდა მღვდელთან დასაკითხავად და მოსალაპარაკებლად. მღვდელი ეუბნებოდა, რომ ძალიან მოკლე ვადა არისო დანიშნული და სარგებელიც დიდიო; ძალიან სწუხდა, რომ ბატონი ბარჟინსკი სახლში არ იყო, თორემ ის უთუოდ ალმოუჩენდა რამე შემწეობას. მაგრამ მაგდას მეტი საშველი აღარ ჰქონდა: ან უნდა გაეყიდა თავის საცხოვრებელი და ან უნდა მიეღო ბუსტის პირობა. ესესხა მისგან 300 მარკა, ე. ი. ჯარიმაზედ ორჯელ მეტი; მაგრამ სახლშიაც ხომ უნდა ჰქონოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამოდენიმე. რომ უფრო სარწმუნო ყოფილიყო, ბარტექმა თვითონ მოაწერა ხელი თამასუქს. მაგდა განსაკუთრებით ამ საქმისთვის წავიდა საპყროობილეში. ბარტექ-მძლეველი ავად იყო და ჯავრით მოკლული. იმან კიდევ შეიტანა სასამართლოში საჩივარი, მაგრამ არ მიიღეს.

— ახლა ხომ მთლად დავიღუპებით! უთხრა იმან ცოლს.

— მთლად, მწუხარებით განუმეორა მაგდამ.

— ბარტექმა რალაზედაც ძალიან დაფიქრდა.

— ძალიან უსამართლობა კი მიქმნეს, სთქვა ბარტექმა.

— ბიოგე კიდევ სდევნის ჩვენს ბიჭს, უთხრა მაგდამ. მე წავედი იმასთან სათხოვნელად, მაგრამ გალანძღვის მეტი ვერა გამოვიტანე-რა. ოხ, ახლა ნემცები იარმოში ნეტარებაში არიან; არავისი აღარ ეშინიათ.

— ჰგავს, რომ ისინი ძალას გრძნობენ, მოწყენილად წარმოსთქვა ბარტექმა.

— მე ხომ სულელი ვარ, მაგრამ მაინც ვიტყვი რომ ძლიერი მარტო ერთი ღმერთია.

— ის არის ჩვენი ნუგეში, დაუმატა ბარტექმა.

რამოდენიმე წუთი ორივენი გაჩუმებულნი იყვნენ, შემდეგ ბარტექმა იკითხა:

— ჰო, მართლა რაო იუსტმა?

— თუ კი რომ ღმერთი კარგს მოსავალს მოგვცემს, შეიძლება გარდავიხადოთ ოროგორმე; მას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ბატონიც მოგვეხმარება რასმეს, თუმც მასაც კი მართებს ფული ნემცების და ოამამდისაც ამბობდნენ, რომ ყოველ ის ფერი უნდა გაჰყიდოს Iარმოშიო, თუ კი მდიდარი ქალი არ შეირთოვო!...

— მალე დაბრუნდება?

— ღმერთმა იცის! სასახლეში ამბობენ, რომ მალე მობრძანდებაო ცოლიანად. . .

. . . . . .

— შეიძლება შენ მოიფიქრე რამე: შენ ძალიან ჭკუიანი დედა-კაცი მყავხარ.

— მე რა უნდა მომეფიქრნა? Iუსტისაგან ვალის აღება განა ჩემი კეთილი სურვილი იყო თუ? მართალი რომ ვსთქვათ, სახლ-კარიც და ადგილიც ყოველ ის ფერი მის ია ახლა. Iუსტი სხვა ნემცებს სჯობია, მაგრამ ის იც მხოლოდ თავისას უფრთხილდება და არა სხვისას. მეც ისე სულელი არა ვარ, რომ არ ვიცოდე, თუ რატომ მაძღევს ფულს. მაგრამ რა ვქნა, რა ვქნა! ზანაგრძო მან ხელების მტვრევით,-მითხარი ერთი შენ, თუ მაგ თავში ჭკუა მოგეძებნება. . . . . და აბა მითხარ—რას იზამ, როცა შენ არც სახლ-კარი გექმნება და არც ლუკმა პური?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბმირმა შემოიკრა თავში ორივე ხელები და ამოიკვნესა:

— ოხ, ღმერთო ჩემო!

მაგდა კეთილი გულის ქალი იყო. იმას გული დაულბო ბარტექის ამოკვნესამ და უთხრა:

— წყნარა, შენ გლახაკო, წყნარა! ნუ იკიდებ თავზედ ხელს: ის ჯერ კიდევ არ მოგრჩენია. თუ რომ ღმერთმა კარგი მოსავალი მოგვცა! პური ისეთი კარგია, რომ მიწას მინდა ვეანბორო სიხარულით, აგრეთვე ქერიც; მიწა . . . . არ დაგვსჯის. მე თუმცა ცუდად ვხნავდი, როდესაც შენ ომში იყავი, მაგრამ პური ისეთი ამოვიდა, რომ შენი მოწონებული! მაგდას გაელიმა ცრემლების ქვეშ.

— მიწა . . . არის! ბაიმეორა კიდევ.

— მაგდა! წარმოსთქვა ბარტექმა და დააცქერდა მას თავის გამოქაჩულის თვალებით.-მაგდა!

— ჰო, რა გინდა?

— შენ მე მყევხარ... ესე იგი...

ბარტექი გრძნობდა ღრმა მადლობას მისდამი, მაგრამ არ იცოდა, თუ როგორ გამოეთქვა.

IX.

მაგდა მართლაც ფრიად კარგი ქალი იყო. ის სასტიკად ეჭცეოდა ხოლმე ბარტექს, მაგრამ ძალიან ერთგულიც იყო მისი. როცა ძალიან გაჯავრდებოდა, როგორც მანინ სამიკიტნოში, მაგდა ეძახოდა მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიყვს, მაგრამ, რასაკვირველია, რომ არ უნდოდა, ამ აზრის თანახმა ვინმე ჰყოლოდა. ,,ჩემი ბარტექი იგონებს სულელობას, თორემ მცბიერია!'' იტყოდა ხშირად მაგდა. მართლა კი, ის ისეთივე მცბიერი და ეშმაკი იყო, როგორც მისი თეთრი ფაშატი ცხენი; და მაგდა თუ არ მოეხმარებოდა, ისე იმას არაფრის გაკეთება არ შეეძლო, არც ოჯახში და არც სხვაგან. ახლაც შველა მაგდას ხელში იყო და როცა კი დაიწყო აქეთ-იქით სირბილი, სიარული, ფათური, თხოვნა, ვედრება, თავისი ჰქმნა მაინც. ერთი კვირის შემდეგ მაგდამ კიდევ ინახულა თავისი ქმარი საპატიმროში. ახლა საპატიმროში მოირბინა მაგდამ დაღალული, გახარებული და გაბრწყინვებული.

— როგორ მშვიდობით ხარ ბარტექ, ჩემო ნემეცო! დაიყვირა მან მხიარულად. -იცი? ბატონი მობრძანდა, ცოლი შეურთავს სამთავროში; მისი ცოლი ისეთია, როგორიც შენი ქვიშნა. და რამდენი რა მოიტანა. ოჰ, ჰო, ჰო!...

იარმოს მებატონემ მართლაც შეირთო ცოლი, მოიყვანა თავის მამულში და ბევრი რამეებიც მოიტანა.

— ჰო მაგრამ ჩვენ რაო მერე?... ჰკითხა ბარტექმა.

— გაჩუმდი, შენ სულელო! მიუგო მაგდამ.-უჰ, რა დავიღალე! ოხ, ღმერთო! მივედი ახალი ქალბატონის სანახავად: გამობრძანდა ის ჩემთან, როგორც მეფე ვინმე, როგორც ყვავილი, მშვენიერი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცისკარი... რა სიცხეა! ლამის სული ამოშიგიდეს!

მაგდამ მოიხოცა გაოფლიანებული პირი წინსაფარით, შერმე ხელ-ახლავ განაგრძო ლაპარაკი აკანკალებულის ხმით:

— ქაბა ეცვა იმას ლურჯ-ლურჯი, როგორც შიშპარა ყვავილი. მე დავვარდი იმის ფეხებ ქვეშ, იმანაც ხელი მომცა... მე ვაკოცე; ისეთი პაწაწა ხელები აქვს, როგორც ბავშვს და სუნიც ისეთი უდის... მშვენიერი... ნამდვილი წმინდანია, ხატსა ჰგავს და ჩვენი გლეხის მწუხარებაც ესმის... ღმერთო მიეც მშვიდობა და კარგად ჰყოფნა! მე შეეეეედრე მას, ესთხოვე შემწეობა... და ხმაც ისეთი აქვს, რომ როცა ლაპარაკს დაიწყებს, გული და სული დაგიტკბება... მე მოვახსენე მას, თუ როგორი საწყლები და ლარიბები ვართ იარმოელები. იმან მიბრძანა ამაზედ: ეჰ, არა მარტო იარმოელთ ადგიათ ეგ დღე... მე დავიწყე ტირილი და ისიც ასტირდა. ამ დროს მობრძანდა ბატონი და თავის ცოლი რომ ატირებული დაინახა, კოცნა დაუწყო... სწორედ რომ გვრიტები არიან!... ბატონები ისე კი არ ჰკოცნიან ცოლებს, როგორც თქვენ-გლეხები. ბალბატონმა კიდეც უთხრა მას: მოეხმარე ამ ქალს, თუ რამ შეიძლებაო, და მან მიუგო: ყოველის ფერს, რასაც კი შენ ისურვებო! ღმერთი მისცემს სიკეთეს მას და მისს შვილებს. ბატონმა მიბრძანა: ცოდვაა თქვენი ასე ნემცების ხელში ჩავარდნა და მათი ყმობა, მაგრამ მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ გამოგიხსნით და მივსცემო ფულებს იუსტს!

ბარტექმა თავი მოიქექა.

— თვითონ ბატონიც ხომ იმავე ნემცების ხელშია ჩავარდნილი!

— მერე რაო? ქალბატონი ხომ მდიდარია. იმათ ახლა იმდენი ფულები აქვსთ, რომ თუნდ ყველა ნემცებს იყიდიან იარმოში. მალე არჩევანებიც იქმნებაო, ბრძანა და გლეხები ნუ მისცემენ ხმას ნემცებს, და იუსტსა და მასწავლებელს მე გავსცემ პასუხსო. ამაზედ, ნეტავი გენახა, რა ნაირად გარდაეხვია ქალბატონი. ბატონს შენც გაახსენდი და ბრძანა, თუ მართლა ავად არის, მე ექიმს მოველაპარაკები, მოწმობას მისცემს და განთავისუფლებენო. თუ რომ სულ განთავისუფლება მისი არ შეიძლება, ზამთარში მოათავებს და ახლა კი ოჯახში საჭიროაო. ბესმის! ბატონი გუშინ ქალაქში იყო და ღღეს ექიმი მივა სასახლეში სტუმრად, მიტომ რომ ბატონს დაუპატიჟნია. ის ნემეცი არ არის და უთუოდ დასწერს მოწმობას. ზამთარში დაჯდები საპყრობილეში, სითბოც იქმნება და საჭმელსაც ბევრს მოგცემენ, ახლა კი წამოდი სახლში და მომეხმარე. იუსტსაც გავისტუმრებთ. ბატონმა შეიძლება არ მოგვთხოვოს სარგებელი და თუ შემოდგომაზედ მთლად ველარ შევძელით გარდახდა, მაშინ მე ვსთხოვ ქალბატონს, რომ გვადროვოს. ღვთის-მშობელმა ღედამ აკურთხოს იგი. ბესმის!

— კარგი ქალბატონია! ბატონულად წარმოსთქვა ბარტექმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თაყვანი ეცი მას, თაყვანი. თუ არა ... შინ მე ვიცი, რაც მოგიხდება, შენ ბრიყვო, ნეტავი ღმერთი კარგს მოსავალს მოგვცემდეს და! ხომ ხედავ! საიდგან მოდის შველა? . . . . .

. . . . . .

თაყვანი უნდა სცე ქალბატონს, გესმის!

— რატომ არ ვ'ცემ თაყვანს? ენერგიულად უპასუხა ბარტექმა.

ბედმა ერთხელ კიდევ გაუღიმა ბარტექ-გმირს. რამდენიმე დღის შემდეგ ბარტექს გამოუცხადეს, რომ ავადმყოფობის გამო, ის განათავისუფლეს საპატრობილიდგან ზამთრამდის. მაგრამ ლანდრატმა თავდა-პირველადვე უბრძანა მას, რომ კანცელარიაში გამოცხადებულიყო. ბარტექი, რასაკვირველია, გამოეცხადა მას, მაგრამ შიშისაგან კი აღარ იყო კაცი. ამ კაცს, რომელსაც ომში მტრებისათვის მოუტანია ზარბაზნები და დროშები, ახლა ყოველი მუნდირის დანახვის ისე ეშინია, როგორც სიკვდილის... ის ახლა ფიქრობს, რომ მას სდევნიან, ემტერებიან, რომ შეუძლიათ ის უქმნან, რაც უნდათ, რომ მასზედ უფრობს რალაც იმისთანა ძალა, რომელსაც შეუძლია მისი ფერფლადაც გარდაქცევა. იდგა ახლა ის ლანდრატის წინაშე, როგორც ერთს დროს წინაშე შტეინმეცისა, ხელებ ჩაშვებული, გულ-მკერდ გამოწეული და სულის დაბერვისაც კი ეშინოდა. ოთახში

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვნენ სხვა აფიცრებიც. ომი და დისციპლინა წარმოუდგა ბარტექს თვალ წინ ცოცხლად. ზიზღითა და ამპარტავნებით უყურებდნენ მას სათვალებიანი აფიცრები, როგორც უყურებენ ხოლმე ჩვეულებრივ უბრალო გლეხს, სამსახურიდგან გამოსულს სალდათს. ბარტექი გაქვავებული იდგა, ლანდრატი ელაპარაკებოდა მას ბრძანებლობის კილოთი. ლანდრატი იმას არც რჩევას აძლევდა, არც თხოვდა, არამედ, უბრძანებდა, ექადოდა. ბერლინში მომკვდარიყო დეპუტატი, დანიშნული იყო არჩევანი და უნდა ამოერჩიათ ახალი ვინმე მის მაგიერად.

— აბა, გაბედე ერთი შენ POLNISCHES VIEH, (პოლშელო პირუტყვო,) იარჟინსკის სასარგებლოდ ხმის მიცემა, სცადე მხოლოდ!

აფიცრებმა მრისხანედ შეჭმუხნეს წარბები, ერთი იმათგანი სიგარის წვეთი იმეორებდა: „აბა სცადე!“ ბარტექი სდგას ცოცხალ-ჭკვდარი. როცა, ბოლოს, დაიძახეს სანატრელი სიტყვა: „ბარედ გაეთრიე!“ ბარტექი მაშინვე შემოტრიალდა ციბრუტივით მარცხნივ, გამოვიდა გარედ და ამოიოხრა თავისუფლად. იმას უბრძანეს, რომ ხმა მიეცა შულბერგის სასარგებლოდ, რომელიც დიდი-ქრივდიდგან იყო. ბარტექი სულაც არ ფიქრობდა ამ ბრძანებაზედ, მაგრამ თავისუფლად მიტომ ამოითქვა სული, რომ იარმოში მიდიოდა, მიტომ რომ რთველის დროს ოჯახს გამოადგებოდა რამეში და კიდევ მიტომ, რომ ბატონი შეპირებოდა მას იუსტის ვალის გასტუმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებას. ბამოვიდა ქალაქიდგან. იმის წინ გაშლილი იყო პურის ყანები; მძიმე თაველები ხვდებოდნენ ერთმანერთს და შრიალი გაჰქონდათ, რომელიც ძრიელ სასიამოვნოა გლეხი-კაცის ყურისათვის. ბარტექი ჯერ კიდევ სუსტად იყო, მაგრამ თბილი მზე აძლევდა მას ლონეს. ოჰ, რა კარგია ქვეყანაზედ ცხოვრება! ფიქრობდა უნებურად გლეხი. იარმოც იქვე იყო...

X.

დადგა არჩევნების დღეც. ქალბატონი ბარქინსკისა მხოლოდ ამაზედ ფიქრობს, ამაზედ ამბობს და ოცნებობს.

— თქვენ, ქალბატონო, დიდი პოლიტიკოსი ბრძანდებით, ეუბნება მას მეზობელი მებატონე და ჰკოცნის პაწაწა ხელებზედ. დიდი პოლიტიკოსი კი წითლდება ამ სიტყვებზედ და უპასუხებს მომხიბვლელის ღიმილით:

— ჰო, ჩვენ ყოველს ლონისძიებას ვხმაროობთ, რომ ჩვენი გავიტანოთ.

— თქვენს-მეუღლეს ამოირჩევენ! დარწმუნებით წარმოსთქვამს შლიახტი (პოლშელი აზნაურია). ამაზედ დიდი პოლიტიკოსი უპასუხებს:

— ბამოტეხილი უნდა მოგახსენოთ, რომ ძალიან მსურს, თუმცა აქ ჩემს ქმარზედ კი არა (ამ დროს ჩვენი დიდი პოლიტიკოსი წამოწითლდება,) საზოგადო სიკეთეზეა საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სწორედ რომ ბისმარკია! ღმერთმანი რომ ნამდვილი ბისმარკია! ულვრის შლიახტიჩი და თან ჰოცნის ქალბატონს იარჟინსკისას პაწაწა ხელებზედ და იწყებს მსჯელობას ალმომრჩეველს საზოგადოებაზედ. შლიახტიჩი ილებს თავის თავზედ იმოქმედოს პატარა-ქრივდაში და ნედოლში (დიდი ქრივდა დაკარგულია მათთვის, მიტომ რომ ის შულბერგს ეკუთვნის), ხოლო ქალბატონი იარჟინსკისა იმოქმედებს უფრო იარმოში. ეს საქმე თავბრუს უხვევდა ქალბატონს იარჟინსკისას. ულველს დღეს გამოჩნდებოდა ხოლმე იგი დიდ ქუჩაზედ, ქოხებში-, ერთ ხელში ეკავა აწეული კაბა და მეორეში ქოლგა; კაბის ქვეშ მოჩანს პაწაწინა ფეხები, რომელნიც ემსახურებიან, რასაკვირველია, იმავე პოლიტიკურს მიზანს. ის ხან აქ, ხან იქ შედის ქოხში, გზაზედ აძლევს სალამს მუშა ხალხს შემდეგის სიტყვებით: „ღმერთი იყოს თქვენი შემწე!„ ავადმყოფებს ნახულობს, იმადლიერებს მცხოვრებლებს, სადაც კი შეხვდება, მოწყალებით. ეს პოლიტიკაც რომ არ ყოფილიყო, ის მაინც აგრე იზამდა, მიტომ რომ კეთილი გულის ქალი იყო. მაგრამ ახლა, რაც უნდა იყოს, კიდევ უფრო გულმოდგინედ მოქმედებს. რას არ იზამდა იგი ამ საგნის მისაღწეველად? ქმარს ვერ უშველდა, თორემ ძალიან გულით სურდა გლეხების კრებაზედ დასწრება. მან სიტყვაც კი მოამზადა წარმოსათქმელად. მერე რა სიტყვა იყო, რა სიტყვა! ამ სიტყვის წარმოთქმა არ შეიძლებოდა, თორემ ვინ იცის რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაირად იმოქმედებდა! როდესაც იარმოში შოვიდა ამბავი, პოლიციამ გლეხებს თავის შეყრა და საქმეზედ წინ-და-წინ მოლაპარაკება ალუკრ ძალაო, დიდი პოლიტიკოსი ნამეტანის სიანჩჩლისაგან ასტირდა და მთელი დღე ცრემლისაგან თვალები დაწითლებული დადიოდა; ამაოდ ეხვეწებოდა ქმარი, თავს ნუ იწუხებო. მეორე დღეს დიდმა პოლიტიკოსმა მიჰყო ხელი აგიტაციას უმეტესის ენერგიით. ქალბატონის იარჟინსკის გულმა არ იცოდა არც მშვიდობა და არც მოსვენება. ერთი დღის განმავლობაში ჩამოიარა მან ოცი მოსახლე კაცი და ისეთ ნაირად ლანძღავდა ნემცებს, რომ ქმარი იძულებული იყო ხან და ხან შეეჩერებია. მაგრამ იმას კი ნუ იფიქრებთ, ვითომც საშიშროება რამე მოელოდა ვისმეს ამით. გლეხები ილებდნენ მას ძალიან გულ გაშლილად: ხელებზედ ჰკოცნიდნენ და უცინოდნენ. ის ხომ ისეთი მშვენიერი იყო, რომ სადაც კი შევიდოდა, ყველგან შვებას შეიტანდა. ბრაპკამ დაიყენა იმის დანახვაზედ, მაგრამ მაგდამ ნამეტანის ერთგულებით ერთი კარგი ჯოხი უთავაზა და გააკმენდინა ხმა

— ოჰ, საყვარელო ძვირფასო ქალბატონო ჩემო! წამოიძახებს მაგდა და ჰკოცნის ქალბატონს ხელზედ. ბარტექი, თანახმად პირობისა, დაეცემა პირქვე თაყვანის საცემად;-ფრანიოკი ჰკოცნის მას ხელზედ და წემდეგ დგება განზედ და მთლად სმენად გარდაიქცევა; თითი პირში აქვს გამორჭობილი..

— იმედი მაქვს, ამბობს მისალმებისათანავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმაწვილი ქალბატონი,-რომ თქვენ, ძვირფასო ბარ-ტექ, მისცემთ ხმას ჩემის ქმრის და არა შულბერგის სასარგებლოდ.

— ოჰ, ჩემო გვრიტო, ჩემო მშვენიერო! წამოიძახებს უცებ მაგდა. ვინ მისცემს ხმას შულბერგის სასარგებლოდ, ამბობს გაცხარებით მაგდა და თან უკოცნის ხელს ქალბატონს. ბარტექს თავის თავი აღარ ახსოვს გაბოროტებისაგან, როდესაც დაიწყებს ლაპარაკს შულბერგზე.

— ჩემმა ქმარმა აი ახლა მითხრა, რომ იუტის ვალს უთუოდ გაიტუმრებს.

— ღმერთმა კი აკურთხოს ჩვენი ბატონი!-აქ მიუბრუნდა მაგდა ბარტექს და უთხრა: რას დგახარ ხესავით! სულ არ ემარჯვება ამ უბედურს ლაპარაკი.

— აბა, ჩემს ქმარს მისცემთ ხმას? ეკითხება ქალბატონი ბარტექს. თქვენც მეობლები ხართ და ჩვენც; უნდა შევეწიოთ ერთმანეთს.

— მე კი ვუჩენებ მაგას, რომ არ დამიჯეროს! ამბობდა მაგდა. ნუ დგახარ ასე ხესავით გაშეშებული, გაინძერი! მუსაიფის გაწევა სულ არ შეუძლია ამ საწყალს...

ბარტექი ჰკოცნის ხელზედ ქალბატონს, მაგრამ თქმით კი არას ამბობს. ის დალურემილია, ბნელია მისი პირის სახე კუკუნახვით, ვერას ამოიკითხავ, მიტომ რომ თავიდგან კიდევ ვერ გამოუშორებია ლანდრატი.

დადგა არჩევნების უკანასკნელი ღღე. ბატონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იარჟინსკი დარწმუნებულია, რომ საქმეს მოიგებს. სასახლეში შეიყარეს თავი მათ თან ახლო-მახლო მებატონეებმა. ისინი თავ-და-პირველად ქალაქში იყვნენ ყველანი, მიცვეს ხმა და ახლა იარმოში უცდიან ამორჩევების შედეგს. აჩევნების შემდეგ ნადიმი გაიმართება, საღამოს ბატონი იარჟინსკი და მისი მეუღლე წაბრძანდებიან პოზნანში და იქიდგან ბერლინში. რამდენიმე სოფელმა გუშინ მისცა ხმა მის სასარგებლოდ. დღეს ყველა შეიტყობს არჩევნების შედეგს. აქ შეკრებილს სტუმრებს ყველას სრული იმედი აქვს, რომ იარჟინსკი იქმნება ალრჩეული. ბალბატონი იარჟინსკი რალასაც კი სწუხს, მაგრამ იმედს მაინც არ ჰკარგავს და ისე სიყვარულით ეექცევა სტუმრებს, რომ ყველანი ერთ ხმად ალიარებენ ბატონს იარჟინსკის ბედნიერ კაცად, რომ ამისთანა ძვირფასი საუნჯე უპოვნია სამთავროში. მაგრამ ეგ საუნჯე რალაც ვერ ისვენებს ერთს ადგილზედ: ხან ერთს სტუმრებთან მიირბენს, ხან მეორეთან და ყველას არწმუნებს, რომ უთუოდ იოსებს ამოირჩევენ. ბალბატონი იარჟინსკი ბუნებით პატივის მოყვარე ქალი არ იყო და თავმომწონობით კი არ უნდოდა მას დეპუტატის ცოლობა; არა, ორივე ცოლქმარმა ერთმანერთი დაარწმუნეს, რომ იგინი ასრულებდნენ დიდს მისსიას. ამიტომ მისი გული ძგერს გამალებული, როგორც ქორწილის დროს უძგერდა და სიხარულით ბრწყინავს იმისი კოპწია-სახე. ის ხშირ-ხშირად მიუახლოვდება თავის ქმარს, წკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავს ხელს კლავ"ედ და წასჩუჩურლებს ყურში, რო-
გორც ცელქი ბავშვი:-,,ბატონო დეპუტატო!'' ისიც
გაუცინებს ხოლმე და ორთავენი გამოუთქმელს
ბედნიერებას გრძნობენ. სტუმრების მორიდება რომ
არ ჰქონოდათ, ისინი გადაეხვეოდნენ კიდეც ერთ-
მანერთს ნამეტანის სიხარულისაგან. სტუმრები წამ
და უწუმ ფანჯარაში იყურებიან მოუთმენელად,
მიტომ რომ ეხლანდელს არჩევანს სულ სხვა მნი-
შვნელობა აქვს. მიცვალებული დეპუტატი იყო პო-
ლშელი და ნემცებმა ამ მაზრაში პირველად წამოა-
ყენეს თავის კანდიდატი. ცხადია, რომ წარსულმა
ომმა ნემცები გაამხნევა და აი იმისთვისაა, რომ სა-
სახლეში ყველანი ასე ძვირად აფასებენ და მონდო-
მილნიც არიან, რომ პოლშელებმა გაიმარჯვონ.
ზოგიერთი სტუმართაგანი საჭიროდ სთვლის სთქვას
სადილობამდი პატრიოტიული სიტყვა, რომელმაც
განსხვავებული შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს
ქალბატონზედ. ხანდის ხან გაუვლის მას უცეფური
შიში: ბოროტ მოქმედება რომ მოხდეს კენჭების
დათვლის დროს? კომიტეტში ხომ მარტო ნემცები
სხედან. ზოგიერთი სტუმრებთაგანი უხსნის მას, თუ
როგორ ითვლიან ხოლმე ხმებს. ეს ასჯერაც გაუ-
გონია, მაგრამ მაინც უნდა კიდევ ეუბნებოდნენ.
მართლაც, საქმე ხომ მხოლოდ ის არის; მცხოვრებ-
ლებს პარლამენტში წარმომადგენელად ვინ ეყოლე-
ბათ: მტერი, თუ მოყვარე. კიდევ რამოდენიმე წამი
და ეს კითხვა ვარდაწყდება; დიალ, რამოდენიმე წამი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტომ რომ ამ დროს გზაზედ დგება უშველებელი მტვერი. მლვდელი მოდის, მლვდელი მოდის! შეიქმნება ერთი ხმაურობა. ქალბატონი ფითრდება.

ველა დარწმუნებულია, რომ საქმე მოგებულია; მაგრამ ყველას აჩქარებით დაუწყებს მაინც გული ძგერას. მაგრამ ეს მლვდელი როდი იყო, თურმე პრიკაშჩიკი დაბრუნებულიყო ქალაქიდგან ცხენით. შეიძლება ამანაც იცოდეს რამეო? ცხენს მიაბამს ლობეზედ და წამოვა სასახლისაკენ აჩქარებულის ნაბიჯით. სტუმრები და ქალბატონი გამოცვივდებიან ბალკონზედ..

— რა ამბავი იცი? ბატონი ამოირჩიეს? გამოიარე ერთი...

— ნამდვილად იცი? გამოაცხადეს?

პრიკაშჩიკი აგდებს ქუდს ზევით და ჰყვირის:

— ჩვენი ბატონი ამოირჩიეს! ურა!

ქალბატონი იქვე ჩაჯდება და გულზედ ხელს იდებს. ურა, ურა! ჰყვირიან მეზობლები.-მოსამსახურეები გამოცვივდებიან სამზარეულოდგან. ურა! ნემცები დამარცხდნენ! გაუმარჯოს ღმერთმა დეპუტატს და მის მეუღლეს!

— მლვდელი სადღაა? იკითხა ვილამაც.

— იაიც ეხლავე მოვა, მიუგო პრიკაშჩიკმა. ხმების დათვლა ჯერ მთლად არ გათავებულა.

— აბა სადილი მოგვართვითო! შვრება განკარგულებას ბატონი დეპუტატი.

— ურა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველანი შებრუნდებიან ხელახლავ სასტუმროში. აბლა უფრო მშვიდობიანად ულოცვენ იარჟინსკის. მხოლოდ ქალბატონი ველარ ერევა თავს და ყველასთან ეხვევა ქმარს; მაგრამ მას არავინ არ სძრახავს ამისათვის; ის კი არა, თვითონ ისინიც ძალიან ალშფოთებულნი არიან. ოჰ, მადლობა ღმერთს, ჩვენც ერეულვართ ცოცხლებში, ამბობს ნესჩაპტნოის მეგატონე. ამასობაში ბალკონთან მოისმის ეკიპაჟის ხმა და ზალაში შემოდის მღვდელი და მასთან მოხუცი მათე იარმოელი.

— ქეთილი იყოს თქვენი მობრძანება! მიესალმებიან ყველანი. შეესამჩნევი უმრავლესობა იყო ჩვენსკენ?

მღვდელი ცოტა ბანს შეჩერდა; შემდეგ ხმა დაბლა წარმოსთქვა შემდეგი ორი სიტყვა:

— შულბერგი ამოირჩიეს!...

არავის სჯერა. მღვდელს ერთი ერმანერთზედ აძლევენ კითხვებს:

— როგორ მოხდა ეს? პრიკაზჩიკმა კი სულ სხვა ნაირად გვითხრა. თქვენ ამბობთ, რომ შულბერგი ამოირჩიეს? შესაძლებელია?

ამ დროს ბატონი იარჟინსკი გამოიყვანს ოთახიდგან თავის საწყალს ცოლს, რომელიც ცხვირსახოცს ღეჭს, რომ ტირილი არ მოერიოს და გრძნობა არ დაჰკარგოს.

— რა უბედურებაა, რა უბედურება! იძახიან ყველანი გაკვირვებით. სოფლიდგან მოისმის მხია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულობის ხმა; ეს ნემცები კოლონისტები დღესასწაულობენ იარმოში გამარჯვებას.

ბატონიც და ქალბატონიც შემობრუნდებიან სასტუმროში. სტუმრებმა კარგად გაიგონეს, რომ ბატონმა იარეინსკიმ უთხრა თავის ცოლს: "IL FAUT FAIR BONNE MINE" (სახე გაიმხიარულე) ქალბატონი გაჩერდა, აღარ სტირის, მხოლოდ ლოყებზედ კი ალმური ასდის.

— ბვიამბეთ ახლა, როგორ მოხდა ეს! ეარმოსთქვა ბატონმა დაწყნარებით.

— როგორ მოხდა ბატონო? შეასუხებს მოხუცი მათე, აქაური გლეხებიც ხომ შულბერგის იყვნენ....

— როგორ აქაურებიც?

—დიალ, აი მაგალითად ესთქვათ, მე თვითონ დავინახე, რომ ბარტექ სლოვიკმაც შულბერგს მისცა ხმა...

— ბარტექ სლოვიკმა? ბამოიკითხა ქალბატონმა.

— დიალ, დიალ. ახლა სხვა გლეხები მას ქოქოლას აყრიან. ბლეხი სტირის, დედა-კაცი ლანძღავს, როგორც შეუძლია. მაგრამ მე თვითონ შევხედე, თუ როგორ მისცა ხმა...

— ის უნდა გავაგდო ამ სოფლიდგან, სთქვა სოფლის ნესჩასტნოის მებატონემ.

— დიალ, აი ბატონო, განაგრძო მათემ: სხვებიც, ვინც კი ომში იყო, ყველანი შულბერგის მხარეს გადავიდნენ. ამბობენ, რომ ასე ჰქონდათ ნაბრძანებიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბოროტ-მოქმედებაა, ცხადი ბოროტ-მოქმედება! კასაციით უნდა ვიჩივლოთ! ძალადობაა, მოიყიდეს! ბაისმის ზალაში. სადილი გათავდა უსიამოვნოდ.

საღამოს ცოლ-ქმარნი წავიდნენ, მაგრამ ბერლინში კი არა, დრეზდენში.

ყველაზეგან განდევნილი ბარტექი იჯდა ამ დროს თავის ქოხში მარტო და თითქმის ისე გავიდა მთელი ის დღე, რომ მაგდასაც არ ულირსებია მისთვის სიტყვა.

იმ წელიწადს მშვენიერი, უხვი მოსავალი იყო და უვალი იუსტი, რომელმაც დაისაკუთრა ახლა ქოხი და ბარტექის მიწა-წყალი, სრულიად დარწმუნდა, რომ ფული ტყუილა არ გაუსესხებია.

ერთხელ იარმოდგან მიდიოდა ქალაქში სამი კაცი: გლეხი, დედა-კაცი და ერთი პატარა ბიჭი. გლეხი წელში მოხრილი იყო ძალზედ და უფრო ბებერ-გლახაკს ჰგავდა, ვინემ ჯან-მრთელს კაცს. ქალაქში მიტომ მიდიოდნენ, რომ იარმოში სამუშაო ველარა ეშოვნათ-რა. თქორავს; დედა-კაცი ცხარე ცრემლით სტირის, რომ ქოხი და მამულ-დედული გაუყიდეს. გლეხი ხმა-გაკმენდილი მიდის, გზაზედ არავინ მიდი-მოდის. წვიმას თან-და-თან უმატებს. ღამდება კიდეც. . . . . იგი მოელოდა საპყრობილეში ჩასმას დანიშნულს დროზედ. ბატონი იარჟინსკი თავის მეუღლითურთ კიდევ დრეზდენში ბრძანდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბა თქვენ უოფილიყავით იმის ალაგას!

ბარნარდის მოთხრობა.

(ნათარგმნი ანასტ. თ-სა)

უბოლოვო კაშკაშს დღეს ძლივს ეშველა დალამება; ხუთი საათი იყო. რკინის გზის სტანციაზედ არა თუ საათებს, არამედ ყველა წამს აქვს მნიშვნელობა. წამ და უწუმ მოისმოდა სტვენა და ზარის წკარუნი. ხუთის ნახევარზედ ხალხის მატარებელმა გაიარა აღმოსავლეთისკენ, ხუთიოდ წუთის შემდეგ სწრაფ-მოსიარულე (ეკსტრენნი პოეზდი) მატარებელი გაექანა დასავლეთისკენ.

ახალგაზდა ქალი, ლიდა, მოუთმენელად სთვლიდა საათებს. ეს იყო ამერიკის ერთ-ერთი საუკეთესო ქალთაგანი: მშვიდი, წყნარი, ამასთანავე გამჭრიახი, მხნე და გამბედავი როდესაც საჭიროება მოითხოვდა და სიყვარული წაუჩურჩულებდა. ახლა კი სწორედ დრო იყო, ბარგით და საქონლით ვაგონები უნდა მოსულიყვნენ და ქალი ნახავდა იმას,

ვის ნახვასაც მოუთმენელად ნატრობდა. სწრაფლად გადასდო საკერავი, თავზედ ნაქსოვი თავ-მოსახვევი წამოიხურა და რკინის გზისკენ გასწია. შორიდგანვე დაინახა თავისი ძმა, სტანციის უფროსი, რომელსაც რელსების მეორე მხარეს გაელო ბარგის შესანახავი სარაია. ეს იმას ნიშნავდა, რომ აქ შეაჩერებენ ბარგის ვაგონებს. ქალს გულმა დაუწყო ფანცქალი და ფეხი აუჩქარა.

მივიდა თუ არა სტანციაში, სადაც რკინის გზის რელსები გადუვლიდა სოფლის შარა გზას, ქალმა მიიხედ-მოიხედა და რა ნახა, რომ დაბრკოლება არა იყო რა, გადავიდა რელსებზედ და გასწია მარცხნივ სარაიასკენ.

ამბის შედეგის გასაგებათ, თუ რა გადახდა თავს ახალგაზდა ქალს, საჭიროა დაწვრილებით გავიცნოთ ის ადგილი, სადაც ლიდა ისე გმირულად მოიქცა. დიდი გზის რელსები ეწყო მარჯვნივ, აღმოსავლეთისკენ, ორს ვერსტზედ თითქმის სუფი სწორე გზაზედ. მარცხნივ კი, დასავლეთისკენ, გზა გადივლიდა ხრამზედ, სადაც ქვის მაღალი ხიდი გაკეთებული იყო. მეორე გზას შეუხვევდა დიდ აღმართს, ჩრდილოეთისკენ. სწორედ სტანციასთან, აღმოსავლეთისკენ, ამ დიდ გზას ჰქონდა შტო და იქვე ერჭო ისარი (სტრელკა), რომლის შემწეობით ვაგონები ერთისრელსებიდგან გადავიდოდნენ მეორე გზის რელსებზედ. სტანციიდგან დასავლეთისკენ კი მოდიოდა ორი მოკლე შტო. ერთი ბ-რ და-ბირ სარაიამდის, სადაც ბარგს ინახავენ და მეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე შტო სტანციას მოუვლიდა და შეუერთდებოდა დიდ სწორ გზას. რასაკვირველია, სადაც ეს შტოები იწყობოდა ყოველგან ისრები იდგნენ.

ლიდამ გაუარა ბარგის სარაიას, გადასცილდა გზის შტოს და ზედ გზასთან ვაშლის დიდ ხის ჩრდილში ქვაზედ ჩამოჯდა. დიდ ხანს არ მოუნდა სატრფოს მოლოდინი.

აგერ ისიც ახლა გამოჩნდება! ქალმა გაიგო როგორ სამჯერ დაუშტვინეს და ლოყები ალისფერი ვარდივით გაუხდა. მატარებელი უნდა შეჩერდეს და სტანციის უფროსს აცნობეს მოახლოვება. ლიდას ძმა გამოვიდა ბარგის სარაიადგან, ორიოდ სიტყვა უთხრა დას და გასწია იმ ისრისკენ, საიდამაც იწყობოდა სარაიასთან მიმავალი შტო.

ვაგონები ახლოს იყო და მასთანავე ხომ ქალს საქმროც მოუვიდოდა. ჯერ მოისმა ორთქლის შუილი, საკვამლიდამ დიდი ხმაურობით ორთქლი ეცა მაღლა. მაშინამ ცოტ-ცოტა უკლო სიარულს და ისეთი ლრიალი და ქშუილი გაჰქონდა, თითქო ვერ შესძლებსო დაყენებას.

ზუგუნით და გრიალით გაიარა დიდმა მაშინამ, თითქმის მიწაც კი ინძრეოდა იმის სიმძიმით. ფანჯრიდგან მაშინისტმა გამოიხედა და ლიდამაც თავი დაუქნია; ვაგონები თითო-თითო ნელ-ნელა მიგოგავდნენ. ოთხი მუშა რკინის კავით ამაგრებდნენ ვაგონებს. ვისაც ლიდა ეძებდა, ჯერ არსად იყო. ბოლოს გამოჩნდა უკანასკნელი ვაგონი. ამ ვაგონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანიდგან ჩამოირბინა რკინის კიბეებზედ ახალ-გაზდა კაკმა ლურჯი პერანგით, გამტვერიანებულმა, ერთობ ჭუჭყიანმა და მჭვარტლისაგან გაშავებულმა.

ახალ-გაზდა კაცი უბრალო მუშათაგანი იყო, მაგრამ არა, ახლა ცოტათი მუშაზედ უფრო უფროსია. წელიწადი იქმნება, რაც ამ რკინის გზაზედ უბრალო მუშათ დაინიშნა. ახლა კი კონდუკტორობა მიეცათ ბარგის პოეზდზედ. სიყვარულს რომ არ წაექეზებინა, ასე მალე ვერ მოიკიდებდა ბინას. უსაქმოდ და უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდა, როდესაც პირველად შეხვდა და შეიყვარა ლიდა. ქალმა მოსთხოვა, თუ გინდა რომ შეგიყვარო, საქმეს დაადექიო. თუმცა ლიდას გული აღგზნებული ჰქონდა სიყვარულით, მაგრამ უნდოდა მაინც, რომ ახალ-გაზდა კაცს დაემსახურებინა სიყვარული. როგორც კი მისცეს კონდუკტორობა, ქალი სიხარულით დაეთანხმა დანიშვნაზედ. ლიდა დარწმუნებული იყო, რომ სხვილი ტილოს გამტვერიანებულ-ტანისამოსიანი და შემურული კაცი უფრო მეტი და მაღალი ადგილის ღირსი იყო. ქმაროდ კაცს შეეხვედნა იმის ჭკუიანი სახისთვის, იმის ცოცხალი და მკვირცხლი თვალებისათვის და მაშინ დარწმუნდებოდა, რომ უკან არავის ჩამოურჩება და ცხოვრების გზას ადვილად გაიკვლევს.

თავი დავანებოთ ამათ ჩურჩულს. ვაგონები ნელ-ნელა მიგოგავდნენ. მაშინა ისარს მალე მიუახლოვდა. მაშინ სტანციის უფროსს ისრის შემწეობით უნდა მაშინა ვაგონებით გადეყვანა გზის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტოზედ და ხელების აწევ-დაწევით რალასაც ანიშნებდა მუშებს, ისინიც აგრეთვე ხელებით ნიშანს აძლევდნენ. მაშინდამ ამოვიდა აუარებელი მოთეთრო ორთქლი. მატარებელი ვერ მეინძრა, თითქოს კიდეც უკან დაიწია და მერე გრიალით და რხევით გადავიდა რკინის გზის მტოზედ, სარაიასკენ. ამ დროს სტანციის უფროსი მიუახლოვდა საყვარლებს.

— გამარჯვება, ალფრედ, ღღეს ბევრი ბარგი არ არი, მაგრამ რადგან უკანა ვაგონს რკინის კავი გატეხილი აქვს, სჯობს ვაგონი დაიკალოს.

ამ სიტყვების შემდეგ სტანციის უფროსმა გასწია სარაიასკენ, სადაც ჯერ კიდევ ნელ-ნელად მიდიოდნენ ვაგონები. მაშინა შედგა, რაკი ვაგონები ერთიანად შევიდნენ ბნელს სარაიაში. დიდ ხანს არ მოუნდნენ ბარგის გადაწყობას, მუშამ ყვირილით აცნობა, ყველაფერი მზად არისო. გამოჩნდა ღრუბელივით ორთქლი. მაშინა დაადგა გზას.

თითო თითო ვაგონებმა ამ ახალ-გაზდებს გაუარეს წინ. ბენი მხიარულად ჩურჩულებდნენ, მერე ხელი ჩამოართვეს ერთმანერთს და იქმნება აკოცეს კიდეც. როდესაც უკანასკნელმა ვაგონმა გაუარა ამათ, ახალ-გაზდა კაცი შეხტა კიბეზედ და ავიდა ვაგონის ბანზედ, სადაც ბინა ჰქონდა. ლიდა თვალს არ აშორებდა და ღიმილით ხელთ-სახოცს უქნევდა.

— ლიდა, გამიგონე, უნდა დამეხმარო, უთხრა ძმამ, რომელიც მოუახლოვდა დიდრონი გაჟღებებით ხელში;—ხალხის მატარებელი ამ წამსვე მოვა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე უნდა სტანციაზედ დავუხვდე. შენ, გეთაყვა, დადეგ იმ ისართან და გადმოიყვანე მატარებელი როდესაც დრო იყოს.

ლიდამ უფიქრელად ძმას გასალებები გამოართვა და თითონ კი თვალებს არ აშორებდა წასულს მატარებელს, რომელიც ისარს კიდეც მოსშორებოდა. თან-და-თან ვაგონებს სიჩქარეც ემატებოდათ და ხიდს თითქმის გასცილებოდა.

ისრის მომართვა და რიგზედ დაყენება არც ძნელი იყო და არც საშიში, ამიტომაც ქალი არხეინად წავიდა აღმოსავლეთისკენ იმ ისართან, სადაც დიდი გზა და ერთ-ერთი გზის შტო ერთდებოდა. იმ ისართან ხის პატარა საყარაულო იდგა, ქალი მიებჯინა იმ სახლის კედელს, თვალებზედ მოიფარა ხელები, რადგან მზის შუქი შიგ თვალებში სცემდა და ისე თვალს ადევნებდა ვაგონს, სადაც მიჯნური ეგულებოდა. მაშინა გადასცილებოდა ხიდს და აღმართს ადიოდა. მათ თითქმის ორი ვერსტი გაევლოთ, ლიდა ველარავის არჩევდა. ქალი აუჩქარებლად მობრუნდა, მოატრიალა რკინის საჭერავი, ისარი ისე გადააყენა, რომ მოშავალ მაშინისათვის დიდი გზა გახსნილიყო.

მერე ლიდამ გადახედა გზას და დაინახა კიდეც ხალხით სავსე მატარებელი, რომელიც გზის შტოდგან გადმოვიდა დიდ გზაზედ და სტანციასთან დადგა.

ახირებული განკარგულება იყო ამ რკინის გზაზედ, ბარგით ვაგონებს აედევნებოდა ხალხის ვაგონები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამ ჭკუასთან მიუხდომელ განკარგულობის გამო აქ არც ერთხელ არ მომხდარა უბედურება, რადგან ხალხის ვაგონები ხუთიოდ ვერსტის შემდეგ, როდესაც სტანციას ასცილდებოდნენ ერთ-ერთ გზის შტოზედ გადავიდოდნენ.

ლიდამ ერთი კიდევ გადახედა თითქმის სრულებით თვალიდგან მოშორებულს ვაგონებს, რომლებმაც გაიტაცეს ამის სატრფო. მატარებელი ჯერ კიდევ ალმართზედ ადიოდა. ლიდა ერთბაშად შეჰკრთა. ნეტა რა უნდა მომხდარიყო? მაშინიდგან ორთქლი განგებ აუშვეს. ეს შეყენების ნიშანი იყო.

ოჰ! ვაგონები ერთმანერთს მოსწყდა! ოდნავ, ყრუდ მოისმა შტევნა, ნიშნად რომ უბედურობა მოხდა, მაშინას ერთი ვაგონი მოხსნოდა და უკან დარჩენილიყო. ვაგონი თითქოს არ იძროდა, იდგა.

აბა, კი არ იდგა, უკან იწევოდა. დაეშვა თავდალმართზედ და თან-და-თან სიჩქარეც ემატებოდა. ვაგონზედ მხოლოდ ერთი კაცი მოჩნდა—ლიდას საქრმო. მოუფიქრებლად ქალმა სამჯერ ასწია და დასწია ხელები იმის ნიშნად, რომ რკინის კავით დაემაგრებინათ ვაგონი.

— რა სულელი ვარ, იფიქრა მერე ქალმა, ის ხომ მე ვერა მხედავს და თან.....

შიშით და უიმედობით ლიდა საშინლად აკანკალდა.

ვაგონს რკინის კავი მოსტეხოდა.

ძრიელი სისწრაფით მოექანებოდა ვაგონი დალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილს აუარებელ ხალხს, რომელიც სრწაფ—მოსიარულე ვაგონებით მოდიოდნენ.

ის იყო როგორც ლიდა მივიდა ისართან, ვაგონიც მაშინ მოახლოვდა, მაგრამ ქალმა მოასწრო ისრის გადაწვა და ვაგონი რახა-რუხით გაექანა სარაიას მხარეს. თუმცა ახალ-ვაზდა ქალს სახე აღგზნებული ჰქონდა თავისი ხელით დალუპული კაცის სიყვარულით, მაგრამ მაინც გრძნობდა, რომ თავისი მოვალეობა აასრულა და უმრავლეს ხალხს ააცილა უბედურობა.

როგორც ვაგონი გადავიდა გზის შტოზედ, სარაიასკენ, ქალმა ისარი მოუმზადა სწრაფ-მოსიარულე მატარებელს. მაშინაც იმ წამსვე მოადგა სტანციას, ვაგონი კი ქალის საქმროთი შეეჯახა დაკეტილს ბარგის სარაიას.

ვაგონებიდგან ხალხმა რაკი დაინახა როგორ მშვიდობიანად გადურჩნენ აუცილებელს განსაცდელს, მაშინვე, რამწამს მატარებელი შედგა, მიატანა იმ ადგილის დასათვალიერებლად, სადაც ქალი იდგა.

ლიდა იპოვეს უგრძნობლად დედა მიწაზედ ისართან ახლოს ხელში დაბლუჯნული გასალებებით.

რა მოხდა? რა დაემართა? ქალი გულს შემოყრილი იყო და პასუხს ვერავის აძლევდა. დიდი სიფრთხილით ასწიეს და გადიტანეს სტანციაში. იქ სუყველა ვაგონების ხალხი გარშემოეხვია. ყველა მიხვდა, რომ ქალისათვის ადვილი არ იყო ხალხის გადარჩენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს ბარგის მატარებელი უკანვე დაბრუნდა და მაშინისტებმა დიდი ყურადღებით დაიწყეს გასშინჯვა, თუ ისრები როგორ იყო დაყენებული. ამათ მიუახლოვდა სხვა ხალხიც და ამასთან ავე ერთი კაცი, რომელსაც მაშინისტებმა როგორც უფროსს დიდი მოწიწებით აუხსნეს საქმის მდგომარეობა.

სტანციაში ხალხს დიდი ფაცაფუცი და ყაყანი ჰქონდა.

— არ შეიძლება ამის ჩვენება, ამბობდა ქალი, რომელიც ცდილობდა ლიდა გონებაზედ მოეყვანა. — ადვილად ვერ აიტანს მის დანახვას. დეე, ჯერ ნუ მოვა ახლოს.

— მოდექით, რკინის გზის უფროსი მობრძანდება! დაიყვირა ვილამაც.

ხალხმა მიიწ-მოიწია, რკინის გზის უფროსი შევიდა ოთახში. ორიოდ სიტყვა უთხრა იქ მდგომს ხალხს, მერე დაიხარა და მამობრიულად აკოცა შუბლზედ ქალს, რომელიც ჯერ კიდევ გონება მიხდილი იყო და სთქვა:

— ამან ჩვენ დაგვიხსნა სიკვდილისაგან და ვინ იცის, მგონია, რომ ძვირად დაუჯდა ჩვენი გადარჩენა.

ქალმა უეცრად თვალები აახილა და საშინლად დაიკივლა.

— სად არის? დაიჩეხა განა? ვინ იცის კიდეც მოკ....

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბრა მომეცით, მინდა ქალი ვნახო, დაიძახა ხალხში ერთმა წამოსადეგმა კაცმა.

ერთს წამის შემდეგ ქალს გვერდით უდგა ახალგაზდა კაცი.

ზოგმა მაყურებლებმა სიხარულით სიცილი დაიწყეს, ზოგმა კი ტირილი. მაგრამ ველა თითქო რაღასაც მოელოდა, ხმა გაკმენდილი იდგნენ.

პატარა ხანს შემდეგ რკინის გზის უფროსმა უთხრა ყმაწვილ კაცს:

— მომილოცავს გადარჩენა, ყმაწვილო! თქვენ იყავით განა იმ ვაგონზედ?

— დიაღ, ბატონო, მე ვიყავ იმ ვაგონზედ და გადურჩი სწორედ უკანასკნელს წუთში დაგროვილ ნახშირზედ გადმოხტომით. მხოლოდ ცოტად დავიჩეხე, ვაგონი კი სულ ნაკუწ-ნაკუწად იქცა.

რკინის გზის უფროსმა მოშორებით, კუთხეში დაუწყო ახალ-გაზდა კაცს გამოკითხვა და პატარა ხანს შემდეგ ერთმანერთს დიდად კმაყოფილნი გაშორდნენ.

ყმაწვილი კაცი დაბრუნდა ლიდასთან, რომელიც ისევ ისე უძრავად იწვა და ყურში წაუჩურჩულა:

— მე კარგი ადგილი ვიშოვე, ჩემო გვრიტო, ახლა კი ბედნიერები ვიქმნებით.

ამ დროს ზარი დარეკეს, მგზავრები ვაგონებში ჩასხდნენ. როდესაც ვაგონები წავიდნენ, ვიღაც დაბალ-დაბალი კაცი, უეჭველია, ამ გზის აქციების პატრონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკმაყოფილოდ ბუტბუტებდა რკინის გზის უფროსის განკარგულებაზედ:

— ზანა შეიძლება, ამბობდა იგი, რომ უბრალო მუშებს მაგისთანა ადგილი დაურიგონ, როდესაც შესანიშნავი არაფერი გაუკეთებიათ.

— მართალია, მაგას დიდი არაფერი გაუკეთებია, უპასუხა რკინის გზის უფროსმა, მაგრამ ქალმა კი ძალიან გაიმარჯვა. მგონია, ადვილი მისახვედრია ეს სმქმე. აბა, თქვენ ყოფილიყავით იმის ალაგას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

,,რა საოცარი ქალია! ჯერ თითქმის ბავშვი არ ...ლ... რამდენი გონიერება, გრძნობა და გულ-კეთილობა აქვს!'' ჰფიქრობდა ის. ვახშამზედ შენიშნა, რომ ფულვიუსი აგნესას ხშირად უყურებდა. ფულვიუსი არ მოსწონდა, ჰგონებდა, რომ იმ კაცს ბოროტული და ცუდი სახის მეტყველება აქვს, რომ იმაში ბევრი სიყალბე და ბევრი ისეთი რამ არის, რისაც განსაზღვრა მას არ შეეძლო, მაგრამ გული კი ეუბნებოდა, მეტად საშიში იქმნება იმ კაცის ნდობა. დასაძინებლად რომ მიდიოდა, მამამ უთხრა ფაბიოლას, ფულვიუსი კაი შესაფერი საქმრო იქმნებოდა აგნესასთვისო. ამ სიტყვებმა ფაბიოლა შეაშინა. მან გადასწყვიტა თავის გულში, რომ თუ ფულვიუსმა ეს განზრახვა გამოთქვა, ყოველის ლონის ძიებით ვეცდები ამის ჩაშლასო. აგნესა ძლიერ უყვარდა და ამიტომ არ სურდა ის გამხდარიყო ცოლი ისეთის კაცისა, რომელიც მას საშინლად არ მოსწონდა და რომელზედაც ჰფიქრობდა ცუდის მიმართულების არისო. ფულვიუსისაგან მისი ფიქრი გადავიდა კეთილშობილს დალამაზს სებასტიანეზედ, რომელიც ვახშმად ფულვიუსს გვერდით უჯდა. ,, აი, ნამდვილი კაცი! წარმოსთქვა მან, თითქმის ხმა მაღლა.—ის სრულიად არა ჰგავს რომაელ ახალ-გაზდებს, უმეტესს იმათგანს მაინც არა ჰგავს. არას დროს ცუდად არავის არ ახსენებს, ჭორებს არ ლაპარაკობს, ერთის სახლიდგან მეორეში ახალი ამბვები არ დააქვს, სხვებივით უზომოდ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვამს და დილიდგან საღამომდის სახლიდგან აბანოებ-
ში და აბანოებიდგან ბაღებში არ დაეხეტება. რასაც
კი ლაპარაკობს, ყველაფერი ჭკუიანურია, და ყველა
მისი აზრები კეთილ-შობილური. რა მშვენიერად
ილაპარაკა ამ საღამოს ვახშამზედ! მართალია, მა-
მაც მხედარს, იმპერატორის ბრწყინვალე აფიცერს არ
შეჰშვენის უიარაღო კაცის შეტაკება. ეს მეტად სა-
სირცხვო არის!... რა მშვენიერება რამ იყო, როცა
სთქვა, მსხვერპლის მხარეს ხმალ-ამოღებული დავი-
ჭერო!... საუცხოვო კაცია.... აი ეს რომ...

ფაბიოლამ თავისი აზრი არ დაასრულა: რის
თქმა უნდოდა? სებასტიანე თავისთვის უნდოდა
ქმრად, თუ აგნესასთვის? ჭკუას ყოველთვის ძლიერ
აფასებდა და იმპერატორის გვარდიის ამ ახალ-გაზდა
აფიცერს ყოველთვის პატივს სცემდა; ამ საღამოს
კიდევ უფრო გაიგო, თუ რა კეთილშობილი და
პატივის ცემის ღირსი კაცი ყოფილა. დინახა, რომ
დღევანდელი დღე იმის სიცოცხლეში შესანიშნავი
დღე არის. ფაბიოლამ თავისი გაჯავრება, თავისი
ცუდი საქციელი და საბრალო სირა ისევ მწუხარე-
ბით და სირცხვილით გაიხსენა. ძლიერ ჰსურდა ამაზედ
არ ეფიქრნა, მაგრამ არ შეეძლო; იმისი ქალიანი
აზრი ერთის საგნიდგან მეორეზედ, ერთის პირიდგან
მეორეზედ გადაფრენის შემდეგ ულმობელად, ყოველ-
ბასავით, უბრუნდებოდა სირას და მათ შორის
მომხდარს ამბავს. ძვეშაგებში დაწვა, მაგრამ სირას სა-
ხე და სისხლით გასვრილი ხელი მაინც კიდევ ელანდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა და ამასთანავე ეგონა კიდეც, თითქოს ყოველისფერს ცხადად ვხედავო. ბოლოს ფაბიოლამ ძლივს დაიძინა, მაგრამ რა აშფოთებული ძილი ჰქონდა! ამანაც ფულვიუსისავით სხვა და სხვა გვარი სიზმრები ნახა, ამასაც სხვა და სხვა გვარი სანახავები და სურათები სდევნიდნენ: ესიზრმა, რომ დადის მშვენიერად განათებულს დიდს ბაღში. ეს სინათლე დღის სინათლეზედ უფრო მკრთალი და ნაზია, მაგრამ არაფერს ცეცხლის, ან კანდელის სინათლეს არა ჰგავს. განათებულის ბაღის გარშემო საშინელი სიბნელე სუფევს. ბაღში კი საკვირველი ლამაზი მცენარეები ერთის ხიდგან მეორეზედ გადაკიდულან და გადაწნულან; ხეები დაბურვილია ოქროსა და ქარვის ფერის ხილებით. შუა მინდორზედ ზის ცეცილია, რომელსაც რალაც გასაკვირველი, აუწერელი ნეტარება ეხატება სახეზედ; მარჯვნივ მხარეს აგნესა უდგას და მარცხნივ სირა, და ორნივ სიყვარულით და ალერსით ჩასცქერიან მას. ფაბიოლას საშინლად მოესურვა მათ თან მისულიყო. ამას სამნივე ძლიერ ბედნიერად ეჩვენებოდნენ, ეგონა, რომ ისინი კიდეც უძახიან მას. ფაბიოლა იმათკენ საჩქაროდ გაიქცა, მაგრამ ამ დროს იმათ შუაში საშინელი ნაპრალი გასკდა; ამ განიერის, ღრმისა და ბნელის უფსკრულის ძირში მდინარე ღრიალებდა და შეუკავებლად მირბოდა. ეს მდინარე თან-და-თან მატულობდა, თან-და-თან იწეოდა მაღლა და, ბოლოს, ნაპირებს გაუსწორდა. მაშინ ტალღები დაწყნარდნენ, წყალი დაიწმინდა და ბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს სწორად და ვერცხლის-ფრად მდინარობა დაიწ-
ყო. ფაბიოლამ მოინდომა ჩავარდნილიყო ამ მდინა-
რეში და ცურვით გასულიყო იმ ნაპირზედ, სადაც იყვნენ
აგნესა, სირა და ცეცილია, რომელნიც ამას ისევ
უძახდნენ. ფაბიოლა მდინარის ნაპირზედ იდგა, ხან
სასოწარკვეთილებით ხელებს იმტვრევდა და ხან
აქეთ-იქით იყურებოდა (და იმათთან გასვლის ღონის-
ძიებას ეძებდა. ამ დროს ბალის გარს-შემორტყმულის
სიბნელიდგან ქალპურნიუსი გამოვიდა; ხელში რაღაც
გადასაფარებელი ეჭირა და ფაბიოლასთან მივიდა.
ეი ქალპურნიუსი ჰშლის ამ გადასაფარებელს, რომე-
ლიც არის მძიმე, ფართე და მუქი ფერისა; ზედ რაღაც-
ნაირი უხიაკი სახეები და საოცარი ნიშნებია დახა-
ტული. ეს გადასაფარებელი თან-და-თან იშლება,
ფრიალებს, თან-და-თან უფრო მძიმდება და ფართოვ-
დება და, ბოლოს, როცა ერთიანად გაიშლება, აგ-
ნესას, სირას და ცეცილიას დაჰფარავს. ფაბიოლა
იმათ ეელარ ჰხედავს და ამის გულს სასტიკი სევდა
იპყრობს... მაგრამ, უეცრად, სჩნდება ბრწყინვალე თეთ-
რად მოსილი არსება, რომელსაც ფართე, მკრთოლვარე
თოვლივით სპეტაკი და ბროლივით გამჭვირვალე ფრთე-
ბი ასხია; ოქროს-ფერი თმები მხრებზედ აყრია და
ცისფერი თვალები აქვს; ფაბიოლას ალერსიანად
უყურებს. ქალი მას გაკვირვებით და აღტაცებით
უცქერის. ამ ანგელოსის სახე მას ნაცნობად მოეჩვენა.
დიალ! ეს სებასტიანეს სახე არის, მაგრამ შეცვლილი,
უფრო მშვენიერი, რაღაც-ნაირი ჰაეროვანია! ძვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყანაზედ ამისთანა სახე არ არის, ის ადამიანი კი-ა, ანგელოსია! აი, პირ-და-პირ მისკენ მოჰფრინავს, დაიხრება და სუნნელოვანის ფრთების წვერით ფაბიოლას დალალულსა და აგზნებულს პირის-სახეს ეხება. ფაბიოლას მთელს არსებას რაღაც, აქამდის უცნობი, აღტაცების გრძნობა იპყრობს. იმას ჰგონია, რომ შეუძლია შორს წასვლა, მაღლა აფრენა და იმ ანგელოსის უკან გაყოლა..... მაგრამ მისი მღელვარება ი'ე ძლიერი იყო, რომ უეცრად გამოელვიძა და დიდხანს ველარ დაიძინა მშვიდობიანის-ძილით.

VII.

რომში ყველა გორებზედ უმაღლესი არის პალატინის გორა. აგვისტომ ამ გორაზედ თავისი სასახლე ააშენა და იმის მაგალითს ბევრმა მის შემდეგ მყოფმა იმპერატორებმა მიჰბაძეს. ფუფუნებით ცხოვრება თანდა-თან ერცელდებოდა და აგვისტოს უბრალო სასახლე გარდაიქცა სასახლეების უბნად, რომელთაც თავიანთის კედლებით, დერეფნებით და ბაღებით მთელი გორა დაჰფარეს. ნერონს ესეც ცოტად ეჩვენა; სასახლეებთან ახლოს მდებარე უბნები გარდასწვა და იმპერატორთა საცხოვრებელი სასახლეები მკვილინის გორამდის გამართა. ამ ნაირად თავის შენობებს მან მოანდომა მთელი ორ გორას შუა მდებარე ადგილი, სადაც ახლა კოლიზეუმის ნანგრევები

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის. ვესპასიანემ დაანგრია იმპერატორების სასახლე სახელდობრ ოქროს ჩარდახი, რომლის საუცხოვო სურათებით დახატული თაღები აქამდისაც დარჩენილან, და სასახლის მასალებისაგან კოლიზეუმი და სხვა შენობები აღმართა. სასახლეში შესასვლელი კარი იყო „VIA SACRA" ზედ ტიტოსის თაღის, ანუ ალაყაფის კარების სიახლოვეს. სასახლის დახურულს დერეფან'ში რომ კაცი ფეხს შესდგამდა, შევიდოდა სასახლის ფართე ეზოში, რომლის სიდიდე და მდებარეობა დღემდისაც დარჩენილა. მარჯვნივ თუ მოუხვევდა, შევიდოდა დომიციანის გემოვნებაზედ დარგულს დიდროვნის და ჩრდილოვანის ხეებით, ბუჩქებით და ყვავილებით შემკულს დიდს ოთხ-კუთხიანს ეზოში, რომელიც დომიციანმა ალოვნისს შესწირა. და თუ მნახველი თავისს გზას მარცხნისკენ განაგრძობდა, მაშინ კი შევიდოდა ალექსანდრე სევერისაგან თავისის დედის, მამმეის სახსოვრად აშენებულს ოთახებში. ამ ოთახებს ფანჯრები ჰქონდა მიქცეული ცელიის მთისაკენ, სწორედ იმ ადგილის პირ-და-პირ, სადაც ახლა არის, შემდეგში აშენებული, კონსტანტინეს ტრიუმფალური თაღი და შადრევანი, რომელსაც ეძახიან META SUDANS, ე. ი. სვეტი, რომელსაც ოფლი სდის. შადრევანია ნანგრევები აქამდისაც დარჩენილან. ეს იყო მალალი შიგნით აგურის და გარეთ მარმარილოს ობელისკი, რომლის წვერიდგან წყალი ძირს გაკეთებულს აუზში გადმოდიოდა. სებასტიანე, როგორც იმპერატორის გვარდიის სამხედრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრიბუნი, სცხოვრებდა ამ განყოფილებაში. მისსალ-
გომა მე'დგებოდა რამდენისამე ზომიერად მორთუ-
ლის ოთახებისაგან; მოსამსახურეებად ჰყვანდა რამ-
დენიმე გ ნთავისუფლებული კაცი და ერთი მოხუცი
დედა-კაცი. თავისი ძიძა. რომელსაც სებასტიანე
შვილივით უყვარდა. ყველა მოსამსახურეები, აგრეთვე
როგორც მისი ჯარის სალდათები, ქრისტიანები იყვ-
ნენ; ზოგნი იმათგანი ქრისტიანებისაგან იყვნენ
ამ'ორჩეულნი და სხვანი სებასტიანე'საგან გაქრისტია-
ნებულნი. ზემოთ ნაამბობის შემთხვევების შემდეგ
რამდენიმე დღე გავიდა. იყო საღამო. მზე ჩასვლას
ეპირებოდა. სებასტიანე და ახალ-გაზდა პანკრატი დე-
რეფნის კიბე ედ ადიოდნენ. პანკრატს სებასტიანე
უყვარდა იმ სიყვარულით და მხურვალე გრძნობით,
რომელიც, ჩვეულებრივად, ჭაბუკებს ჩაუვარდებათ
ხოლმე გულში, როცა საზოგადოებაში ბრწყინვალე
მდგომარეობის მექონეს და საზოგადო პატივის-ცემის
დამმსახურებელს ახალ-გაზდა კაცს დაუახლოვდებიან.
პანკრატს სებასტიანე იმისოვის კი არ უყვარდა,
რომ იმას შესანიშნავი ადგილი ეჭირა სასახლეში და
ან იმპერატორის გვარდიის აფიცერი იყო, უყვარდა
როგორც სულ-გრძელი, გულ-კეთილი, პატიოსანი
და ჭკუიანი კაცი, რომელიც ბუნებას დაუჯილდო-
ებია ყოველის მიმ'იდველის თვისებებით. სებასტიანეს
კი პანკრატი მისი'ს უბრალო და აღტაცებულის ხა-
სიათის გულისათვის'ს უყვარდა და ჰ'ეედავდა მასში
ნიშნებს იმ გვარის კეთილ-მოქმედებისას, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისის სარწმუნოების ყმაწვილ-კაცში გასაცა-
კუთრებით სასიამოვნო იყო სებასტიანესთვის. პან-
კრატის ალტაცებულსა და თავ-გამოდებით ლაპარაკს
ალერსით შესცქეროდა და სცდილობდა უფრო დაახ-
ლოვებოდა, რომ მოქმედების გზა ეჩვენებინა მისთვის.

დაღამდა კიდეც, როცა ისინი შეეიდნენ სასახ-
ლის იმ ნაწილში, სადაც სებასტიანეს ჯარი იდგა და
სადაც მისი სადგომი იყო. ღამე იყო ნათელი და
თფილი, როგორიც მხოლოდ სამხრეთში იცის. სება-
სტიანეს ოთახების ფანჯრებიდგან მშვენიერი გადა-
სახედავი იყო. მთვარე კაშკაშებდა ლაქვარდს ცაზედ და
ისე პრტყლად კი არ ჩანდა, როგორც ჩრდი-
ლოეთში მოჩანს ხოლმე, ის ჰგავდა ღია-ვარდის
ფერს ბურთსა, ცის-ფერს ეთერში წყნარად მიმცურავს,
რომელიც მთელს ბუნებას თავის მოამხიბლველს, ვერ-
ცხლის ფერს სხივებსა ჰფენდა. მთვარის სიახლოვეს,
ვარსკვლავები ისე ძლიერ აღარ ნათობდნენ და
თითქოს მისი სხივებით დაჩაგრულნი, იმალებოდნენ.
ამ მოამხიბვლელის შუქით განათებულს ერთს
მხარეზედ იდგა ვეება ქოლიზეუმი დიდებული, სრული
თავისის სიმშვენიერით და ლილამა ით. იმის გვერდით
ხმაურობდა ობელისკიდგან გადმომჩქეფარე წყალი და
აუზში ჩასვლის შემდეგ წყნარად ჩქრიალობდა. მე-
ორეს მხრით აღმართული სეეკრის შენობა, რო-
მელსაც „SEPTIZANIUM" ეძახიან; და თვით ცელიის
მთაზედ კი მოსჩნდა ქარაკალის დიდ-მშვენიერის აბანო-
ების კედლები, შემკული ძვირფასის მარმარილოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოორფინებით და დიდრონის სვეტებით. ეშ-
წვილი კაცები ფანჯარასთან გაჩერდნენ. სებასტიანემ
თავისს ძვირფასს ჯაბუკს ყელზედ ხელი მოჰხვია. დიდ-
ხანს იდგნენ ჩუმად და სიამოვნებით შესცქეროდნენ
ლამეს, მთვარეს, მშვენიერს შენობებს და ლაჟვარდ
ცას. იმათი გული რალაც ნაირის სასიამოვნო გრძნო-
ბით იყო აღვსილი. ეოველს კაცს როდი შეუძლია
ბუნებას სიამოვნებით უცქიროს, შეიყვაროს იგი და
იმის ცქერაში შთანთქმით რამდენსამე წამს გრძნობა
დაჰკარგოს. ამ მდგომარეობის გამოცდის ნიჭი ბევრს
არა აქვთ ბუნებისაგან მიცემული და ვისაც კი ეს
თვისება აქვს, ისეთი ბედნიერი არის, რომ შეუძლიან
იგრძნოს იმ დროს ამ მშვენიერის ქვეყნის გა-
მჩენის ღვთის დიდებულება როდესაც კაცი ბუნე-
ბას სიამოვნებით უცქერის, მაშინ ის ჰგრძნობს
რალაც უსაზღვრო სიტკბოებას, რომელიც შორს
იტაცებს მას ამ ქვეყნიერის ცხოვრების მღელვარე-
ბისა და ამაოებისაგან. ამ გვარს წამებში კაცი თითქოს
საუკუნო ცხოვრებას ჰპოვრეტს და იმით წინათვე
სტკბებაო. თითქოს ჰხედავს ამ საუკუნო ცხოვრებას,
მაგრამ სახელდობრ რა არის ეს საუკუნო ცხოვრება,
ამას კი თავის თავს ვერ უხსნის. ამ გვარს წამებში
გონება გაჩუმებულია, და მხოლოდ გრძნობითაა გუ-
ლი ავსებული. ადამიანს არ უნდა ეხარბებოდეს
ცხოვრება იმ კაცისა, რომელსაც არასოდეს, თავის
სიცოცხლეში, აღტაცებითი მდგომარეობა არ გამო-
უცდია. ცხოვრებაში ჩვენი ხელ-მძღვანელი უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს გონიერება, მაგრამ სიყვარულის და ან რასიმე კრძალვით განჭვრეტის დროს, მან თავისი ადგილი უნდა დაუთმოს გრძნობას, რადგან მარტო ამას შეუძლია კაცის ნამდვილად გაბედნიერება.

ეს ლამის დიდებული მყუდროება შესწყვიტა რალაც მხეცურმა, მძაფრმა და ალმაშფოთებელმა ხმამ, რომელიც უეცრად გაისმა წმინდა ჰაერში და შემდეგ განქრა.

— უფრი დაუგდე! დაიძახა პანკრატმა,—ეს რა უნდა იყოს?

— ეს ლომის ღმუვილია, მიუგო სებასტიანემ ოდნავ არევით,—უთუოდ მხეცები მოუყვანიათ და «VIVARIUM» ში *) დაუმწყვდევიათ. ბუშინ კი არ იყვნენ იქა.

— ეგ ხმა ჩვენს მიმხმობს საყვირის ხმასა ჰგავს, სთქვა პანკრატმა.—არც გასაკვირველი იქმნება, რომ ჩვენც მაგის ხმაზედ სიკვდილი გვეწეროს!

ორნივ გაჩუმდნენ და ღრმად ჩაფიქრდნენ. ბოლოს, ეს მწუხარებით და ფიქრით სავსე მდუმარება პანკრატმა შესწყვიტა.

— ერთ საქმეში რჩევა მინდოდა შენთვის მეკითხა. მალე ხომ არ შეიკრიბებიან შენი სტუმრები?

—არა! სულ თვითო-თვითოდ მოვლენ, რომ იჭვი არავის აალებინონ. მანამ ჩემს ოთახში შევიდეთ, იქ ხელს არავინ შეგვიშლის.

---

*) «VIVARIUM» ცირკის ასპარეზთან გაკეთებულს მხეცების დასამწყვდევ ადგილს ჰქვიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალკონ'ზედ გამოვიდნენ და უკანასკვნელს, კუთხის ოთახს მიჰმართეს.

ის ოთახი სწორედ ობელისკის პირ-და-პირ იყო და მხოლოდ გაღებულის ფანჯრებიდგან შემოსული მთავრის შუქი ანათებდა. სებასტიანე ფანჯარასთან გაჩერდა და პანკრატი იმისს ვიწრო და უბრალო ლოგინ'ზედ ჩამოჯდა.

—რა საქმე გაქვს? კითხა სებასტიანემ.

—ნამეტანი სამძიმო საქმე კი არ არის, მაგრამ მე არ ვიცი როგორ დავიწყო. ჩვენ სახლში ბევრი ვერცხლის ჭურჭელი გვაქვს; ჩვენ მყუდროთა და უბრალოდ ვსცხოვრებთ და შემთხვევაც არა გვაქვს ვიხმაროთ ისინი. ამას გარდა, დედა-ჩემს აქვს მრავალი ძვირფასი ქვების სამკაული, რომელ'საც არას დროს არა ხმარობს და კოლოფებში უხმარად უწყვია. ნათესავი არა მყავს, რომ ეს სიმდიდრე გადავსცე; მე თვითონ ჩემს დღეში ცოლს არ შევირთავ და ჩემს გვარში უკანასკვნელი ვიქმნები. დედას ჩემთვის ბევრჯერ უთქვამს: ამ გვარს შემთხვევაში, ქრისტიანის ნამდვილი მემკვიდრე ღარიბები არიანო. ვიფიქრე: რატომ სიცოცხლეშივე არ დავურიგო მეთქი? რად შევინახო დაკეტილში ყველასათვის გამოუდეგარი სიმდიდრე, და ღარიბებს რად ვაცდევინო მეთქი ჩემის სიკვდილისათვის? ეს მეტადრე იმისათვის არის საჭირო, რომ ჩემის სარწმუნოებისათვის მე რომ სიკვდილი შემხვდეს, შეიძლება კონსულის მოადგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლემ ის ნივთები სახელმწიფოდ შერაცხოს, ან მისმა მოსამსახურეებმა დაიტაცონ ყველაფერი.

— მერე, დედა-შენი თანახმა არის? ჰკითხა სებასტიანემ.

— რასაკვირველია; იმის უნებურად მე ერთის იოტის ოდენსაც არაფერს შევეხები სახლში. მაგრამ მე არ მესიამოვნება, რომ ჩემი ხნის ყმაწვილმა, ეს ყველაფერი თვითონ მოვიქმედო; მე მგონია, ეს ემსგავსება მეტიჩრობას; იფიქრებენ, რომ მე მსურს თავის მოწონება, მინდა საზოგადოებაში ლაპარაკი აღვძრა და საზოგადო ყურადღება მივიქციო. მე მაურს, რომ ღარიბებს შევეწიო, მაგრამ ისე, რომ არავინ იცოდეს.

— მაშ კარგი, ჩემო საყვარელო პანკრატი, მე შემიძლია დაგეხმარო, უპასუხა სებასტიანემ, რომლის ხმაში სიყვარული ისმოდა; ის უეცრად გაჩუმდა ფანჯარაზედ გადაეყუდა ყური დაუგდო და ჩურჩულით წარმოსთქვა:

— ფაბიოლას სახელი მომესმა ამ წამში..... დიალ, კიდევ მისი სახელი..... პანკრატი წყნარად მივიდა გაღებულ ფანჯარასთან. ქვევიდგან ისმოდა ორი ხმა ერთი ქალისა და მეორე კაცისა. რამდენიმე წუთის შემდეგ მოსაუბრეები კედელს მოშორდნენ და მთვარისაგან განათლებულნი, ორნივ ცხადად გამოჩნდნენ.

— იმ ნეგრის ქალს მე ვიცნობ, უთხრა წყნარად პანკრატს სებასტიანემ,—ფაბიოლას მოახლე არის, აფრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— და ის, მასთან მოსაუბრე კაცი კი ჩემი საწავლებელში ნაამჯანაგარი ქორვინი არის, უთხრა პანკრატმა.

ორნივ მეგობრები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ისინი კარგს არრას აპირებენ და ამისთვის საჭიროდ ჩასთვალეს ქორვინისა და აფრას ლაპარაკის ყურის დაგდება და ძლიერ ყურადღებითაც ისმენდნენ, მაგრამ მაინც მარტო დაუწყობელი და ნაწყვიტ-ნაწყეტი ფრაზების მეტი არა მოდიოდა ამათ ყურამდის.

აფრას გვარიანად ვიცნობთ, მაგრამ გვინდა ქორვინიზედ ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა. მამა-მისი იყო უფროსი მსაჯული; ეს რესპუბლიკის დროს უცნობი ადგილი ტიბერიოსმა დააწესა, და ის, ვინც სამსაჯულოს თავ-მჯდომარედ იყო, ასრულებდა ორ თანამდებობას — გამომძიებელისას და მსაჯულისას. ის დამნაშავეებს ჩვენებას ართმევდა, აწამებდა და ბოლოს, დანაშაულობის დაგვარად გადავუწყვეტდა ან სიკვდილით დასჯას და ან დატყვევებას. დამნაშავეების წამება ამძვინვარებდა მას და მსაჯულად კი არა, ჯალათად აქცევდა. იმ საუარელს დროში წამება ჩვენების აუცილებელი კუთვნილება იყო. მხოლოდ ჩვენს დროში, მხოლოდ ჩვენს ქრისტიანსა და განათლებულს საზოგადოებაში მიაჩნიათ წამება უსჯულოებად და საზარლად და ეს უმიზეზოთაც არ არის ასე. აბლა მარტო აზიაში, ან უმეცარს და მხეცურს ქვეყნებში აწამებენ კაცებს. ჩვენს დროში

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ რომელიმე ქრისტიანმა მმართველმა ამ ნაირს ლონის ძიებას მიჰმართოს და ასეთი საშინელის საქმით თავი შეირცხვინოს, ყოველ-კაცს ნება ექმნება იმას ვერაგი დაუძახოს და შეიზიზღოს იგი, როგორც უსაშინელესი დამნაშავე. დამნაშავის წამებით კაცი მართალსაც კი ვერ შეიტყობს. საშინელი ტანჯის ატანა თითქმის შეუძლებელია, და ყველანი, ვისაც განსაკუთრებითი ფიზიკური ძალა და სულის სიმტკიცე არ მოსდევს, ოლონდ ტანჯვისა და წამებისაგან თავი დაიხსნან და თავს ბრალდებულად ხდიან ყველაფერში, რასაც კი სასტიკი გამომძიებლები ჰკითხავენ, რადგანაც წამების საშინელს ტანჯვაზედ ბევრად უფრო ადვილი ასატანია სიკვდილით დასჯა. ქორვინი სიყმაწვილიდგანვე უყურებდა ხოლმე თავის მამის სასტიკ ქცევას, და თვითონაც ყოველს თავის ქცევაში სასტიკი, შეუბრალებელი და ბრიყვი შეიქმნა. სახელდაც კი ეტყობოდა ეს საზიზღარი თვისება. არც სიყვარულის, არც სიბრალულის და არც გულ-მოწყალეობის გრძნობას არას-დროს არ გაუღვიძნია მისს გაქვავებულს გულში. მიტევება არ იცოდა და განძვინებით უგებდა შურს შეურაცხყოფისათვის, რომელსაც არასოდეს არ დაივიწყებდა. ამ ბუნებით ავ-კაცს შეეძლო თავისი ცუდი თვისებანი დაეძლია, თუ კი მოინდომებდა, მაგრამ, პირ-იქით, თავისი ხასიათის ცუდი მხარეები უფრო გაავარჯიშა და ამ ცუდმა მხარემ თან-და-თან დაუხშო ყოველი კეთილი გრძნობა და ქორვინი გახადა საოცარ მხეცად, რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც გამზადებულია ყოველის კაცის გასაგლეჯად. ქორვინის მამა მდიდარი არ იყო, მარტო ჯამაგირით სცხოვრებდა; ქორვინისაც სიმდიდრის შოვნის იმედი არსაიდგან ჰქონდა და გამდიდრება კი, როგორც ყველა გაუმაძღარსა და ხარბ კაცებს, რა ლონის ძიებითაც უნდა ყოფილიყო, ძლიერ სურდა. სამსახურში დიდი ადგილის შოვნის იმედი არა ჰქონდა, რადგანაც გაუნათლებელი იყო და ძლიერ ცოტასა და ცუდათ სწავლობდა. მხოლოდ ერთი ლონის ძიება-ღა დარჩენოდა—მდიდარი საცოლოს ძებნა, რომ უშრომელად შეეძინა სიმდიდრე.

— ახალი ამბავი რა იცი? ჰკითხა მან აფრას სებასტიანეს სადგომის ფანჯრის ქვეშ.

— არაფერი, მიუგო ქალმა,—იმას გარდა, რომ ზეგ ჩემი ქალბატონი კაეტაში *) მიდის და, რასაკვირველია, მეც თან გავ-ვები. მე ახლა ფული მჭირდება.

— ფული? კიდევ ფული! რასაც მამა-ჩემს ფულს ვართმევ, ხომ სულ შენ გაძლევ და მეტი რალა გინდა?

— იცი შენ, ვინ არის ფაბიოლა?

— რასაკვირველია, ვიცი; მთელს რომში ყვე-

*) კაეტა არის ასლანდელი გაეტა. იმ ადგილას რომაელს დიდებულებს ჰქონდათ აშენებული საბანაფსულო სახლები. ციცერონის სასახლის ნანგრევები დღემდისაც სჩანან იქ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაზედ უმდიდრესი საკოლოა.

— დიალ! ამაყის და გულ-გრილის შაბიოლას ნებაზედ დაყოლიება აგრე ადვილი არ გახლავსთ.

— აკი დამპირდი, მოვალბობ მის გულსო! მაქვ ხოლმე მასთან, სულ ჩემზედ ელაპარაკე და იქმნება ყურადღება მომაქციოს.

—ქარგი; მაგრამ მუქთად არ ვიშრომებ შენთვის! თუ ფული არა გაქვს, რატომ შოვნა არ იცი? ფულვიუსისაგან მაინც აიღე მაგალითი; ამას აუარებელი ოქრო აქვს

— ნეტა საიდგან მოაქვს ეს ოქროები? რით შოულობს?

— სისხლის ფასით, წარმოსთქვა აფრამ მშვიდობიანად.

— საიდგან იცი? ჰკითხა ქორვინმა და ან რა სისხლია ისეთი?

— მე ვიცნობ მისს მოხუცს მსახურს, რომელიც ფულვიუსს არას დროს არ შორდება. ის ჩემსავით შავი ფერისა არის; იმისი სამშობლო ენა ჩემს ენას მიემსგავსება, ასე რომ მასთან ლაპარაკი შემიძლია. ამასწინეთ მკითხა, რომელი საწამლავი უფრო ძლიერიაო და დამპირდა ბატონისაგან დაგიხსნი, ცოლად შეგირთავ და შენს სამშობლოში წაგიყვანო, თუ..... მაგრამ მე სხვა აზრი მაქვს.... მისგან მე ბევრი რამ კი შევიტყვე.

— მაინც რა შეიტყვე?

— შეეტყვე, რომ ფულვიუსს გამოუაშკარავებია რალაც დიდი შეთქმულობა დეოკლიტიანის წინააღმდეგ; მაგრამ ჩემი მოტყუილება ხომ ძნელია და მაშინვე მივხვდი, რომ ეს შეთქმულობა ბებერმა ავაზაკმა და იმის მა ბატონმა მოიგონეს და კაცები დიდძალ ფულად გაჰიდეს და ვასცეს. ახლა კი რომში მოსულან, რომ ეს სასარგებლო ხელობა აქაც განაგრძონ.

— ეი მაგრამ, მაგ ხელობაში დახელოვნებული არა ვარ, მე არ შემიძლია შეთქმულობის მოგონება და უბრალო კაცების შიგ გახვევა. რა საკვირველია, იმათ დასჯაა კი მოვახერხებ—ეს ჩემი საქმეა... მაგრამ მოგონება...

— რა ძნელი საქმეა, მერე, ეგა? ჩემს სამშობლოში არიან დიდრონი ჩიტები; თუ გაეკიდე, იმათი მიწევა შეუძლებელია; მაგრამ თუ მიეპარე, მაშინ კი ძლიერ ადვილია იმათი დაჭერა: კი ალარ გაიქცევიან, მარტო თავს დამალვენ. ეს ჩიტი სირაქლემა არის.

— რა გინდა სთქვა მაგ არაკით?

— ის რომ სირაქლემა, რომელიც თავს მალავს და ჰგონია ვერავინ დაინახავს მას, რადგანაც თვითონ ვერავისა ჰხედავს, ჰგავს ქრისტიანებს. დაუკვირდი ქრისტიანების ცხოვრებას და ყოფა-ქცევას, იმათ ლაპარაკს ყური დაუგდე და მაშინვე ყოველგან იცნობ მათ. ქრისტიანი თავის სარწმუნოებას ჰფარავს და ვერ ნიშნავს, რომ მისი ცხოვრება, მოსამსახურეების მოპყრობა, აგრეთვე ყოველი მისი სიტყვა და საქციელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აცხადებენ მის სარწმუნოებას. ბამოსძებნე ერთი, ან ორი მდიდარი ქრისტიანი, დაასმინე მთავრობას და მათი ქონება შენ დაგრჩება, რადგან დამსახურების ჯილდოთ მოგცემენ. მაშინ ის ქონება გამინაწილე და მეც ვეცდები უმდიდრესი რომაელი საცოლოდ გაგირიგო. მე თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ერთი ჩემი ამხანაგი ქრისტიანი არის. რა სახითა მძულს!

— რათა გგონია, რომ ის ქრისტიანია?

— ჯერ ერთი, რომ არასფრის გულისათვის ტყუილს არ იტყვის და თავისი მართალის ლაპარაკის ჩვეულებით ყოველთვის ხიფათში მაგდებს. მეორეთ, რომ არც ოქროს და არცა-რა სამკაული მას არ უყვარს; რაც რამ გააჩნია, ღარიბებს ურიგებს; ყოველთვის ბრმებს, ავათმყოფებსა და მაწანწალებს აჰყვება ხოლმე და ათას ნაირად ემსახურება.

— იცი, უთხრა უეცრად ქორვინიმ სიცილით,— რომის ალაყაფის კარებთან დღეს ვნახე მთელი ჯარი შენი თანამემამულეებისა; მაგრამ, ვგონებ, რომ ისინი შენზედ უფრო გულ-კეთილები იქმნებიან!

— ვინ ნახე? ჰკითხა აფრამ.

— ვეფხვები, ჯიქები, აფთრები, და ლომები, რომელნიც აფრიკიდგან მოჰყავდათ აქ. ამბობენ, ცირკში წარმოდგენას აპზადებენო.

მაგრამ აფრა გაჯავრებული ყურს აღარ უგდებდა. ქორვინიმ რომ ეს შენიშნა, უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, კარგია, გიხუმრე! მეგობრულად დავშორდეთ ერთმანერთს; აი, ეს ცოტა ფული კიდევ შენ, მაგრამ ეს უკანასკნელად გაძლევ. იკოდე, ალარასფერს არ მოგცემ, სანამ არ დამიმტკიცებ, რომ შენს ქალ-ბატონს ვუყვარვარ. რჩევისათვის კი გმადლობ! ქრისტიანების დევნა არ არის სულელური აზრი.

ისინი ერთმანერთს მოშორდნენ და სხვა-და-სხვა მხარეზედ წავიდნენ. სებასტიანე, რომელსაც იმათი ლაპარაკიდგან არაფერი არ გაუგონია,—იმათ ყურამდის მხოლოდ რამდენიმე ნაწყვეტ-ნაწყვეტმა ფრაზებმა მიაწია,—ძლიერ გაჰკვირდა, როცა დაინახა, რომ აფრა სასახლეში შევიდა. ბარდასწყვიტა თავის გულში, ფაბიოლას შევატყობინებ ამ ჩემს იჭვს და იმასაც, რომ იმისი მოახლე ვილაც საიჭვო კაცებთან დაიარება ღამე სანახავათო. მაგრამ ამ განზრახვის ასრულება უნდა გადაედო, სანამ ფაბიოლა საზაფხულო სახლიდგან არ დაბრუნდებოდა.

სებასტიანე და პანკრატი რომ სასტუმრო ოთახში დაბრუნდნენ, იქ ბევრი სტუმრები დახვდნენ შეკრებილი; სტოლზედ ძლიერ უბრალო და ზომიერი ვახშამი იყო გაწყობილი. სტუმრების რიცხვში მრავალი სხვა-და-სხვა ჯურის კაცები ერივნენ; იყვნენ მღვდლები და აფიცრები, დედა-კაცები და მოხუცი კაცები, ღარიბები და მდიდრები, სახელმწიფო წარჩინებული ადგილის მქონი კაცები და გლეხები. ეკვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა ესენი შეკრებილიყვნენ მოსალაპარაკებლად შემდეგის შემთხვევის გამო.

სებასტიანე ჩინებულს მდგომარეობაში იყო, ბრწყინვალე ადგილი ეჭირა და ამით სარგებლობდა, რომ ქრისტიანები დაეფარა და წარმართები ქრისტეს სარწმუნოებაზედ მოექცია. უკანასკნელს დროს გაქრისტიანება ისე გახშირდა და იმ ზომამდის მიაღწია, რომ მიექცია მთავრობის ყურადღება; მრავალი ქრისტიანები დაიჭირეს და აწამეს; იმათს რიცხვში ერიენენ ორნი ძმანი, მარკოზი და მარკელოსი, რომელთაც სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, მაგრამ ნათესავებთან გამოთხოვების ნება მისცეს. იმათთან საპყრობილეში მოსული ნათესავები ეხვეწებოდნენ ქრისტიანობაზედ უარი-ჰყავით და ამითი სიკვდილისაგან იხსენით თავი; ისინიც შეირყნენ და შეპირდნენ ნათესავებს, ვიფიქრებთო. სებასტიანემ არ მიჰხედა საშინელს საფრთხოს, რომელიც მას მოელოდა და თავისი ნაცნობების შემწეობით შევიდა მათთან და ეფიცებოდა, თქვენს ფავს და თქვენს სარწმუნოებას ნუ ულალატებთო. ორნი ძმანი დახვდნენ სებასტიანეს გარეულნი სხვა დატყვევებულ თექვსმეტ წარმართ-დამნაშავეთა და იმათ სანახავათ მოსულ ნათესავებს შორის. ამ ახალ-გაზდა კაცის მხნე სიტყვებმა, იმისმა შეურყეველმა რწმუნებამ, იმისმა კეთილგონიერებისადმი სიყვარულით სავსე მჭევრ-მეტყველობამ, იმისმა გამომეტყველმა სახემ და თვით იმის ხმამაც ყველაზედ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც იქ იყო, აუწერელი შთაბეჭდილება მოახდინა. სიხარულისა და გაკვირვებისაგან აღტაცებული ქალები მუხლებზედ მოეგვივნენ, კაცებმა რალაც ახალი ძალა იგრძვნეს იმისის ლაპარაკის მოსმენით. მარკოზმა და მარკელოსმა გარდაწყვეტით გამოაცხადეს, რომ უმალ მოვკვდებით, ვინემ ჩვენს მოვალეობას ვუღალატებდეთო; და ბევრნი იქ მყოფნი და იმისი ლაპარაკის გამგონე წარმართნიც მოიქცნენ ქრისტეს სარწმუნოებაზედ. ეაინი გააოცა როგორც სებასტიანეს სიტყვებმა, აგრეთვე მისმა მოქმედებამაც. პირველად ჰხედავდნენ ასეთს მდიდარს, ლამაზს და წარჩინებულს ყმაწვილ-კაცს, რომელიც ყოველისფერს, თვით სიცოცხლესაც კი სწირავდა, ოღონდ დაეხსნა ორი, თითქმის უცნობი კაცი, იმ აზრის ღალატისაგან, რომელნიც რამოდენიმე წამის წინეთ ჭეშმარიტებათ მიაჩნდათ. იმისმა თავ-განწირულობამ, ენტუზიაზმმა და აღტაცებით რწმუნებამ გაიტაცა ყველანი, თვით საპყრობილის ზედა-მხედველიც, რომელიც თუმც არ მოიქცა ქრისტეს სარწმუნოებაზედ, მაგრამ სებასტიანისადმი ისეთი პატივისცემა იგრძნო, რომ ფიქრადაც არ მოსვლია მთავრობისათვის დაებეღლებია. ის უფრო მალე დათანხმდებოდა დაეკარგა თავისი ადგილი, ვინემ დალუპვოდა იმისთანა კეთილს, კარგსა და პატიოსანს კაცს, როგორათაც სებასტიანე ეჩვენა მას.

სებასტიანეს სახლში კრება იყო დანიშნული იმისთვის, რომ ერჩიათ, თუ რა საშვილება უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილიყო მიღებული, რომ ახლად მოქცეული ქრისტიანები ქრისტიანულს სწავლასა და მოვალეობას კარგად გასცნობოდნენ. ბევრნი ხშირად პირველის გატაცებით აღძრულნი ინათლებოდნენ და საშიშარს შემთხვევაში ახალს სარწმუნოებას უარს-ჰყოფდნენ და ისევ გაწარმართდებოდნენ ხოლმე. ამისათვის კრებამ გარდასწყვიტა, რომ ახლად მოქცეულები რომიდგან უნდა წასულიყვნენ მდიდარი ქრისტიანების საზაფხულო სახლებში, სადაც სახლის პატრონს უნდა მიეღო ისინი და უნდა ეზრუნა მათის ზნეობითი მგაწვრთნისათვის. ამ გვარად, ხარმატოსი ახლად ოქცეულის ქრისტიანებით უნდა წასულიყო თავის საზაფხულო სახლში, სადაც უნდა ეცხოვრათ ერთად, ეფიქრნათ მყუდროებაში ახლად მიღებულს სარწმუნოებაზედ და თავის სჯულის სწავლა განეგრძოთ. ამ კრებაზედ გადასწყვიტეს, ვინ სად და რომელის გზით უნდა წასულიყო; მდიდრებმა ღარიბებს სამგზავრო ფული მისცეს, მღვდლებმა დაარიგეს ვინც მასწავლებლის მოვალეობას კისრულობდა. ამ კრებაზედ განსაკუთრებით გაჩოიჩინა თავი სებასტიანესაგან ახლად მოქრისტიანებულმა ტორკვატომ: ყველას თავ-გამოდებით ჰკიცხავდა გულ-გრილობისათვის, უნდოდა ახლავე ეხახელებინა თავი, გაქცეულიყო მოედანზედ, დაურიდებლად იუპიტერის, ან სხვა რომელისამე წარმართების ღვთის ძეგლი წაექცია და თავისი ქრისტიანობა საქვეყნოდ გამოეცხადებინა. ბევრნი ურჩევდნენ, სთხოვდნენ: მოიცადე, დამშვიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი, ქალაქს გარეთ წადი და ყველა ქრისტიანებს, განსაკუთრებით სუსტებს, საფრთხეში ნუ ჩააგდებო; მაგრამ ის ყურს არრას უგდებდა და "გარდასწყიტა, რომ თავის შეხედულობისამებრ იმოქმედებს. მღვ-დელ-პოლიკარპეს რომიდგან წამსვლელები უნდა გაეცილებინა იმათ საცსოვრებლად დანიშნულს ადგილამდის; სებასტიანეს კი მიანდვეს რომში დარჩენა, ქრისტიანების გაფრთხილება, მფარველობა და ყოვლისავე საფრთხოისაგან მათი დახსნა. ამას შემდეგ წევრები ერთმანერთს გამოეთხოვენ და დაიშალნენ. სებასტიანე პანკრატს გაჰყვა სახლამდის გასაცილებლად.

— ეს ტორკვატო არ მომწონს როგორლაც, უთხრა პანკრატმა სებასტიანეს, უბედურობა კი არა შეგვამთხვიოს რა!

— მაგისი მეც მეშინია, მიუგო სებასტიანემ,— ახლად მოქცეულებში ხშირად შეხვდება კაცი მაკისთანებს. იჰედი ვიქონიოთ, რომ ის გასწორდება, მომეტებულს თავ-ხედობას მოიშლის და დასჯერდება მარტო თავის მოვალეობის ასრულებას, როცა კი საჭირო იქმნება.

ამ დროს ისინი ეზოში მიდიოდნენ და უეცრად მეორე პატარა ეზოდგან, სადაც აფრიკელი მსროლელები იდგნენ, შეპოესმათ სიცილი, უცხო ენაზედ ლაპარაკი და მზეკური ყვირილი. შუა ეზოში ენთო დიდი ცეცხლი, რომლის ნაპერწკლები სცვივოდნენ ყოველს მხარეს, თვით სასახლის თაღებსა და პორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკებამდისაც. სებასტიანე ყარაულთან მივიდა და ჰკითხა: —რა ამბავი აქვსთ ამ მსროლელებსო?

— იმათთან მოვიდა ვილაც შავი მოახლე, რომელსაც ისინი ქურუმად სთვლიან, უპასუხა ყარაულმა,—იმათ კაპიტანს მიჰყვება ცოლად და დღეს, თავის ქვეყნისა და სარწმუნოების ჩვეულებისამებრ, რაღაც ლხინი გააწყო და ეს არეულობა, ყვირილი, ხრიალი და ჩოჩქოლი სულ იმან მოახდინა. ეროველთვის აგრეა ხოლმე. როცა ის ქალი მოვა.

— რა სარწმუნოებისა არიან ეგ კაცები? ჰკითხა პანკრატმა.

— ვინ იცის? მიუგო გვარდიელმა ყარაულმა, იქმნება ქრისტიანებიც იყვნენ.

— მაგრე რათა გგონია? ჰკითხა სებასტიანემ.

— ეველა ამბობს, რომ ქრისტიანები ღამ-ღამე იკრიბებიან, ცუდ სიმღერებს იმღერიან, საშინელს საქმეებს სჩადიან, ჯატარა ბავშვებსაც კი იპარავენ, ჭსწვავენ და ჭსჭამენო.

სებასტიანე, სასახლიდგან რო გამოვიდა, აღელვებულმა დრტვინვით მიუბრუნდა პანკრატს:

— ზაიგონე? ჰკითხა მან,—აი რაებს გვიგონებენ, მაშინ—როდესაც მთელი ჩვენი სწავლა სიყვარულსა და ქველ-მოქმედებაზედ არის დამყარებული. ჩვენი მტრები არ კმაყოფილდებიან მით, რომ გვტანჯავენ, გკვლავენ და აძლევენ მხეცებს ჩვენს თავს, დასაგლეჯად. ამას გარდა კიდევ სცდილობენ ჩვენს ცილის-წამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას, შეურაცხებას და გაკიცხვას! ბანდიენა, ტყვეობა და სიკვდილი უფრო ადვილი ასატანია, ვინემ ჩვენი უპატიოსნობით გამსვრელი მდაბალი და საზიზღარი ცილის-წამება.

— მოვითმინოთ, უთხრა ბანკრატმა,—ჩვენი რიგიც მოვა, ჩვენს ცაზედაც ამოვა სიმართლის ბრწყინვალე მზე! ადრე თუ გვიან ჭეშმარიტება სძლევს და ყველანი ალიარებენ მას. ის გაჰფანტავს სიბნელეს: დაინახვენ და გაიგონებენ ისინი, რომელნიც ახლა ბრმანიც არიან და ყრუნიც, როგორც ამ საათში ჩვენთან მოსაუბრე გვარიანელი სალდათი. ჩვენ უნდა გვახსოვდეს მაცხოვრის სიტყვები: მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა უწყიან, რასა იქმან!

— რასაკვირველია, ჩვენთან მოსაუბრე სალდათი უცოდინარობისა და უსწავლელობის გამო სხვის სიტყვებს იმეორებდა; მაგრამ ვინც ამისთანა ჩმებს ჰყრის, იმათ კი იციან, რომ სიცრუესა და საზიზღარ ცილის წამებას ავრცელებენ ხალხში,—უთხრა სებასტიანემ.—ძნელი როდია უბრალო კაცს რომ რამე სისულელე დააჯეროო, ძნელი არის მხოლოდ მისი გადათქმევინება, თუ კი რამე ერთხელ დაიჯერა. ამას სიტყვით ვერ მოახერხებს კაცი, ამისთვის საქმეა საჭიროო; ეს გამოცდილებით ვიცი და ამისათვის არც ერთმა ჩვენგანმა თავის გაწირვის უკანასკნელს წამებში არ უნდა უკუდგეს,—ხომ აგრეა? თავის სარწმუნოებისა და რწმუნებისათვის უშიშრად მომაკვდავი კაცის შეხედვა აცვიფრებს ხალხს, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზათ არის იმისი სარწმუნოება გაინაწილოს.

პანკრატმა თანხმობის ნიშნად წყნარად ჩალუნა თავი. რამდენსამე ხანს ორნივ ხმა-ამოუღებლად მიდიოდნენ. ბოლოს პანკრატმა სთქვა:

— სებასტიანე, შემიძლია, რომ ერთი სიტყვის ახსნა გკითხო?

— რატომ არა, მიუგო მან.

— შენ ამ წამში სთქვი, რომ ერთი ადამიანის თავის სარწმუნოებისათვის გმირულად სიკვდილს დიდი გავლენა აქვსო; სთქვი, რომ არც ერთი ჩვენგანი უკანასკნელს წამს არ უნდა უკუდგესო და ამ სალამოს კრებაში კი გადასწყვიტეს, რომ შენ რომში დარჩები, ქრისტიანებს ყურს უგდებ და ძლიერ სიფრთხილით იმოქმედებ. ეს ორი წინააღმდეგი აზრი ვერ შემითანხმებია.

— და ეს კი ძლიერ უბრალო საქმეა, უთხრა სებასტიანემ. ჩვენი მღვდლები და მასწავლებლები მე მხედვენ ჩვენის საქმისათვის სასარგებლო კაცად და საზოგადო სიკეთისათვის მიფრთხილდებიან. მეც იმათს ბრძანებას ვემორჩილები, რადგანაც ყველას მბრძანებლობა არასფერს საქმეში არ შეიძლება, ყოველგან წინამძღოლები უნდა იყვნენ. მაშ მე ვიმოქმედებ ძლიერ სიფრთხილით, სანამ არ მოვა დრო, როცა ყოველ-გვარი გაფრთხილება უსარგებლო იქმნება. ყოველმა ჩვენგანმა უნდა იცოდეს, რომ ადრე იქმნება, თუ გვიან იმას გამოაშკარავებენ... აი მაშინ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა დაიზოგოს თავი და ვალდებულია მაშინ მოქმ-
კვდეს დამშვიდებით და სიმტკიცით. ერთის სიტყვით
ჩვენი წინამძღოლების და მასწავლებლების საქმე
არის ჩვენთვის ზრუნვა და ჩვენი კი, სანამ ჩვენი
სამსახური მათთვის საჭირო იქმნება, იმათ უნდა ვე-
მორჩილებოდეთ და, როცა მსხვერპლი საჭიროა, თავ-
გამომეტებით ვმოქმედებდეთ. ახლა გეგ'მის?

— ძლიერ კარგად მესმის! მე მგონია, რომ ყვე-
ლაფერზედ უფრო პატივის ცემის ღირსია თავ-მოუწო-
ნებელი მამაცობა და უშიშრად სიკვდილი, რომე-
ლიც არა ჰგავს ყმაწვილურს სურვილს, რომ სხვის
შესახედავად იმოქმედოს და თავი გამოიჩინოს.

ამ დროს პანკრატის სახლთან მივიდნენ და
ერთმანერთს ხმა ამოუღებლად გამოეთხოვენ. ორ-
ნივ ისეთს მდგომარეობაში იყვნენ, რომ სიტყვები
და მუსაიფი მათთვის საჭირო აღარ იყო. ორნივ ერ-
თი-მეორეს აფასებდნენ და გრძნობდნენ, რომ ძნე-
ლი დრო დგება.

VIII.

ახლა ჩვენ რამდენიმე განსარმატებელი სიტყვა
უნდა ვსთქვათ. ქრისტიანობის პირველ-საუკუნეების
ისტორიის წაკითხვის დროს იქმნება ბევრმა იფიქროს,
ეკლესიას გაუწყვეტლად სდევნიდნენ და მუდამ
დევნულობაში ყოფილაო, რომ ქრისტიანები, რო-
მელნიც თავის სარწმუნოებას საიდუმლოდ აღიარებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლნენ, ყოველს წამს შიშში უნდა ყოფილიყვნენ და სიკვდილის მომლოდინეთ აკლდამებში უნდა ეცხოვრათო, ერთის სიტყვით, სამის საუკუნის განმავლობაში ქრისტიანები მუდამ იბრძოდნენ და მუდამ ილუპებოდნენო. ეს სულ აგრეც არ ყოფილა. რომის იმპერატორებისაგან ქრისტიანების წინააღმდეგ გამოცემული კანონები პირველად სრულის ძალით მოქმედებდნენ ხოლმე, შემდეგ თან-და-თან ჰსუტდებოდნენ, მაგრამ არას დროს კი არ შეცვლილან. ქრისტიანებს მთელის წლობით შეავიწროებდნენ ხოლმე, მაგრამ უეცრად, რომელისამე მოულოდნელის შემთხვევის გამო, ხელ-ახალის ძალით დაიწყებოდა მათი დევნულობა; იჭერდნენ მათ, საპყრობილეში ამწყვდევდნენ, აწამებდნენ და სიკვდილით დასჯას უწყვეტდნენ; მერე, ამდენი ადამიანის დახოცვის შემდეგ, დევნულობა ისევ წინარდებოდა და რამოდენიმე წლის შემდეგ ისევ იწყებოდა და მის-დღეში შეუცვლელი კანონები, რომელნიც დიდის ხნის განმავლობაში მივიწყებული იყვნენ, ხელახლავ იწყებდნენ მოქმედებას. ამ გვარად ეს კანონები მმართველების ხელში ი ვნენ ქრისტეს სარწმუნოების აღმსაარებელის ოჯახების დასამარცხებელ მზა იარაღად. ცილის-წამებით მოტყუებული ხალხი ქრისტიანების დევნას თანაუგძნობდა. თუმც წამებულების გასაოცარს სიკვდილ-ზედ დასწრების დროს ბევრი კერპთ-თაყვანის მცემელნი, განსაკუთრებით ქალები, ქრისტეს სარწმუნოებაზედ იქცეოდა, მაგრამ უმეტესი ნაწილი ხალხი ცირკში

ყოველთვის ტაშს უკრავდა და მოუთმენელად ელოდა
და იმ სახილველს, როდესაც უიარაღო კაცები მხე-
ცებს ეძლეოდნენ დასაგლეჯად.

აი ამისთანა სამწუხარო მდგომარეობაში იყვ-
ნენ ქრისტიანები. რომის საუკეთესო იმპერატო-
რებიც კი მავნებლად სთვლიდნენ მათ და
სდევნიდნენ. იმპერატორმა ტრაიანემ ისტორიაში
სამართლიანისა და ძველ-მოქმედი კაცის სახელი
დაიმსახურა, მაგრამ ქრისტიანების შესახებ არც ის
დარჩენილა უმანკოდ; მართალია, არც ერთი სასტიკი
ბრძანება არ გამოუცია იმათ წინააღმდეგ, მაგრამ
არც წინეთ გამოცემული კანონები შეუცვლია და
იმის მეფობის დროს მაზრების მმართველებმა მრავა-
ლი ქრისტიანები აწამეს. როდესაც ბითინიის მმარ-
თველმა, უმცროსმა პლინიუსმა, ჰკითხა იმპერატორს
ტრაიანეს, როგორ უნდა მოვექცე ქრისტიანებსო, მან
უპასუხა: ქრისტიანებია ძებნა და იმათი დევნა
საჭირო არ არის და თუ ვინმემ დაგასმინოს, იმ
შემთხვევაში კი უნდა დასაჯოვო. სწორედ ამ ნაი-
რათვე უპასუხა იმპერატორმა ადრიანემ ერთს თავის
კონსულის მოადგილეს, რომელმაც ამ გვარისავე კით-
ხვით მიჰმართა მას; ადრიანეს მეფობაში სიმფოროზი
და იმისი შვიდი ვაჟი-შვილი აწამეს რომის ახლო მდება-
რე დაბაში, რომელსაც ახლა ტიბოლის ეძახიან.
აქედგან სჩანს, რომ დევნულობა ხან დაწყნარდებოდა
და ხან ისევ დაიწყებოდა; ხან მთელს სახელმწიფოში
იქმნებოდა და ხან მარტო რომელსამე მაზრაში. მმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველების პირადს ხასიათზედ და პირად რწმუნებაზედ იყო დამოკიდებული დევნულობის ზომა და ლიდ-ხანს გაგრძობა. აი, ამისათვის მოხდებოდა ხოლმე, რომ ქრისტიანები რომში მოსვენებით ჰსცხოვრობ-დნენ და იმავე დროს აფრიკაში, ან საფრანგეთში კი საშინლად დევნილნი იყვნენ, ან არა და რომში სდევნიდნენ მათ და სხვა ადგილებში კი არა. ქრის-ტიანები ხანდისხან, დევნას რომ ემალებოდნენ, ერთს მაზრას ჰსტოვებდნენ და მირბოდნენ სხვა მაზრებში, სადაც შეეძლოთ უფრო უშიშრად ცხოვრება; ხან იმალებოდნენ აკლდამებში, რომლებზედაც შემდეგ ვილაპარაკებთ.

ჩვენგან ნაამბობი მოთხრობა იწყება სწორედ იმ დროს, როდესაც ქრისტიანები ძლიერ მეუდრო-ებით სარგებლობდნენ და წარსულს დროებთან შე-დარებით უშიშრად შეეძლოთ თავისი სარწმუნოების გავრცელება. იმპერატორის ვალერიანეს სიკვდილის შემდეგ, ე. ი. ოც-და-თოთხმეტის წლის განმავლობა-ში თითქმის მოსვენებით ჰსცხოვრებდნენ და შეეძ-ლოთ თავისი საზოგადოების რიგიანად დაწყობა. ქა-ლაქი რომი დაჰყვეს რამოდენიმე ნაწილად, ანუ მ რ ე ვ-ლ ე ბ ა დ; ყოველს ნაწილში თავისი ეკკლესია ჰქონ-დათ და ეკკლესიაში თავისი მღვდელი, დიაკვანი და ეკკლესიის მოსამსახურეები ჰყვანდათ. ეს ენი ლარიბებს აძლევდნენ შემწეობას, დადიოდნენ ავათ-მყოფების სანახავად და ახლად მოქცეულებს ასწავ-ლიდნენ. ამ მოთხოვნილებათათვის თვითოეულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრეველის წევრისაგან ფულებს ჰკრეფდნენ. ეკლესიორმოც-და-ათს წელში ქრისტეს შობიდგან რომის ქალაქში იყო ორმოც-და-ექვსი სამწყსო და ქრისტიანებისაგან შეკრებილის ფულით ათას ხუთას ლარიბს ინახავდნენ.

როცა ქრისტიანებს არ ჰსდევნიდნენ, ჩვენგან ნახსენები სამწყსოს ეკლესიები ღია იყვნენ; კერპთაყვანისმცემლებიც ესწრებოდნენ ხოლმე ქადაგებას და წირვის იმ ნაწილს, რომელზედაც მოუნათლავებსაც აქვსთ დასწრების ნება; მაგრამ მომეტებული ნაწილი ეკლესიები კერძო და უფრო ხშირად მდიდარი კაცების სახლებში იყო. ეკლესია იყო ხოლმე გაწყობილი სახლის უდიდეს ზალაში, რომელსაც „TRICLINIUM"-ს ეძახდნენ; სხვა ეკლესიები კი, რომლებშიდაც განსაკუთრებით ძლიერის დევნულების დროს დადიოდნენ, იყვნენ აკლდამებში, ე. ი. მიწის ქვეშ.

ბევრნი იკითხვენ, როგორ შეეძლოთ ქრისტიანებს სალოცავად და წირვის მოსასმენად მდიდარი კაცის სახლებში ისე სიარული, რომ იჭვი არავის აეღოვო? ამაში იმათ ეხმარებოდათ ჩვეულება, რომლის მიზეზით მდიდარს კაცებს დილით სანახავად უნდა მიეღოთ ყოველი ჯურის კაცი. მდიდარი რომაელი დილით რომ ადგებოდა, მიიღებდა მთხოვნელებს, მარწმუნებლებს, მაზრებიდგან გამოგზავნილი წიგნების მომტანს კაცებს, მონების გამყიდველს ვაჭრებს, განთავისუფლებულს გლეხებს და ამასთანა-

ვე თავის მეგობრებსაც. ეველა ამ კაცებს ჯერ მიგ-
ნით ეზოში შეუშვებდნენ; ზოგი მათგანი სახლის
პატრონის საწოლს, ან სხვა ოთახებში შევიდო-
დნენ, ზოგნი ძარს იტყოდნენ, რაც უნდოდათ და
სახლის პატრონის უნახავად დაბრუნდებოდნენ. ამ
გვარად, ამ ჩვეულების წყალობით, ყოველ-გვარი
შეძლების, ყოველი ხნის და ყოველი სქესის კა-
ცებს ასობით შეეძლოთ დილაობით სახლში შეს-
ვლა და გამოსვლა ისე, რომ არც არავისთვის იჭვი
აეღებინებინათ და არც არავისი ცნობის მოყვა-
რეობა აღეძრათ. ამ ჩვეულების გარდა, რომელიც
ქრისტიანებს წირვაზედ უშიშრად სიარულის ნებას
აძლევდა, უნდა შევნიშნოთ, რომ ისეთი მოხერ-
ხებულები იყვნენ, რომ სიცრუისა და მოტყუების
მიუმართავად თავს იფარავდნენ; იმათ იცოდნენ თა-
ვიანთის საიდუმლოს დაფარვა, იცოდნენ დროზედ
სიჩუმე. პირველი ქრისტიანები საქებარნი იყვნენ
მრავალ-გვარი კეთილის-მოფლობით და სხვათა შო-
რის თავისი საიდუმლოის მტკიცედ დაცვითაც.
ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ ისინი ჰსცხოვ-
რებდნენ საზოგადოებაში, ნათესავების, მეგობრების
და მახლობლების შორის, მაგრამ არავინ არ იცო-
და, თუ ისინი ქრისტიანები იყვნენ. ქალიშვილი დე-
დის საიდუმლოს წმინდად იმარხავდა, რადგანაც
თვითონაც იმავ სარწმუნოებას აღიარებდა და სიყმაწ-
ვილიდგანვე ისე ფრთხილად ლაპარაკს და მოქმედე-
ბას მისჩვეოდა, რომ ვერავინ ვერ შენიშნავდა, თუ

ესა და დედა მისი ქრისტიანები არიანო. ამ ეგვიპტელ სიფრთხილე მეუცილებლად საჭირო იყო, როგორც ქრისტე'ს სარწმუნოების გასავრცელებლად, რომელზედაც მ'ხოლოდ იმათ ელაპარაკებოდნე', ვის გაქრისტიანებასაც შესაძლოდ დაინახავდნენ, აგრეთვე დევნულობის ასაცილებლადაც, რომელიც შეიძლებოდა ატეხილიო, როდესაც მას არავინ თითქმის არ მოელოდა. იმ დროს, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, გაისმა საშიშარი ხმა, რომ ქრისტიანე'ების დევნა და ამასთანავე მეტად სასტიკი და შეუბრალებელი' დევნა მალე დაიწყებაო. ქრისტიანები შეშფოთდნენ და საშინელს განსაცდელს შიშით ელოდნენ. ი.ინი ლოცულობდნენ და სთხოვდნენ ღმერთს, მიეცა მათთვის ძალა, რომ წამება აეტანათ და სიკვდილის ქამს მისი სახელი უშიშრად აღეარათ.

აფრასაგან ქორინთისთვის მიცემულს ბოროტს რჩევას უბრალოდ არ ჩაუვლია. აფრას სიძულვილი ქრისტიანებისადმი მომდინარეობდა ორის წყაროსაგან. რადგანაც თვითონ მ'ხაკვარი, შური'ს მეძიებელი და ვერცხლის მოყვარე იყო, ამის გამო ქრისტიანების სიმშვიდი'ს, სიწყნარის და უანგარობის ყურება გაუჯავრებლად არ შეეძლო. ეს ყოველივე არის'ხებდა მას. ამას გარდა სირა ჰსძულდა საშინლად იმიტომ, რომ ყოველთვის მართალს ამბობდა, როცა ჰკითხავდნენ რასმე და ამ ვვარად, იმისი ვნება კი არა ჰ'ურდა, მაგრამ აფრას ცუდ-მოქმედებას ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველთვის გამოაცხადებდა ხოლმე იმისი სირასადმი სიძულვილი გადავიდა საზოგადოდ ყველა ქრისტიანებზედაც.

ქორვინი ფულვიუსს ხშირად შეხვდებოდა ხოლმე აბანოებში და სხვა საზოგადო შეკრებილებაში და ეძებდა შემთხვევას, რომ მას გასცნობოდა. აფრასთან ლაპარაკის შემდეგ რომ ათიოდე დღე გავიდა, ქორვინი წავიდა პომპეის ბაღში, რომელიც მდებარებდა იმ ადგილას, სადაც ახლა არის ფარნეზეს მოედანი. ამ ჩრდილით და სიგრილით სავსე ჩინებულს ბაღში იყო მრავალი მაღალი და სქელფოთლიანი ნაკერჩხლები, რომელთაც მზის სხივები შუადღეზედაც ვერ გაატანდნენ. ბაღში იყო წყაროები, ანდრიანტები და შადრევანები, საიდგანაც წყალი მუდამ ჩქრიალებდა და მრთელს არე-მარეს აგრილებდა. რომაელებს უყვარდათ შეკრება ხეების ჩრდილში და შადრევანებთან, სადაც მრავალ ხალხს შეჰხვდებოდნენ ხოლმე. ქორვინმა ფულვიუსი შორიდგანვე დაინახა და მისაგებებლად გაეშურა.

ფულვიუსი, როგორც ჩვენ ზემოთა ვსთქვით, ლამაზი იყო, თავი კოხტად ეჭირა, რომის დიდ-კაცებთან დაიარებოდა და მდიდარ კაცად ითვლებოდა. ფულვიუსმა რომ დაინახა დაუდევნელად ჩაცმული, რომის მალალ-საზოგადოებაში გაურთველი და ჭკუითაც და სილამაზითაც შეუნიშნავი ქორვინი, ძლიერ გაჰკვირდა და იმისს მისალმებაზედ შეურაცხებით უპასუხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა გინდა?

— მე მინდა შენ მოგელაპარაკო, უთხრა ქორვინმა.—ეს მოლაპარაკება ჩვენ ორივესათვის სასარგებლო უნდა იქმნეს.

— ისეთს რას მეტყვი შენ, რომ საკუთრად ჩემთვის სასარგებლო იქმნეს... შეიძლება შენ გამოგადგეს. ეგ კი სულ სხვაა.

— მე არასფერში შენს ტოლობას არ ვსცდილობ, უთხრა ქორვინმა,—მაგრამ ეს კი ვიცი, რომ ჩვენ ერთ-ნაირი ხელობა გვაქვს.

ფულვიუსი აენთო და შეჰკრთა, მაგრამ მაშინვე გასწორდა და მკვახეთ წარმოსთქვა:

— მითხარი, რა გინდა?

— ტყუილად მუშტებს ნუ ამზადებ, თავი შეიმაგრე! ბარწმუნებ ეგ უმჯობესი იქმნება.

ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ქორვინმა დაიხარა და ფულვიუსს ყურში ჩაუჩურჩულა:

— მე ვიცი, რომ შენ მაბეზღებელი ხარ.

— ფულვიუსი გაშტერდა, მაგრამ ისევ ჰსძლია თავს და ცივად ჰკითხა:

— რამ გამაკადნიერა, რომ მე ცილსა მწამებ!

— ვიცი, რომ შენ ალმოსავლეთში შეთქმულობა გამოააშკარავე, (ეს სიტყვა ქორვინმა განსაკუთრებითის კილოთი გამოსთქვა) და დიოკლიტიანემ...

ფულვიუსმა ლაპარაკი გააწყვეტინა.

— ვინა ხარ? რა გქვიან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ვარ რომის პრეფექტის, ტერტულიანის შვილი, ძორვინი.

როგორც სჩანდა, ამ პასუხმა ფულვიუსს ბევრი რამ აუხსნა; იმან ხმა დაიდაბლა და ჩუმად უთხრა:

— მეტს ნულარას იტყვი; რამდენსამე ჩემს ნაცნობებს ვხედავ, აქეთ მოდიან. ხვალ დილით ადრე სხვა ტანისამოსი ჩაიცვი და ნოვატის აბანოსთან მოდი; იქ შეგვიძლია თავისუფლად მოვილაპარაკოთ.

ძორვინი ძლიერ კმაყოფილი დაბრუნდა შინ; ერთს მოსამსახურეს მამა მისისას ძლიერ ლარიბული ტანისამოსი გამოართვა და მეორე დილით მზის ამოსვლამდის წავიდა სალაპარაკოდ დანიშნულს ადგილზედ. იქ საკმაოდ დიდხანს იცადა და ბოლოს კინალამ მოთმინებიდგან გამოვიდა, მაგრამ ამ დროს დაინახა ფულვიუსი, რომელიც განიერს მოსახურავში გახვეული მისკენ მოდიოდა. ფულვიუსს მოსახურავის კალთა ისე ჰქონდა მხარზედ გადაგდებული, რომ ნახევარს თავს და თითქმის მთელს პირის სახეს უფარავდა.

— ბაგიმარჯოს, მეგობარო, წარმოსთქვა ფულვიუსმა; — ვაი თუ ნამეტან დიდ-ხანს გაცდევინე?

— უნდა გამოგიტყდე, ძლიერ მომწყინდებოდა, თუ რომ ერთს რასმე არ გავერთე და არ შევექეიე, რომელიც მე ვერ გამიგია.

— რას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი რას: გათენებიდგანვე ხალხი ყოველის მხრით აქეთკენ მოეშურება და ყველანი აი ამ სახლში შედიან. პირველს კარებში შედიან კარგად ჩაცმული და, როგორც ჰსჩანს, მდიდარი კაცები და აი ამ პატარა კარებში ურელოები, ბრმები, კოჭლები, ავათ-მყოფები, გლახები, ერთი სიტყვით მახინჯები.

— ეს ვისი სახლია? ჰკითხა ფულვიუსმა.

— ეს სახლი ეკუთვნის ერთს ბებერსა და მოხუც დიდ-კაცს, რომელიც თურმე საშინელი ძუნწია.

ამ დროს ქორვინისა და ფულვიუსის გვერდით ჩაიარა მოხუცმა, რომელიც ფეხებს ძლივ-ლა ჰსძრავდა და რომელსაც ლამაზი ყმაწვილი ქალი მხარში შეჰდგომოდა და ორნივ იმავ სახლის ჭიშკარში შევიდნენ.

— ეს ქალი ბრმა არის, სთქვა ფულვიუსმა— განა ვერ შენიშნე, როგორ პირდა-პირ მიდიოდა, არც მარჯვნივ და არც მარცხნივ არ იხედებოდა? ქალი მოხუცს მხარში უდგა და მოხუცს კი ის მიჰყავდა.

— ქიდევ ერთი შენიშვნა, ჩამოართვა სიტყვა ქორვინმა: არც ერთი ამ სახლში შემსვლელი გლახები სხვა გლახებს არა ჰგვანან; ესენი უფრო სუფთად და ლაზათიანად არიან ჩაცმულნი; რალაც განსაკუთრებითი შეხედულობა აქვსთ, თითქოს ესენიც პატივ-საცემი კაცები არიანო.

— ბანა ჩვენ ამ მდიდარის პატრიციის სახლში შესვლას ვერ მოვახერხებთ? ჰკითხა ფულვიუსმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომ არა, ვსცადოთ. მე წალებს გავიხდი და კოჭლობას მოვიგონებ, უთხრა ქორვინმა.—აქ მომსვლელ ლარიბების გროვას შეეუერთდები და შეეყვები; ტანისამოსი არ გამცემს,—თითქმის გლახასავით ვარ ჩაცმული.

— კი მაგრამ, თუ ამ სახლში ყველა იმ კაცებს იცნობენ, შენ, უცნობს როდი შეგიშვებენ. ფრთხილად იყავ!

— მე საეჭვოა, უთხრა ქორვინმა;—რადგანაც ბევრმა მკითხა იქ შესვლის წინათ: ეს სახლი აგნესას სახლიაო?

— ჩისიო? ცქვიტად ჰკითხა ფულვიუსმა.

— აგნესასი; ეს სახლი იმისი დედ-მამის არის, მაგრამ ქალიშვილი უფრო შესანიშნავია, რადგანაც ის აუარებელი საცხოვრებლის ერთად-ერთი მემკვიდრე არის. ვგონებ, ეს იმისთანავე მდიდარია, როგორც ფაბიოლა.

ფულვიუსი დაფიქრდა. იმას რალაც ეჭვი ჰქონდა გულში, მაგრამ არ უნდოდა თავისი აზრი ქორვინისთვის გაემხილა. ბოლოს, იფიქრა და, უთხრა ქორვინის:

— აბა სინჯე და ამ სახლში შეიპარე როგორმე. მე კი ერთს ვახშამზედ ნანახი მ ავს აგნესა და დიდი კარებიდგან შეევალ; ამ გვარად ჩვენ ორნივ შეეიპარებით. ამის შემდეგ ფულვიუსი და ქორვინი ერთმანერთს მოშორდნენ; ორნივ აგნესას სახლისკენ წავიდნენ, სხვა და სხვა კარებს მიმართეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IX.

აგნესა იყო შთამომავლობით ძლიერ დიდის და მდიდარის ოჯახის შვილი. აგნესას ოჯახს დიდის ხნიდგანვე მიელო ქრისტიანობა და ბევრს ამ ოჯახის წევრთაგანს დაეთხიათ სისხლი და მომკვდარიყვნენ ქრისტიანობის ქადაგებაში. ახლა მთელი ოჯახის სიყვარული და იმედი ახალ-გაზდა აგნესაზედ იყო. არ შეიძლებოდა ის კაცს არ შეჰყვარებოდა, რადგანაც ის უხვად შემკული იყო სხვა და სხვა უზენაე'ის ნიჭით: ის იყო მშვიდი, გულ-კეთილი, მგრძნობელი, მორჩილი, გულ-წრფელი და ამასთანავე ჭკუიანი. სახლ'ში როგორც ნათესავებს, აგრეთვე მოსამსახურეებსაც საშინლად უყვარდათ. არც შეჭცევა და არც მორთულობა არ უყვარდა ამ ახალ-გაზდა ქალს; სხვაგან იშვიათად დაიარებოდა და შინაური მყუდრო ცხოვრება უყვარდა. აგნესას მშობლები მდიდრულად არ ჰსცხოვრებდნენ, მეგობრებისა და ნათესავებისათვის გულ-უხვები იყვნენ და ე'იამოვნებოდათ მათი სტუმრად მისვლა, მაგრამ არ უყვარდათ დიდი ლხინი, რაზედაც ბევრი ფული იხარჯება.

აგნესა ყველაზედ უფრო ხშირად ნახულობდა ხოლმე შაბიოლას, რომელსაც ყველა სხვა ნათესავების მსგავსად უყვარდა ის. ამათ სახლ'ში უბრალო ცხოვრება და სტუმრების მდიდრულად მიულებლობა რომის საზოგადოებას სიძულწ'ედ მიაჩნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. ეს აზრი მით უფრო მტკიცდებოდა, რომ ამ დიდი სახლის ერთი ნაწილი სრულიად მიტოვებული იყო, თითქო დასანგრევად განმზადებული არის. მაგრამ ასე მხოლოდ გარედგან ჰსჩანდა და ნამდვილად კი სულ სხვა იყო: თავ-მინებებულს ეზოსა და ჩრდილოვანს ბაღს რომ გაივლიდით, შეხვიდოდით დიდს ზალაში, სადაც ეკკლესია იყო გამართული. ეკკლესიის უკან იყო ლარიბების დასადგომი და სოფლებიდგან მოსულის ქრისტიანების მისაღები ოთახები. ზევით, მეორე ეტაჟში, იყო გამართული საავადმყოფო ზალები, აგრეთვე მოხუცი ქალების, კაცების და უიმედო ავად მყოფებისათვის მიჩენილი ოთახები. ავად-მყოფებს უვლიდნენ მონაზონები და ქრისტიანი ქალები, რომელთაც განსაკუთრებით კეთილი საქმეთათვის შეუწირავთ თავი. ერთს ამ გვარს ოთახში ჰსცხოვრებდა ცეცილიაც, რომელიც ჩვენ გავიცანით ფაბიოლას სახლში და რომელმაც მისს მხარზედ დაყრდნობილს მოხუცით ჩაუარა გვერდზედ ფულვიუსს და ქორვინს. ამ ბაღის ბოლოს დამალული სახლის ნაწილი აგნესას და მისი მშობლების სადგომ-სახლთან შეერთებული იყო დერეფნით. ამ გვარად იმ დროს, როდესაც რომის საზოგადოება აგნესას მშობლებს სიძულწილისათვის ჰკიცხავდა, ისინი თავის შემოსავალს ყველაზედ უფრო ღირსეულად და უკეთესად ხმაროობდნენ. აგნესა თვით სიყმაწვილიდგანვე მიჩვეულ-ი ო საავად-მყოფო და ღარიბების სადგომ სახლში სიარულს და იქ ყოველ დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატარებდა ხოლმე რამოდენსამე საათს. ავად-მყოფებს და კუტებს საშინლად უყვარდათ ეს ქალი,—ან კი, როგორ არ უნდა შეჰვარებოდათ, როდესაც ნუგეშის-მცემელ ანგელოზათ უჩნდებოდა მათ და რაც კი რამ გააჩნდა, ყველაფერს მათ ურიგებდა, ყველას ემსახურებოდა და ყველას კეთილ სიტყვებს ეუბნებოდა.

იმ დილით აგნესას მშობლების სახლში უნდა დაერიგებინათ პანკრატის ძვირფასი ნივთები და ვერცხლის ჭურჭლები, თუმცა კი სებასტიანეს გარდა არავინ არ იცოდა შემწირველის სახელი. ამ შემთხვევის გამო, ღარიბი ქრისტიანები რომის ყველა სამწყსოებიდგან აგნესას სახლში შეიკრიბნენ. ერთს ამისთანა გროვაში ქორვინიც შეეერია. სახლის კარებთან რომ მივიდა, გაიგონა, რომ ყველანი შესვლის დროს იტყოდნენ: «ვაქებდეთ ღმერთსა!» და შევიდოდნენ; ქორვინმაც სთქვა იგივე სიტყვები და იქიც შეუშვეს ღარიბებით და კუტებით სავსე ეზოში. იქ კაცები ერთს მხარეზედ დგებოდნენ და ქალები მეორეზედ. შემოსავალის კარების პირ-და-პირ, მეორე მხარეზედ, თაღს ქვეშ სტოლები იდგნენ; ზოგზედ ვერცხლის ჭურჭელი ეწყო და ზოგზედ ძვირფასის ქვებით შემკული ოქროს სამკაულები. ოქრო ოქრომჭედელი სწონიდა და აფასებდა ვერცხლეულსა და ნივთებს და მათ სიახლოვეს დაგროვებული იყო მათგან გადახდილი ფულები; ფულებს თანასწორად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰყოფდნენ და იქ შეკრებილის ღარიბებისათვის უნდა დაერიგებინათ. ამ აუარებელ ოქროსა და ვერცხლის ნივთებს ქორვინი სიხარბით უცქერდა. საშინელი სურვილი ჰქონდა, რომ ერთ-ერთი იმათგანი მაინც მიეთვისებინა და მერე, საჩქაროდ, გაქცეულიყო, მაგრამ ამდენი ხალხის შეკრებილებაში ეს შეუძლებელი საქმე იყო; ერთი-ღა საშუალება ჰრჩებოდა— მოეცადა რიგისთვის და თავისი ხვედრი მოწყალება მიელო. ყველაფერსა და ყველას ყურადღებით ათვალიერებდა; სანამ სხვებთან იდგა, ყურადღებას არავინ აქცევდა მას, მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ შემოვიდა რამოდენიმე ყმაწვილი კაცი, რომელთაც, როგორც სჩანდა, დანარჩენებზედ უფროსობა ჰქონდათ მიცემული; ჩვეულებრივს ტანისამოსს გარდა ტოგის მაგივრად ამათ ეცვათ მეორე საცმელი, რომელსაც დალმატურს ეძახდნენ, რადგანაც პირველად დალმაციაში იყო შემოღებული. ეს მეორე საცმელი პირველზედ უფრო ვიწრო იყო და საკმაოდ განიერი და მოკლე სახელოები ჰქონდა. ამ ნაირ ტანისამოსს იმ დროს დიაკვნები იცვამდნენ და ახლაც იცმენ წირვა-ლოცვის დროს. დიაკვნებს ეკლესიაში სამსახურს გარდა ავად-მყოფებისა და ღარიბების მოვლაც ჰქონდათ მინდობილი. ყველა ახლად შემოსული ყმაწვილი კაცები თავ-თავისი საშწყსოს ღარიბებს, კუტებს და ავად-მყოფებს არჩევდნენ, მიჰყავდათ და ეზოში ცალკ-ცალკე გროვებად აყენებდნენ. რადგანაც ქორვინს ვერავინ ვერ იცნობდა, ამისთვის არც არავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუძახნია მისოვის და მალე მარტოდ-მარტო დარჩა შუა ეზოში. იმისი მდგომარეობა საბარბიელო არ იყო. იმპერატორისაგან წესის დამცველად დაყენებულის პრეფექტის შვილისათვის მოტყუებით, გლახის ტანისამოსით სხვის სახლში შესვლა ძლიერ შეუსაბამო იყო. ქარებს უყურებდა და პირველს შემთხვევისათანავე გაპარვას აპირებდა, მაკრამ მალე მიხვდა, რომ არც ეს იყო შესაძლებელი. ქარებთან იდგა მოხუცი ლიოგენი თავისის ორის ლონიერისა და მარჯვე ახალ-გაზდა ვაჟებით. სამნივ გაჯავრებით უცქერდნენ ქორვინს და, როგორც ეტყობოდა, რისხვას ძლივს ჰფარავდნენ. იმათი ანთებული თვალები და წყროსაგან მაგრად მომუწული ტუჩები ცხადად აჩვენებდნენ ქორვინს, რომ იმისი აქ ყოფნა შეუნიშნავთ. ქორვინი შეწუხებით იხედებოდა აქეთ-იქით და როდესაც შენიშნა, დიაკვნებიც მიყურებენ და ერთმანერთს რალასაც უჩურჩულებენო, სრულიად დაიბნა. ბოლოს ერთი დიაკვანი ამხანაკებს მოშორდა და ქორვინთან მივიდა.

— მეგობარო, უთხრა დიაკვანმა ზრდილობით და თითქმის ალერსიანაოაც, შენ, როგორც სჩანს, არც-ერთს დღეს აქ მოწვეულს განყოფილებათაგანს არ ეკუთვნი. სადა ჰსცხოვრებ?

— ალტა-სემიტის განყოფილებაში, მიუგო ქორვინმა.

ალტა-სემიტი სამოქალაქო განყოფილება იყო და არ ეკუთვნოდა ქრისტიანების საზოგადოების

განყოფილებას. ამ პასუხმა დიაკვანი დაარწმუნა, რომ ეს, მათთან შემოსული კაცი ქრისტიანი არ ყოფილა, მაგრამ მაინც არ შემკრთალა და დამშვიდებით უპასუხა:

— ალტა-სემიტის განყოფილება ჩემს ნაწილშია, მაგრამ შენ კი ვერ გიცნობ. ამ დროს ქორვინი საშინლად გაყვითლდა, და დიაკვანი, რომელიც ამისი თვალების მოძრაობას უყურებდა, მიხვდა, რომ ის შეაშინა სწორედ ამ დროს შემოსულმა პანკრატმა. მაშინვე მივიდა პანკრატთან და ჰკითხა, ხომ არ იცნობ ამ ჩვენ ყველასათვის უცნობს კაცს? პანკრატმა ქორვინს შეჰხედა და, რასაკვირველია, იმ წამსვე იცნო; დიაკვნებს ჰსთხოვა, რომ მოშორდნენ და ქორვინთან მარტო მას აცალონ ლაპარაკი. ეს იმათი მეორე შეჰხვედრა იყო, მაგრამ პირველს კი არა ჰგავდა; ქორვინმა იცოდა, რომ ამ შეკრებილებაში ყველანი პანკრატის მხარეს დაიჭერდნენ.

— ქორვინ, უთხრა პანკრატმა,—ნუ თუ შენ ისეთს გაჭირვებულს მდგომარეობაში ჩავარდი, რომ იძულებული ხარ მოწყალებით იცხოვრო? რად კოჭლობ?

პანკრატის ალერსიანმა კილომ მაშინვე გამბედაობა მისცა ამ უკეთურს. ქორვინმა მკვახეთ უპასუხა:

— შენ კი გიამებოდა, მე რომ დავგლახაკებულვიყავ! ჯერ იქამდის არ მივსულვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძლიერ ჰსცდები; მე არავისთვის ცუდი არა მსურს, მიუგო პანკრატმა. — თუ მართლა შემწეობას საჭიროებ, მითხარი და თუმც კი აქ ყოფნის ნება არა გაქვს, მაგრამ მაინც წაგიყვან ცალკე ზალაში, სადაც დაგისინჯვენ ფეხსა და შეგიხვევენ კიდეც

— მე აქ სახუმროდ შემოვედი, უთხრა გამხნევებულმა ქორვინმა, — მართალი გითხრა, ძლიერ მსურს აქედგან გასვლა. გამიყვანე.

— მაგ შემთხვევაში დანაშაული ხარ, უთხრა პანკრატმა ზრდილობით, მაგრამ ცივად, — შენ სახლის პატრონები შეურაცხყავი. რას იტყოდა მამა შენი, რომ ამ ყმაწვილი კაცებისათვის მებრძანებინა შენი წაყვანა და მაგ სახით მამა შენთან მიყვანა მოედანზედ? ბანა შენ არ იცი, — რომ ნების მოუცემლად, ჩუმად, ვინ იცის რა აზრით, რომაელის აზნაურის სახლში შესვლა არის დანაშაულობა, რომელიც კანონით უნდა დაისაჯოს? ჩვენ უფლება გვაქვს სამართალში მიგცეთ.

— ნუ დამლუპავ, ნუ დამლუპავ! წარმოსთქვა საცოდავად შეშინებულმა ქორვინმა, — ნუ. შეგვარცხვენ მე და ჩემს მშობლებს. მამა-ჩემი ვერ აიტანს ამისთანა შეურაცხებას! ბევედრები სულგრძელობა იხმარო და დაივიწყო ჩვენი ადრინდელი ჩხუბი!

— აკი გითხარი ჩვენი ჩხუბი კიდეც დავივიწყე-მეთქი! მაგრამ ყველა აქ მყოფებმა იციან და თავის თვალით დაგინახეს, რომ შენ აქ შემოიპარე; რისთვის? არავინ იცის. საჭიროების დროს ყველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესენი დამემოწმებიან, — იცოდე, ნურავის ეტყვი, რომ აქ იყავი. გესმის ჩემი სიტყვები?

— როგორ არ მესმის, მესმის, არას დროს, ჩემს დღეში არ წამომცდება, რომ აქ ვიყავი და რომ აქ სხვებიც იყვნენ! ვფიცავ!...

— ნუ ფიცავ, ფიცი ჩვენთვის საჭირო არ არის; მხოლოდ გახსოვდეს, რომ თუ ფრთხილად არ იყავ და ერთი სიტყვა სადმე წაგცდა, მაშინვე სამართალში მიგცემთ. ახლა კი ხელი მომეც.

პანკრატ მიუბრუნდა იქ მდგომ ხალხს და ხმა-მაღლა სთქვა:

— ამ ყმაწვილ-კაცს მე ვიცნობ; შეცთომით შემოსულა აქ.

ქარის მცველი ჩამოდგა და პანკრატმა ეზოდგან გაიყვანა ქორვინი, რომელიც ჯერ კიდევ არ ანებებდა კოჭლობას თავს. როდესაც ქუჩამდის მივიდნენ, პანკრატმა უთხრა:

— გახსოვდეს შენი დაპირება!...

ფულვიუსმა კი დაინახა, რომ რომის ჩვეულებისამებრ, სახლის ალაყაფის კარი ღია იყო და შიგ შევიდა. ქარის მცველის მაგიერად იქ იჯდა გლეხის ტანისამოსით ჩაცმული თორმეტის წლის გოგო. ბოგო მარტო იყო, და ფულვიუსმა იფიქრა, ჩემის ეჭვის დასამტკიცებლად მარჯვე დრო შემხვდაო.

— რა გქვია შენ? ჰკითხა მან პატარა ქალს.

— ემერენცია, მიუგო ქალმა, — მე აგნესას ძიძის შვილი ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქრისტიანი ხარ? ზაბედვით ჰკითხა ფულვიუსმა, ეგონა ამით შეაშინებდა და სიმართლეს შეიტყობდა. ქალი გაკვირვებით შეაჩერდა და უპასუხა: «არა ბატონო!» იმისმა გულ-წრფელმა გაკვირვებამ და ალალ-მართალმა პასუხმა დაარწმუნა ფულვიუსი, რომ ის შემცდარი იყო. პატარა ქალს ტყუილი არ უთქვამს. ის იყო შვილი აგნესას ძიძისა, რომელიც დიდი ხანი არ იყო მას აქეთ, რაც მოჰკვდა. აგნესამ ძიძის შვილი სოფლიდგან მოაყვანინა და უნდოდა გაეზარდა; რადგანაც იმ წინა დღეს იყო მოსული, ამის გამო ემერენციამ სრულიად არა იცოდა-რა და ფულვიუსის კითხვაზედ მართლაც გაჰკვირდა. ფულვიუსმა ალარ იცოდა რა ექმნა, დაბრუნებულიყო, თუ შიგნით შესულიყო. ამ დროს თვითონ სახლის პატრონი ქალი დაინახა. მხიარული და მლიმარე აგნესა ცქვიტად მოდიოდა ეზოში. ფულვიუსი რომ დაინახა, შეჩერდა. ფულვიუსი ღიმილით მიეიდა მასთან.

შეიძლება უდროოდ მომიხდა შენს სანახავად მოსვლა, მაგრამ მე უცხო ქვეყნელი ვარ და დავეჩქარე განგიცხადო ჩემი პატივისცემა და ჩემი სახელი შენის მფარველობის ქვეშე მყოფის ურიცხვი ნაცნობების სახელებს შორის ჩავსწერო.

— ჩვენი სახლი ნაცნობების სიმრავლით სახელ-განთქმული არ არის და ჩვენ არ ვსცდილობთ ვისმეზედ მფარველობა, ან გავლენა ვიქონიოთ, უთხრა ღიმილით აგნესამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უკაცრავად! — ღვთიურს არსებას, რომელიც თქვენს სახლში განაგებს, ყოველ კაცზედ უმაღლესი ზედ-მოქმედება და ძლიერი უფლება აქვს. ის მეუფებს თავისის მონის გულში!

აგნესამ ვერა გაიგო-რა და ფულვიუსს ისე შეჰხედა, თითქოს ჰკითხავდა რას ამბობ?

— შენს სილამაზეზედ ვამბობ! შენზედ ვლაპარაკობ, მ მვენიერო აგნესა და გთხოვ ჩემს გულწრფელობაზედ დარწმუნებული იყო! მე შენ მიყვარხარ და შენგან უსაზღვროთა ვარ აღტაცებული!

აგნესამ რომ ამ გვარი კადნიერი სიტყვები გაიგონა თითქმის უცნობის კაცისაგან, საჩქაროდ დაიწია უკან და სირცხვილის, შიშის და გაკვირვებისა გამო პირზედ ხელები მიიფარა. ამ დროს მათთან მოვიდა სებასტიანე, რომელსაც ყველაფერი გაეგონა და მეტად გაჯავრებისაგან თვალებს აბრიალებდა. მშვიდმა და გულ-კეთილმა აგნესამ რომ დაინახა, ახალ-გაზდა აფიცრის სახის მეტყველება, კიდევ უფრო შეჰშინდა და საჩქაროდ გამოესარჩლა მას, ვინც რამდენიმე წამის წინათ აწყენინა თავის კადნიერის სიტყვებით.

— გთხოვ, აქედგან გასვლის ნება მისცე! უთხრა მან სებასტიანეს.

აგნესამ ამ სცენის დასრულებას ალარ მოუცადა და ისევ სახლში შევიდა.

სებასტიანე ფულვიუსთან მივიდა, ამაყის თვალით შეჰხედა კადნიერს ინტრიგანს, რომელმაც ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხედვას თვალი ვერ გაუმაგრა და შეჰკრთა.

— შენ აქ რას აკეთებ? აქ რათ მოსულხარ, ფულვიუს? ჰკითხა სებასტიანემ.

— შენ თვითონ რალათა ხარ აქ? უპასუხა ფულვიუსმა.

მე ამ ოჯახის დაახლოებული მეგობარი ვარ, მიუგო სებასტიანემ,—და ამ სახლში ყოველ დროს შემოსვლის ნება მაქვს.

— მეც ვიცნობ აგნესას და მეგონა შემეძლო მის სანახავად მოსულვიყავ.

— სანახავად ასე ადრე არ დადიან, უთხრა სებასტიანემ.—მაგრამ ამას თავი დავანებოთ. როგორ მიეცი შენს თავს ნება, რომ იმისთანა გასაოცარი საწყენი სიტყვები გეთქვა ქალიშვილისთვის, რომელსაც კარგად ვერ იცნობ?

— მაშ შენ ჩემზედ იჭვი შემოგაქვს! უთხრა ფულვიუსმა.—ეს კი სასაცილოა! მე მითხრეს, რომ შენ ფაბიოლას შერთვა გსურს და ახლა ვხედავ, რომ იმისი სხვაგან ყოფნის დროს, მზათა ხარ ითხოვო მეორე მდიდარი ქალიშვილი. ჰო, ეს არ არის ცუდი ანგარიში: ერთმა თუ უარი ვითხრა, მეორე ხელში დაგრჩება. ორნივ მდიდრები არიან.

სებასტიანე აენთო. ის იყო ახალ-გაზდა, კეთილშობილი და ფიცხელი. ამ კადნიერი უცხო-ქვეყნელის მდაბალმა იჭვმა საშინლად აალელვა, მაგრამ მაინც დასძლია მღელვარებას და უპასუხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე არ შემიძლია შენთან ლაპარაკი. ამ სახლის პატრონი ახალ-გაზდა ქალი, რომელსაც შენ აწყენინე, გთხოვს აქედგან წახვიდე. იმისი ბრძანება უნდა ავასრულო.

შემდეგ მოჰკიდა ფულვიუსს ხელი ღონიერად და კარებთან მიიყვანა. სებასტიანეს გულ-გრილმა სიმტკიცემ ფულვიუსი იმდენად გააკვირვა, რომ თითქმის უწინაალმდეგოდ მიჰყვებოდა მას. სებასტიანემ კარები გაუღო და უთხრა:

— წადი, ღმერთმა მშვიდობის გზა მოგცეს! გახსოვდეს კი, რომ ჩვენ შეგვეძლო უფრო მკაცრად მოგექცეოდით. ესეც გახსოვდეს, რომ მე ვიცი, რა ხელობაც გაქვს რომში; შენი დალუპვა შემიძლია, მაგრამ არ მინდა. ეიდევ გიმეორებ, ღმერთმა მშვიდობის გზა მოგცეს!

ამ დროს ევრატოსი გაჩნდა ქუჩაზედ. აფრასგან შეეტყო, ფულვიუსი ეორვინის სანახავად წავიდავო და გამოჰყოლოდა თვალის სადევნებლად; ცქვიტად შემოუარა სებასტიანეს და უკანიდგან დაეტაკა, მაგრამ, რადგან სებასტიანე გამბედავი და ღონიერი იყო, უცებ ვერ მოერია მას; მათ შორის ბრძოლა გაიმართა... ევრატოსმა ხანჯალი ამოიღო და სცდილობდა თავისი უიარაღო მოწინაალმდეგისათვის დაეკრა, მაგრამ თვითონ მას უეცრად ვილამაც წელზედ მოავლო ხელი ღონიერად, ასწია ის მაღლა და ქუჩაზედ ბურთივით გადისროლა. ევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატოსი ისე დაეცა, რომ ზე'ე ადგომა ველარ შეიძ-ლო.

— მეშინია, ვაი-თუ მოსტეხე რამ, ქვადრატოს, უთხრა სებასტიანემ ასის-თავს, რომელმაც ისე დროზედ მოასწრო მოსახმარებლად.

ეს ასის-თავიც ქრისტიანი იყო, საოცარი ღონე ჰქონდა და სებასტიანეს ძლიერ ე'ოთგული იყო.

— არა-უშავს, ტრიბუნო, უპასუხა დამშვიდებით ასის-თავმა,—ადგება ეგ უკეთური; ვაი, რომ კარგად ვერ შევზილე! ბანა შეიძლება ამაზედ მეტი სიმდაბლე, რომ უიარალო კაცს ხანჯლით მივარდნენ! და ან კი რათ შემოსულან აქ?

ფულვიუსი და ევრატოსი საჩქაროდ წავიდნენ და ცოტა ხანს უკან დაინახეს, რომ ქორვინი, შეშინებული კურდღელსავით, უკან მოუხედავად მორბოდა ქუჩაზედ. სებასტიანე და ასის-თავი აგნესას სახლში შებრუნდნენ. ამ გვარად უქმად ჩაიარა ფულვიუსისა და ქორვინის მეცადინეობამ, რომ სხვის სახლში შეპარულიყვნენ და შეეტყოთ, თუ რა ამბავი იყო ი.ქ.

X.

სებასტიანე რომ ფულვიუსის გარედ გაგდების შემდეგ დაბრუნდა აგნესას სახლში, პანკრატისა და დედა-მისისაგან შეწირულის ვერცხლისა და ძვირფასის ნივთების დაფასება გათავებული დახვდა. იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროში ამ გვარი შესაწირავები ხშირი იყო. ეროვ-
რომელიმე ოჯახის ძვირფასს ნივთებს სახალხოდ
ჰყიდდნენ, იმათში აღებულს ფულებს ღარიბებს
ურიგებდნენ და ამ ნივთების შემწირველი კაცის სა-
ხელი ხალხისათვის და თვით ქრისტიანებისათვისაც
კი უცნობლად ჰრჩებოდა, წარმართები და ახლად-
მოქცეულები ჰკვიროდნენ და აღტაცებაში მო-
დიოდნენ. ბევრნი, ამ გვარი კეთილის მაგალითით
გატაცებულნი, სწირავდნენ თავის საცხოვრებლისაგან
რამდენსამე ნაწილს და ღარიბებს ურიგებდნენ.
ამ სახით, ქრისტიანების საზოგადოებაში ღარიბები
არ იყვნენ გაჭირვებაში და არც ავად-მყოფები ჰრჩე-
ბოდნენ შეუწყნარებლად და მოუვლელად.

როდესაც ყველაფერი დაამზადეს, შემოვიდნენ
მღვდელი და აგნესას სახლში საავად-მყოფოს პირ-
ველი დამაფუძნებელი, ხელოვანი ექიმი დიონოსი,
რომელსაც, ეპისკოპოსის განკარგულებით, ყველა
ავად-მყოფები ჰყავდა ჩაბარებული. დიონოსი დაჯდა
მისთვის დამზადებულს ამაღლებულს ადგილზედ და
კრებას მიმართა შემდეგის სიტყვებით:

— საყვარელნო ძმებო! უფალმა ღმერთმა აღ-
სძრა გული ერთის ქრისტიანისა, რომელიც თავის
სიმდიდრეს ურიგებს გაჭირვებულს კაცებს. ვინ
არის ეს ქრისტიანი, არ ვიცი და არც ვსცდილობ,
იმისი სახელი შევიტყო. ჩვენთვის საკმაო არის, რომ
ერთი ჩვენგანი შეუდგა ქრისტეს სიტყვებს, რომელ-
მაც თქვა: შეიყვარე მოყვასი შენი, ეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარცა თავი თვისი, მიეც მონაგები შენი გლახაკთა და შემოსიდეგ მე! ძმებო, ეს ფულები მიიღეთ ღვთის წყალობად, რადგანაც ღვთის სახელით გეძლევათ და ილოცეთ მისთვის, ვინც ეს ნივთები შემოგწირათ.

სანამ ლიონოსი ამ სიტყვებს ამბობდა, ახალგაზდა პანკრატმა არ იცოდა, როგორ დამდგარიყო, საითკენ გაეხედა და როგორ დაეჭირა თავი. კიდეც რცხვენოდა და კიდეც უხაროდა; გული უძგერდა და ეშინოდა. ის ამოიოფარა უკან სებასტიანეს, რომელიც ჰხედავდა მას და მიმხვდარიც იყო მისის მორცხვობის მიზეზს, მაგრამ ეს არც ერთის შეხედვით არ შეუმჩნევინებია მისთვის. როცა ყველა იქ მყოფებმა დაიჩოქეს და ღმერთს ხმა-მაღლა ვედრება დაუწყეს, ამ მოწყალების მომცემი გაჭირვებისაგან დაიხსენი, დაიფარე და სასუფეველში აბრაამის, ისაკის და იაკობის წიაღსა შინა საუკუნოდ განსვენების ღირსი ჰყავო, პანკრატმა თავი ველარ შეიმაგრა და ტირილი დაიწყო; მაგრამ იმისი ცრემლები ვერავინ შენიშნა, რადგანაც მას გარდა ბევრი ლარიბებიც ჰსტიროდნენ; იმ დროებში, პირველ ქრისტიანებს ჩვენზედ უფრო წმინდა, ჩჩვილი და კეთილი გული ჰქონდათ. ჩვენ ბევრი რამ დაგვავიწყდა, ბევრი რამ დავსტოვეთ უყურადღებოდ და ბევრი რამ დავკარგეთ; სახარებას ხშირად ვკითხულობთ, მაგრამ მისგან ნასწავლის კანონების მიბაძვას კი ვივიწყებთ. ჩვენ სრულიად დავიწყებული გვაქვს ღვთაებრივი სიტყვები: სარწმუნოება თვინიერ საქმეთა მკვდარ არს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფულების დარიგების შემდეგ, ღარიბები მოუსხდნენ კარგად გაწყობილ სუფრას. მდიდრები ემსახურებოდნენ მათ. მღვდლებმა საჭმელი აკურთხეს და სადილი რომ გათავდა, მადლობის ლოცვა ჰსთქვეს. მერე ყველანი წავიდ-წამოვიდნენ. ცეცილია მივიდა ავად-მყოფ მოხუცთან და გამოართვა პარკი, რომელშიც ნაჩუქარი ფულები ეყარა, რომ შინამდის გაეცილებინა; მოხუცაც თავისის მხრით წინამძღვარობას უწევდა მას. ბზაზედ ქალმა თავისდა წილად მიღებული ფული ჩუმად ჩაუმატა პარკში, მხიარულად გამოეთხოვა მოხუცს და მარტო წავიდა აგნესას სახლში, სადაც ის ჰსცხოვრებდა. მოხუცმა რომ თავისი სიმდიდრის თვლა დაიწ ო და პარკში ნახა ერთი-ორად მეტი ფული, ძლიერ გაჰკვირდა; ეკონა მოწყალების დამრიგებლები შესცდნენო, მღვდელთან წავიდა და ნამეტანი ფულები წაუღო, მაგრამ მღვდელმა უარყო, არ შეიძლება ისინი შემცდარიყვნენო და ფული არ მიიღო. მოხუცმა ილოცა მისთვის, ვინც ამას თავისი ხვედრი ფული მისცა და თავის ღარიბ ოთახში მხიარულად დაბრუნდა. ამ მოწყალების შემწეობით საბრალოს შეეძლო რამდენისამე თვის განმავლობაში მოსვენებით, ისე რომ შიმშილი, წყურვილი და სიცივე არ ეგრძნო, თითქმის კმაყოფილებით ეცხოვრა. როგორც ყოველის ღარიბის ისე ამისი კმაყოფილება მდგომარეობდა იმაში, რომ არ მოშივნოდა და უბრალო, თბილი ტანისამოსი ეშოვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Იტალიაში ყველა თვეებზედ უფრო ცხია-მოვნო თვე არის ოკტომბერი. მზე კიდევ ცხოველად ანათებს, მაგრამ ისე აღარ სწვავს, მხოლოდ ათფობს და თავისის საუკეთოვო შუქით ანათებს მთებს, რომელთაც გარმონიული ზოლები ცაზედ იხატებიან და ეფინებიან შენობების თეთრს, ვარდისფერსა და წითელს მარმარილოს. შემოდგომის თფილი მზის ნათელი სხივები ეფინებიან შენობებს, მიწას, ჰაერს და სამხრეთის მდიდარს მცენარეობას და აღუწერელად ამშვენიერებენ ბუნებას. ხეების ფართე ფოთლები ოქროსა და მეწამულისფრად არიან აფერადებულნი. ატმოსფერის სითფო, ყვავილების სუნნელებით შეზავებული ჰაერი, მშვენიერი მწიფე ხილების სიუხვე და ყურძნის ქარვის ფერი ტევნები ახარებენ იმ კაცის თვალსაც, რომელიც ბუნების ტრფიალებას და ბუნების ცქერით დატკბობას არ მიჩვეულა. Იტალიაში, იმ დროებშიაც, როგორ ახლაც არის, ყურძნის კრეფა ოკტომბერში თავდებოდა, და ქალაქის მცხოვრებნი თავიანთს საზაფხულო სახლებში მიეშურებოდნენ წმინდა ჰაერის სასუნთქავად და მშვენიერის ბალების სანახავად.

Ოქტომბრის დამდეგს, თავიანთის ბატონების მომლოდინე მონები დაიწყებდნენ რომაელის პატრიციების აგარების მორთვას და მილაგებას; განსაკუთრებითი მოძრაობა იყო ხოლმე საბინინის მთის ფერდობზედ, ან ზღვის პირად აშენებულს აგარებში. ამ შენობების არხიტექტურა და შინაგანი მორთუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა ისე ჩინებული იყო, რომ პლინიოსმა ასეთ-
იმათზედ: «ეს არის მთელი იტალიის თვალი».
დერეფნებში იდგნენ ისეთი მშვენივრად გამოქანდა-
კებული ანდრიანტები, რომელთ ნახვით ახლაც
ვსიამოვნებთ მუზეუმებში და რომლის მსგავსი ხე-
ლოვნების შესწავლა ვერც ერთს ახალ-მოხელეს
ვერ მოუხერხებია. ზალების კედლები შეფარული
იყო მშვენიერის მხატვრობებით, რომელთ მხიარულს
და ნათელს ფერადებს აქამდისაც, ათას ხუთასი
წლის შემდეგაც, ფერი არ სცვლიათ. შაბიოლაც
ერთის ამ გვარად მომხიბვლელის აგარისაკენ ვაე-
მგზავრა. იმისი აგარა იყო აშენებული ბაეტის ზღვის
ნაპირიდგან აღმოზიდულის მთის ფერდობზედ და
ისე მდიდრულად ჰქონდა მორთული და ისეთის
გემოვნებით, როგორც რომში; სახლის აივნიდგან
ლაჟვარდი ზღვა სჩანდა. ზღვა შეჭრილიყო ორის
მთის შუა და გაეკეთებინა საუცხოვო და მუდამ
მშვიდობიანი ზღვის უბე, რომლისაც მოცისფრო
წყალი მზეში ბროლივით კამკამებდა. შორს ნის-
ლოვანს ზღვის სივრცეში, როდესაც ქარი ასტ;დე-
ბოდა, მოჩანდნენ მერცხლებსავით მიმფრინველე
ალქნიანი ნავები. სალამოობით ზღვის უბიდგან მო-
ისმოდა აღმტაცი სიცილი, მხიარული ლაპარაკის
ხმა და მენავის, ან მეთევზის წყნარი, გარმონიული
და თვითონ იტალიასავით მშვენიერი სიმღერა. აივ-
ნიდგან ზღვის ნაპირამდის დაეშვებოდა ისარივით
სწორე დერეფანი, რომელიც შემოსილი იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასზედ აშვებული მცენარეებითა და ამ მცენარეების თითოეულის რტოდგან მიწამდის ჩამოშვებული იყო სხვა-და-სხვა ფერი ყვავილები. დერეფნის კარი გადიოდა მწვანე მინდორზედ, რომელზედაც მთიდგან გადმომდინარე ანკარა, ცივი ნაკადული მიიკლაკნებოდა; ნაზი ვარდის ფერ ძარღვებიანი, თეთრი მარმარილოს აუზი გზას ულობავდა მას. ნაკადული აუზში ესხმებოდა, მერე ჩქრიალით ჩაუვლიდა დერეფანს და ზღვას ერთოდა. ორი ფართე ფურცლოვანი ხე, რომელთაც გარს მშვენიერი ვარდის ბუჩქები ჰქონდათ შემორგული, ფართე ჩრდილს აფენდნენ მინდორზედ და მის ქორფა ბალახს მზისაგან იფარავდნენ.

ქალაქის შეკრებილების და ლხინის მოყვარული ფაბია თითქმის არას დროს არა ჰსცხოვრებდა საზაფხულო სახლში, მხოლოდ მგზავრად თუ ჩამოხტებოდა, მაგრამ მისი ქალიშვილი ფაბიოლა კი მთელ წემოდგომებს აქ ატარებდა ხოლმე. ამ სახლში დიდი ბიბლიოთეკა ჰქონდათ გამართული და რაც კი რომში ახალი, ან რითმე შესანიშნავი წიგნი გაჩნდებოდა, ფაბიოლას ყოველ-წლობით მოჰქონდა და ამ ბიბლიოთეკის ხელ-ნაწერების რიცხვს უმატებდა. ქალი დილაობით ყოველთვის მარტო რჩებოდა და ჰკითხულობდა, მაგრამ ამ წელიწადში კი შესცვალა თავისი ჩვეულება და მთელს დილას თავის მოახლე სირასთან ატარებდა. ფაბიოლა მეტად გაჰკვირდა, როცა აგნესამ უთხრა: სირამ თავისუფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებაზედ უარი ჰყო, რადგანაც შენი მოშორება არ უნდოდა. ამაოდ სცდილობდა ფაბიოლა გაეგო, თუ რა იყო სირას ამ გვარის საქციელის მიზეზი; ხან-და-ხან იფიქრებდა, სისულელით მოუვიდაო, მაგრამ ეს ფიქრი მას ვერ დააკმაყოფილებდა, რადგანაც სირა ძალიან ჭკუიან და კარგად მსჯელ ქალად მიაჩნდა. ბაეგონა კი, რომ ყოფილან ისეთი მონები და მოახლეები, რომელთაც თავიანთი ბატონები ჰყვარებიათ, მაგრამ ისინი სამაგალითოდ მიაჩნდა და, ამას გარდაც, ჰგრძნობდა, რომ სირას არ ჰქონია განსაკუთრებითი მიზეზი, ისე შეჰყვარებოდა ქალბატონი, რომ იმასთან დაუშორებლობის გულისათვის თავისუფლებაზედ ხელი აელო. ფაბიოლამ დაუწყო სირას ყურადღებით თვალის დევნება, მაგრამ განსაკუთრებითი ვერა შენიშნა-რა. სირა უწინდულადვე გულ-მოდგინეთ ასრულებდა თავის მოვალეობას და ისევ იმ ნაირადვე ღირსეულად ეჭირა თავი. ფაბიოლას თან-და-თან მოულბა გული და გაიგო, რომ შეიძლება მოახლეც შეუყვარდეს კაცს, რომ ეს მოახლეც ადამიანი და მეტად კარგი ადამიანი ყოფილა. ფაბიოლას სირასაკან მისი სიყვარულიც სჯეროდა, რადგანაც სირა ექცეოდა ყოველთვის ყურადღებით, თითქმის ალერსიანად და ნარნარათაც, რამდენადაც კი ამის ნებას აძლევდა მაშინდელ ქალბატონსა და მოახლეს შუა ჩვეულებრივი დამოკიდებულება. ფაბიოლა თან-და-თან უფრო ხშირად ელაპარაკებოდა სირას და შენიშნა, რომ მას მიუღია გვარიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლება: ბერძნულად ჰკითხულობდა, სწავლულებ-
ბის და პოეტების საუკეთესო თხზულებები იცოდა;
როგორც ლათინურად, აგრეთვე ბერძნულადაც
კანონიერად და ჩინებულადაც ჰსწერდა. ფაბიოლამ
მეფროსინას უბრძანა სირას ცალკე ოთახი მიეცია;
მოახლის მოვალეობისაგან გაანთავისუფლა, მწერ-
ლად და წიგნის მკითხველად დაინიშნა და დაიახ-
ლოვა. სირა როდი ამპარტავნობდა ამით, ისევ უწინ-
დულადვე თავ-დაბალი და გულ-კეთილი დარჩა, გან-
საკუთრებით თავის ძველის ამხანაგების შესახებ,
თუმცა კი არც ერთი არ იყო ამისი მოფერებისა და
ყურადღების ღირსი, რადგანაც მისი შური ჰქონდათ
და ყოველივე ცუდი ჰსურდათ მისთვის.

როცა სირა ფაბიოლას სერიოზულს წიგნებს
უკითხავდა, მათ შორის ხშირად გაიმართებოდა
ხოლმე დავა და ბაასი წანაკითხის თაობაზედ. ფაბი-
ოლას უკვირდა სირა, რომ უბრალო, მაგრამ ძლი-
ერის სიტყვებით მოუყვებოდა იმისთანა აზრებს, რო-
გორიც თავის დღეში არ გაეგონა და რომელნიც
აოცებდნენ მას სიახლით, ან სილრმით და ხანდის-
ხან მათში გამოთქმულის ჭეშმარიტებითაც.

ერთხელ ფაბიოლამ უბრძანა სირას რომიდგან
ახლად მოლებულის წიგნის წაკითხვა. სირამ გაბსნა
წიგნი, რამდენიმე სტრიქონი წაიკითხა და ისევ შე-
კეცა.

— ნუ გეწყინება, ქალბატონო, უთხრა მან
ფაბიოლას,—და ამ წიგნის წაკითხვა კი არ შემიძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია! მეტად ცუდი და უმართებულო წიგნი ყოფილ, ამის დამწერი დასცინის ყველაფერს, რაც კაცისათვის ძვირფასი და წმინდა უნდა იყოს. ქვეყანაზედ ისეთი საგნებია, რომელთაც დაცინება არ შეიძლება, რომელთაც კაცმა პატივი უნდა სცეს და რომელთ წინაშე მუხლი უნდა მოიდრიკოს.

— მერე რაო, თვითონ შენვე მოუდრიკე მუხლი, რამდენიც გინდოდეს, არავინ არ დაგიშლის, უთხრა სიცილით ფაბიოლამ;—ყველა თავისი აზრის და გვარად ჰსჯის.

—რასაკვირველია, აგრეა, მაგრამ არიან ისეთი საგნები, რომელთ პატივის-ცემა ყოველი კაცის მოვალეობა არის; იმათზედ სხვა-და-სხვა აზრის ქონება არ შეიძლება.

— რა საგნებია ამისთანა?

— ქველ-მოქმედების და თავ-განწირულობის პატივისცემა, ყოველივე ბიწიერების და სიცუდის სიძულვილი და თავისი მოვალეობის ასრულება.

— მოვალეობისო! მართალი გითხრა, არ ვიცი რა არის ეგ მოვალეობა. ჩემის აზრით, სანამ ცოცხალი ვართ, უნდა მხიარულად ვიცხოვროთ,—დანარჩენი ყოველივე სიცრუე და ამაოება არის.

— მე თუ მკითხავთ, მაგრე სრულებითაც არ არის. ადამიანის პირველი მოვალეობა არის ღვთის შიში და სიყვარული, მეორე—ყოველი კაცის თავის თავისავით სიყვარული; ბოლოს არის კიდევ ერთი, დედ-მამის, ნათესავების და მეგობრების შესახე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი მოვალეობა. აი ამ გრძნობების და ამ მოვალეობათა დაცინება არის შეცოდება.

— ერთობ ბევრს რასმე ლაპარაკობ! შენ სთქვი ღმერთიო; მე იმას ვერ ვიცნობ. ვიცნობ ღმერთებს, ისინი ბევრნი არიან, და ყველა უსწავლელები და უმეცრები იმათ თაყვანს სცემენ ჩვენს ტაძრებში, მაერამ ნუ თუ ისე სულელი გგონივარ, რომ შემიძლია დავიჯერო არსებობა მეხის მტყორცნელის იუპიტერისა, ანუ სიბრძნის ღმერთა მინერვასი, რომელიც თავის მამის, იუპიტერის თავიდგან გამოხტა ჯავშან-ჩაცმული, ან ვენერასი, რომელიც ზღვის ტალღების ქაფიდგან დაიბადა და მთელი ქვეყანა გააკვირვა თავის მოქმედებით?

— ეგ ღმერთები არც მე მრწამს და გამოუთქმელს ზიზღსაცა ვგრძნობ მათდამი. მე გელაპარაკები იმ ღმერთზედ, რომელმაც ხილული და უხილავი წუთი-სოფელი, შენ, მე და ყველა ხალხი შექმნა. ის ყოველთვის ყოფილა და იქმნება. იმ ღმერთს გონება ვერ მისწვდება, მაგრამ გრძნობას კი შეუძლია მისი წარმოდგენა, ის არის ყოველი სიკეთის მომნიჭებელი და ყოველ-ნაირის ცხოვრების წყარო!

სირა ისეთის დაჯერებით, რწმუნებით და ისე მტკიცედ ლაპარაკობდა, რომ ფაბიოლას თუმც არა გაეგებოდა-რა იმისი ლაპარაკისა, მაგრამ მაინც გულს-მოდგინეთ და გაკვირვებით უგდებდა ყურს. სირას აღტაცებულმა პირი-სახემ ფაბიოლაზედ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. სირას რომ უყურებდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰფიქრობდა: ნამეტანი აღტაცებულიაო. მარტო ფა-ბიოლა როდი ჰფიქრობდა აგრე; ბევრნი ახლაც ჰფიქრობენ ამ ნაირად, როდესაც ყურს უგ-დებენ ძლიერ მგრძნობელის და ღრმად რასმეში დარწმუნებულის კაცების გაცხარებულს ბაასს. როცა ამ გვარი კაცები თავის აზრებს მჭევრ-მეტყველად გა-მოსთქვამენ ხოლმე, ბევრნი, იმათ ლაპარაკს რომ ვერ გაიგებენ და არ უჯერიან, რადგანაც თავისი ამბ-ოების, თავ-ცარიელობის და გონების გაუხსნელობ-ის გამო არ შეუძლიათ ამათი ლაპარაკის გაგება, იძახიან: «აღტაცებულია, აღტაცებულიაო!» და ჰფიქ-რობენ, რომ ყველაფერი ახსნეს, რომ ეს სიტყვა გა-თავისუფლებს იმათ ამ ქვეყნიერებაში კაცის და-ნიშნულებაზედ დაფიქრებისაგან. აბა ვშინჯოთ ამის მაგალითით ახსნა: მოუყვეთ რომელსამე მარტო მხიარულებაში და ჩაცმა-დახურვაში გართულს ქალს, თუ როგორ უვლიან ავად-მყოფებს დანი მოწყალე-ბისანი, რომელნიც თავს არ იზოგვენ, ღამით არ იძინებენ და თითქმის დროსაც ვერ შოულობენ, რომ შიმშილი და წყურვილი მოიკლან, ან როგორ ჰბანენ და უხვევენ საშინელს ჭრილობებს, რომლი-საც მარტო ერთი შეხედვაც კი შეაშინებს ყველას, ვისაც მოყვასისადმი ამდენად მხურვალე სიყვარული არა აქვს, და ის ქალი დაიძახებს, რომ ისინი აღ-ტაცებულები, ე. ი. მისის აზრით თითქმის უჭკუო-ებიც, არიანო. მოუყვეთ ისეთს კაცებს, რომელნიც მხოლოდ თავისთვის დიდი დიდების, ან სასარგებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო და შესანიშნავის ადგილის შოვნაზედ ეფიქ-
რობენ, რომ არიან კაცები, რომელნიც მიდიან აფრი-
კის ველურსა და უწყლო უდაბნოებში ღვთის
სიტყვის საქადაგებლად, ველურის ხალხის გასანათ-
ლებლად და სახარების სიტყვების სასწავლებლად.
ამ კაცებსაც აღტაცებულებს, ე. ი. უჭკუოებს დაუ-
ძახებენ. უამბეთ იმათ, რომ არიან ისეთი კაცები, რო-
მელნიც მთელს თავიანთს სიცოცხლეს ჰსწირავენ ყმაწ-
ვილებისა და ღარიბებისათვის სადგომის სახლებისდაწე-
სებას, ან ყრუსა და მუნჯების აღზრდას, ან დამნაშავეების
ზნეობისა და სარწმუნოების კანონების ჩაგონებას და
რომელნიცჰსცდილობენ ეს დამნაშავები კეთილსგზაზედ
დააყენონ და უჩვენონ მათ თავიანთი მოვალეობა, დაისი-
ნი მაშინვე აღტაცებულებს, ე. ი. მათის აზრით, სულე-
ლებსა და გადარეულებს დაუძახებენ. მაგრამ ახლა დროა
ფაბიოლას, სირას და მათს მუსაიფს დავუბრუნდეთ.

— რასაც შენ ლაპარაკობ, ყოველისფერი საუ-
ცხოვოა, მაგრამ ეს ხომ მარტო თეორია არის,
უთხრა ფაბიოლამ.—აბა, მითხარი, ვის შეუძლია, რომ
სხვა კაცი თავის თავსავით შეიყვაროს. ვსთქვათ კი-
დევ: რომ მაგ გვარად შეიძლება კაცს უყვარდეს შვი-
ლი, მამა, დედა, მაგრამ ესეც საიჭვოა. აი, მაგა-
ლითად, მამა ჩემს უყვარვარ და მასათუთებს, მაგ-
რამ საიჭვოა, რომ თავის თავსავით ვუყვარდე, და
ამის მოთხოვნა შესაძლებელიც არ არის. გარეშე
კაცის ამ გვარად სიყვარული კი... კარგია, გეთაყვა,
რას ამბობ, ეს ბოდვაა და მეტი არაფერი!

— არა, ბატონო, ხომ ყოფილან ისეთი კაცები, რომელთაც თავიანთი ცხოვრების მაგალითით და საკუთარის სიცოცხლის შეწირვით დაუმტკიცებიათ ეს!

— ვინ არიან ეგენი? სად არიან? ჰკითხა ფაბიოლამ.—მე იმათ ვერ ვიცნობ და იმათზედ არას დროს არა გამიგონია რა.

— შენ ბევრი რამ არ გაგიგონია, ჩემო კეთილო ქალბატონო, მაგრამ ამით ხომ ვერაფერს დაამტკიცებ.

— მაშ მიამბე, უთხრა ფაბიოლამ,—მიამბე ყველაფერი, რაც გინახავს, ყველაფერი, რაც იცი!

— ასე უეცრად ყველაფრის თქმა არ შეიძლება, მიუგო სირამ,—და არც დრო მოსულა ჯერ... ყველაფერს არ დაიჯერებ... და იფიქრებ, რომ მე გატყუილებ.

— არა, არა, მაგას არასოდეს არ ვიფიქრებ. ვიცი, რომ შენ თავის დღეში არ სცრუობ. აბა, დაიწყე ჩქარა!

— ბანმათავისუფლე მაგ კითხვისაგან! ახლა ესეც საკმაოა; ამას გარდაც, შენს ხმაში და შენს მოუთმენლობაში ცნობის მოყვარეობას ეტყვრო ვხედავ, ვინემ ნამდვილ სურვილს, რომ შეიტყო და გაიგო ის, რაც აქამდის არ გაგიგონია. შენთვის ეს შესაქცევი და გასართობია და ჩემთვის კი... ჩემთვის ეს ჭეშმარიტება—წმინდა საიდუმლო არის.

ამ დროს ფაბიოლას სანახავად მოსულმა ნაცნობებმა გააწყვეტინეს ამათ ლაპარაკი და [illegible] ეს